 - It is a fact of life that morality is often associated with some restriction on a company's profits but this should not be the case.
 - In fact companies without sound values and "tone at the top" are often restricted from major projects.
 - Today's SMEs should use good ethical behaviour as a resource to improve their corporate success.
 - In simple terms "good deeds pay off" because in the long term, morality and the pursuit of profit will converge.

Federico Diomeda is a Dottore Commercialista operating in Genoa. He has focused in his professional life on two specific fields of accountancy namely business advice and commercial law for SMEs undergoing restructuring or in insolvency. Federico has been a Board member of EFAA and was President from 2006 to 2009.

In his presentation, Federico Diomeda concentrated on two themes:

- Firstly, he stated that the perception is that ethical behaviour depends on the quality of disciplinary activity
 - The profession should take care of its reputation by ensuring that it has a competent and active supervisory role and that role should set the bar high.
 - Rules are not enough. Ethics demands more than just a check to the rule book as often the rules are not suitable for situations in which practitioners find themselves. This is particularly important in the dynamic world in which we live.
- Secondly, Federico wanted to say that peer pressure is often an important aspect of decision making in this area.
 - If we consider that peer pressure can be linked to the culture in which we operate then one could question whether cultural differences will undoubtedly lead to different decisions being taken.
 - We need the profession to invest in ethics and we need to raise the culture of the profession in every country. We must create a new culture for the profession.

Professor Dr. Joachim Gassen holds the chair of financial reporting and auditing at the Humboldt-Universität zu Berlin and is currently vice dean of the School of Business and Economics. His research focuses on international accounting and the impact of accounting information on markets and contracts.

Professor Gassen addressed the matter of culture and the extent to which different cultures affect ethical behaviour. He made four points:

- Do the means to fulfill the role of accounting vary across countries and or cultures?
 - David Tweedie once noted that the role of accounting was to keep capitalism honest. He asked the participants to reflect on whether reaching this objective requires different actions in different countries. As an example he stated that certain provisions might be considered to be acceptable in some countries while being judged as misleading in others.



European Federation of Accountants and Auditors for SMEs

- Can ethics be taught?
 - Professor Gassen stated that he was not convinced that one could teach ethics. Instead, he referenced academic work to state that independence seems to be a necessary condition to ethical decision-making. He noted that if auditors are well educated and well trained and proud of what they do they can be expected to act more independently. To that point he asked the audience “how can we change accounting education to foster the independency of the profession?”
- Proximity and shared services
 - Professor Gassen raised the matter of proximity in terms of being available to the client, both as an internal and an external accountant. He stated that he was troubled by the increasing number of shared service centres that offer all professional services without having a closer personal relationship with their clients. He raised the question “How can we help keep capitalism honest if we are not able to talk to people face to face?”
- The personal characteristics of the professional accountant
 - For his last point, Professor Gassen stressed that ethical decision-making tends to be deeply rooted in the personal behavior of individuals. He started by quoting Monty Python characterizing an accountant in their famous lion tamer sketch: “your report here says that you are an extremely dull person. You see, our experts describe you as an appallingly dull fellow, unimaginative, timid, lacking in initiative, spineless, easily dominated, no sense of humour, tedious company and irrepressibly drab and awful. And whereas in most professions these would be considerable drawbacks, in chartered accountancy they are a positive boon.”
 - Professor Gassen stated that whilst we may all laugh at the above description the profession has a real challenge to get the right people into the profession. He asked the audience to consider what could be done to ensure that we encourage the recruitment of potential accountants that exhibit the characteristics that we need asking the question “does being dull and boring help one make ethical decisions?”

Rafael Gomes is a risk consultant at Accenture, advising global banks on regulatory responses, compliance innovation, surveillance technologies, and behavioural change. He has a PhD in systemic risk and regulation from Nottingham University, where he is a Visiting Fellow at the International Centre for Corporate Social Responsibility, and studied at the London School of Economics and University College London. Rafael was the joint winner of the Robin Cosgrove Prize in Financial Ethics.

Rafael’s presentation focused on the Future Challenges in Ethical Behaviour of Organisations

- Introduction - Digital SMEs
 - A key driver of change for the future of SMEs is digitalisation of business (SMAC – Social, Mobile, Analytics, and Cloud)
 - Digital technology is great for SMEs because it supports transactions at scale and saves time and money. Think of eBay as a marketing channel. Or automated invoicing as a time-saver.
 - But digitalisation will also raise a number of challenges for promoting ethical behaviour and protecting against unethical behaviour.



European Federation of Accountants and Auditors for SMEs

- Challenge 1: The skills to understand how technology works.
 - How many of us know how social engineering works? Essentially it is the use of technology to impersonate others.
 - In West Virginia, a restaurant recently went out of business, and no one could understand why. It had not established an internet presence, but it eventually transpired that a competitor had placed a pin of the restaurant on Google Maps and, under opening hours, written that the restaurant was closed on Saturdays and Sundays. This is why it lost its business.
 - We are living in a digital ecosystem – businesses are much more closely linked together whether or not they ‘choose’ to be.
 - SMEs should build a basic understanding of how technology works, how systems are built, how data flows between systems, and the risks and opportunities they present.
- Challenge 2: Evidencing ethical behaviour.
 - It used to be that regulators, civil society, and investors would ask businesses if they had policies around, for example, ethical behaviour – say, sustainable sourcing.
 - Now we are in an environment of evidence. From ‘tell me’ you treat employees fairly to ‘show me’ they have been properly informed about pensions and insurance.
 - My local shop sells organic fruit and vegetables, and I showed the shopkeeper an article about a gadget – costing €300 euros – which can detect inorganic particles in the air. I joked I would return to investigate him. Two weeks later he had bought it and walked me through his shop scanning his produce. This is an anecdote but the trend is real.
 - The challenge is: can you evidence that you are meeting hygiene standards; or that your sales assistants aren’t misleading customers; or that your products have the characteristics you claim?
 - This is a data problem: 1) identifying what you need evidence about, 2) identifying what data is available, 3) designing how to collect that data, and 4) designing how to present it.
- Challenge 3: Growing ethically.
 - Technology enables you to work at scale, but complexity is an enemy of accountability.
 - Two HSBC directors resigned in protest at the Senior Managers Regime which would hold them personally accountable for conduct in the bank. It is very difficult for senior leaders in very large organisations to have visibility of unethical conduct.
 - SMEs are more accountable by their very nature. Leaders are closer to employees and can implement their vision (tone from the top) much more directly without the message being lost. And SMEs depend more on their reputation with a few key clients or communities of clients.
 - This is a differentiator for SMEs and I would be surprised if this did not resonate in some of the EFAA’s policy discussions.



European Federation of Accountants and Auditors for SMEs

After the speakers had made their opening remarks Professor Robin Jarvis opened the floor up to the roundtable participants and a lively and interesting debate followed.

Conclusions

- Role of the accountant and the relationship to tax matters
 - There was a general discussion about what exactly the role of the accountant is and whether the perception of the different role that the accountant plays (internal accountant, external accountant, auditor or tax advisor for example) necessarily leads to a different dimension of the level of ethical behaviour and the regard that they should have to the public interest and the impact of decisions for society.
 - The matter of taxation was of particular concern. Whilst one can argue that companies should be able to use current tax rules and legislation to reduce their tax burden and that accountants often play a key role in this regard, the effect that this has on countries, economies and societies should not be underestimated. But whose responsibility is this consideration? Is this the role of governments or the role of the profession?
 - Some participants felt that there was no moral aspect in respect of this matter as the issue often becomes a matter of law. A Tax advisor has a duty under its code of ethics to its client. Alternatively, if governments wish to collect more taxes from companies then they can do so by amending the tax legislation. Having said that, however, it seems relevant that the existence of different tax rates and legislation, particularly in the European Union, enables such tax decisions to be taken by companies.
 - Laws must always be followed but if they are unjust then pressure must be placed on legislators to change them. Ethical pressure can change legislation and ultimately culture.
- What is the public interest? Does this change depending on country, history, religion and culture?
 - Participants agreed that the matter of ethics and what the correct ethical response is can often be a complicated subject. It is at the heart of society.
 - Societies that have developed under different religions and political structures often exhibit a different ethical “norm” and these differences need to be accommodated. It is not simply a matter of “right or wrong”.



European Federation of Accountants and Auditors for SMEs

- Do we need an ethical code? To whom should it be addressed?
 - There were some who felt that the profession may not need an ethical code but if it did then the role that the accountant plays might require a different focus or more specific aspects in the code. Regardless of the aspect, however, the moral compass should be the same.
 - Others wondered whether the code of ethics was often targeted at the wrong people. It was noted that often it is those charged with financial matters that are not members of the profession that could have the biggest financial impact and yet these are not normally party to any code.
 - Following on from this it was agreed that the matter of complexity in accounting of financial matters is having a significant impact and ethical codes may struggle to keep up with these developments.
 - It was also noted that in business it is often the accountant who suffers from pressure from the top and once an accountant has succumbed to that pressure they often become the legitimizer of ethical behaviour. That, in some business environments, can lead to a “norm” being created.
- The role of the profession and the role of the SMP
 - SMPs must continue to act as trusted advisors and be consistent in their approaches to SMEs.
 - We are a profession because of our education, our training and our ethical core but our profession is at a cross roads and we must take care. We must do no harm.
 - Accountants need to evolve. They should not be able to be replaced by computers. It is not our mathematical skills that make us accountants. It is our thought processes, our experiences, and our human element. Our ethics.
 - We must recruit potential accountants that exhibit the characteristics that we need: inquisitive minds, scepticism, professional judgement and objectivity (independence).
 - Education is critical for the future of the profession. It is perhaps the profession's biggest challenge.

Professor Robin Jarvis brought the debate and discussion to an end. In his concluding remarks he thanked the speakers for their passion and their perspective which drew out many different thoughts and issues and said it is important that we understand the nature of ethics. In this context we should recognise the real differences between SMEs and large organizations, in examining ethical issues. We should address problems in the governance and how employees and management behave in these differing sizes of organizations in terms of the interests of society as a whole.

საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის გეოეკონომიკური ასპექტები

საქართველო ახალი გამოწვევების წინაშე

მსოფლიო (სამყარო) სწრაფად და თვისებრივად იცვლება. უკანასკნელ წლებში მან განვითარების ახალი ნიშნები შეიძინა. გლობალიზაცია, როგორც მოვლენა აღქმადია, როგორც პროცესი, განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორი გახდა. მიმდინარე კატაკლიზმების ფონზე, როცა ძველი და ახალი პრობლემები ერთულ კვანძებად ჩამოყალიბდა, სწრაფად ცვალებადი გარემო ახალ-ახალ გამოწვევებს აყენებს. საზოგადოებას უჭირს გაერკვეს პრობლემების მრავალფეროვნებაში და მათი გადაწყვეტის სწორი მიდგომები განსაზღვროს.

ტრანსფორმაციულმა პროცესებმა ქვეყნების განვითარების ტრადიციული სტრატეგიებიც შეცვალა. რეალობა (ყოფიერება) განსხვავებული თავისებურებით გამოჩნდა. სტრატეგიული ხედვის არეალი გაფართოვდა და უფრო მრავალმხრივი დატვირთვა შეიძინა.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოებრივი მიზნების განხორციელების ალტერნატიული წყაროები, მოტივაციური მიდგომების მრავალფეროვნება ართულებს პრიორიტეტების სწორად განსაზღვრას, განვითარებაში სტაბილურობის მიღწევის რეალური საშუალებების შერჩევის პროცესს, **მკაფიოდ გამოიკვეთა ინტეგრაციის (როგორც ასეთის) როლი სახელმწიფოების განვითარების სტრატეგიის განსაზღვრაში - დღეს გლობალური პროცესები და რეგიონული ინტეგრაციული ნაკადები ნებისმიერი ქვეყნისთვის განვითარების უმთავრესი ორიენტირია. ეს თავისებურება (ეგზოგენური და ენდოგენური ფაქტორების ურთიერთმოქმედებით განპირობებული) ახალ პარადიგმებს სთავაზობს სუვერენულ სახელმწიფოს, რომლის ტრადიციული ფუნქციების შეცვლის (სრულყოფის) აუცილებლობა თავად ტრანსფორმაციული პროცესების ლოგიკიდან გამომდინარეობს. სახეზეა ტენდენცია: სუვერენული სახელმწიფოს ზე სახელმწიფოებრივ და ქვეყნის შიდა სტრუქტურებზე ზოგიერთი ფუნქციის დელეგირების გაღრმავების პროცესი. ამის კარგი მაგალითია ევროკავშირი.**

ნიშანდობლივია, რომ ინტეგრაციული პროცესების ადეკვატურად სახელმწიფო იძენს ახალ ფუნქციებსაც. **კერძოდ, გლობალური და რეგიონული პროცესების რეგულირების, საერთაშორისო სტრუქტურებთან თანამშრომლობის, გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ სივრცეში ფართოდ მანევრირების, ინტეგრაციულ პროცესებში ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დაცვის და სხვ. ფუნქციებს.**

აღსანიშნავია, რომ გლობალურმა პროცესებმა განაპირობეს საერთაშორისო კაპიტალის, მსოფლიო ფინანსური ბაზრების, ტრანსნაციონალური კორპორაციების,



ნოდარ ჭითანაშვილი,
ეკონომიკის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი,
სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი

ბანკების ფორმირება - ფუნქციონირება. ბიზნესმა ამით უპასუხა გლობალიზაციის გამოწვევას და მას დროსა და სივრცეში საკუთარი განვითარების ადეკვატური ფორმებიც შესთავაზა.

რას შესთავაზებს სახელმწიფო გლობალიზაციის გამოწვევებს? როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ სუვერენული ქვეყნები ურთიერთკავშირების ადეკვატური ფორმების გამოყენებით, ერთობლივად შეეცდებიან დროის გამოწვევებს უპასუხონ. ამ შემთხვევაში თვისებრივად ახალ დატვირთვას შეიძენს სახელმწიფოს როლი და ადგილი ინტეგრაციულ კავშირებში. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ პოსტსოციალისტურ სივრცეში ახალი ტიპის სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოების და საბაზრო ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების რთული პროცესი ნინააღმდეგობრივია და უშუალოდ განიცდის როგორც გარე, ასევე შიდა ფაქტორების გავლენას.

სოციალისტური სისტემის მყისიერად დაშლის შედეგად, გლობალიზაციის პროცესები დაჩქარდა და მან სტიქიურად (რეგულირების გარეშე) გაფართოება-გაღრმავების განუსაზღვრელი შესაძლებლობები შეიძინა, ხელი შეუწყო ძველი და ახლად შექმნილი პრობლემების გამთლიანებას და თვისებრივად ახალი გარემო ჩამოყალიბდა. ტრანსფორმაციულ პროცესებში მოულოდნელად ჩაბმული პოსტსოციალისტური სივრცის ქვეყნები მოუმზადებელი შეხვდნენ ახალ გამოწვევებს. ასევე, განვითარებულ ქვეყნებსაც არ აღმოაჩნდათ პოლიტიკური ნება ადეკვატურად ეპასუხათ ახალი გამოწვევებისთვის. უფრო მეტიც, მათ საკუთარ ეკონომიკურ ინტერესებს დაუქვემდებარეს პოსტსოციალისტური ქვეყნების გარდაქმნების სტიქიურად დაწყებული პროცესი და შესთავაზეს (თავს მოახვიეს) დროსთან არაადეკვატური რეკომენდაციები (მაგალითად, „ვაშინგტონის კონსესუსი“ — „შოკური

თერაპია“, მონეტარში და სხვ.).

ერთპოლუსიანი ცენტრის პირობებში მსოფლიოს განვითარების პროცესმა, რომელიც უფრო წინააღმდეგობრივი გახდა, გამოიწვია ლოკალური ომებიც, სხვადასხვა ფერის ე.წ. რევოლუციებიც, ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისებიც, სახეშეცვლილი დიქტატურაც, ამასთან აღზევდა ინფორმაციული ინდუსტრიის შესაძლებლობები, გაღრმავდა გეოპოლიტიკური რადიკალური ცვლილებებიც, თითქოს რეგულირებადი გახდა ინტერესების კონსოლიდაციის პროცესი. საბოლოოდ, კაცობრიობა მზად არ აღმოჩნდა ეპასუხა დროის ახალი გამოწვევებისათვის.

ნიშანდობლივია, რომ თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაციის შედეგად დაფიქსირდა ეკონომიკის განვითარების პროცესის სახელმწიფოს საზღვრებიდან გასვლის ტენდენცია, რაც რეალურად გულისხმობს ინტეგრაციული კავშირების ინტენსიფიკაციის შეუქცევად ხასიათს (ეკონომიკური საზღვრები პირობითი საზღვრებია, რომლებიც არ ემთხვევა სახელმწიფოს საზღვრებს). დღეს ინტეგრაციული პროცესები ფაქტობრივად ასრულებს განვითარების ლოკომოტივის ფუნქციას. ამიტომ, როგორც აღინიშნა, ნებისმიერი ქვეყნისთვის, მით უმეტეს, ისეთი პატარა



ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, ინტეგრაციული პროცესი განვითარების ორიენტირია, ეკონომიკის საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებისათვის „სტრატეგიული რესურსია“. ასეთივე როლის შეასრულებს პოტენციალი აქვს ზენაციონალურ სისტემებსაც (ორგანიზაციულ წარმონაქმნებს), რომლებიც ინტეგრაციის ფონზე ყალიბდება. მიუხედავად იმისა, რომ ისინი კონკრეტული სახელმწიფოს იურისდიქციას უშუალოდ არ ექვემდებარებიან, გლობალურ სივრცეში ნაციონალური ინტერესების დაცვის ფუნქციას ასრულებენ. ასეთი პრაქტიკა მკვიდრდება საკრედიტო-საფინანსო, სანარმოო და სავაჭრო სფეროებში.

ამრიგად, გლობალიზაციისა და რეგიონული ფრაგმენტაციის პროცესების გადაკვეთაზე ჩამოყალიბდა ფაქტორთა ის ერთობლიობა, რომლის

დროული შეცნობით და ეფექტიანად ამოქმედებით სუვერენულ სახელმწიფოს შეუძლია გლობალურ პროცესებთან ადაპტირება და საკუთარი (სტრატეგიული) ინტერესების შესაბამისად ინტეგრაციული პროცესების (და არა მხოლოდ საკუთარ ძალებზე დაყრდნობით) მიზანმიმართული რეგულირება.

გეოეკონომიკა – საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი

ტერმინი „გეოეკონომიკა“ XX საუკუნის 80-იან წლებში პირველად გამოიყენა ედუარდ ლუტტვაკმა (აშშ ნაციონალური უსაფრთხოების საბჭოს კონსულტანტი). მისი აზრით, სოციალისტური სისტემის დაშლის შემდეგაც სახელმწიფოებს შორის დაპირისპირება გრძელდება, მაგრამ მან უფრო შენიღბული ფორმა მიიღო - სამხედრო-სტრატეგიული სფეროდან გადაინაცვლა ეკონომიკურ სიბრტყეზე. გეოპოლიტიკა შეცვალა გეოეკონომიკამ, რომელიც მისი აზრით, მოითხოვს დამუშავდეს ეკონომიკური თავდაცვის თუ შეტევების ისეთი წესი (ხერხები), რომლებიც უზრუნველყოფენ გამარჯვებას, რათა საკუთარი ქვეყნის მოსახლეობის ყველაზე მეტი ნაწილი საუკეთესოდ დასაქმდეს და საჭიროებისას ეს შეიძლება გაკეთდეს ნებისმიერი ქვეყნის (იგულისხმება დამარცხებული) ხალხის ხარჯზე¹.

ამრიგად, წინა პლანზეა წამოწეული სახელმწიფო პოლიტიკის ეკონომიზაციის პრობლემა. ეს ნიშნავს პოლიტიკური ამოცანების გადანყვეტას ეკონომიკური მეთოდებით, როცა ქვეყნის განვითარების სტრატეგიის ვექტორის განსაზღვრაში დომინანტია ეკონომიკური და არა პოლიტიკური, იდეოლოგიური ან ძალოვანი მიდგომები (გეოპოლიტიკაასეთ მიდგომას სწორად მიიჩნევს, ხოლო სამხედრო კომპონენტი მას იცავს. ამით იკვრება ორიენ-

ტაცია - კვანძი, კონკრეტული სიტუაციების შესაბამისად). ასეთი მიდგომით ერთხელ კიდევ დასტურდება, რომ მსოფლიო განვითარების ცენტრალური ვექტორი **გლობალიზაციაა**, ხოლო მისი მნიშვნელოვანი მხარეა **რეგიონალიზაცია**. ამიტომ სწორედ რეგიონის დონეზეა საჭირო სუვერენული სახელმწიფოს ახალი როლისა და ფუნქციების სწორად გააზრება.

ნიშანდობლივია, რომ დასახელებულ ავტორს ეკუთვნის ტერმინი „ტურბოკაპიტალიზმი“, რომელიც მისივე განმარტებით² არის დღევანდელი კაპიტალიზმი, რომლის დროსაც მსოფლიო ეკონომიკის ინფორმატიზაციისა და გლობალიზაციის მეშვეობით, პროცესები მიმდინარეობს უფრო სწრაფად. ამასთან წარმოიშობა

1 Economics. iht. imo2u/file.a2title(6803/odf)

2 იქვე

ახალი ტიპის უთანასწორობა. საშუალო კლასი თანდა-თანობით ღარიბდება, რადგანაც რისკები იზრდება. უფრო უარესია მდგომარეობა განვითარებად ქვეყნებში, სადაც „ტურბოკაპიტალიზმი“ ქმნის პირობებს იმისათვის, რომ მდიდარმა ფენებმა ფეხქვეშ მოაქციონ მთელი ეკონომიკა და ეროვნული სიმდიდრე. რაც აუარესებს დანარჩენი მოსახლეობის ცხოვრებას. „**ტურბოკაპიტალიზმი**“ ინვესტს ახალი სახის გეოეკონომიკურ კონფლიქტებს. ავტორის ეს ვარაუდი უკანასკნელ წლებში გამართლდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი, რომლის შედეგებმა მოამზადა შესაბამისი პირობები არსებული პარადიგმე-

გალითად, აზია-წყნარი ოკეანეთი - იმის მაგალითად, თუ როგორ შეიძლება რაციონალურად იქნას გამოყენებული დასავლეთის ტექნოლოგიები ადგილობრივ ტრადიციებთან შეხამებით. აღნიშნული პოლუსების ფუნქციონირება გვიჩვენებს იმას, რომ გლობალიზაცია (ფართო გაგებით ცენტრალიზაცია) და რეგიონალიზაცია (ფართო გაგებით დეცენტრალიზაცია) თავსებადი პროცესებია და ერთიანი მთლიანობითი სისტემის შემადგენელი ნაწილები. ისინი ერთმანეთს ავსებენ, ურთიერთგანპირობებულობის მაღალი ხარისხით გამოირჩევიან და ქმნიან განვითარების ერთიან სისტემა-პროცესს.

ერთი მხრივ, რეგიონული გაერთიანებები გლობალიზაციის როგორც პროცესის სუბიექტები არიან და მძლავრ იმპულსებს აძლევენ კონკრეტულ სივრცეში პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. **მეორე მხრივ,** ისინი ცდილობენ გლობალიზაციის, როგორც პროცესის, „ერთპიროვნული ლიდერის“ ოპონენტები იყვნენ და რეალურად განახორციელონ განსაკუთრებულ პოლუსებად ჩამოყალიბების იდეა. ასეთი დამოკიდებულების ფონზე ყალიბდება ორი პროცესის ურთიერთმელწევის დონე, რაც განვითარების ტენდენციების უფრო რეალურად პროგნოზირების საშუალებას იძლევა. ეს ნიუანსი (თვისებურე-



ბის შესაცვლელად.

გეოეკონომიკას, ანუ პოლიტიკური ამოცანების ეკონომიკური მეთოდებით გადაწყვეტას, რატომ ეძლევა უპირატესობა? იგივე ავტორის აზრით, გეოპოლიტიკისა და გეოეკონომიკის შედარებისას **ვაჭრობის მეთოდი ცვლის სამხედრო მეთოდს, ასევე თავისუფალი კაპიტალი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ცეცხლით შექმნილი ძალა, სამოქალაქო ინოვაციები უფრო არსებითია, ვიდრე სამხედრო-ტექნიკური განვითარება,** საბაზრო მექანიზმის გამოყენება უფრო ძლიერია, ვიდრე სამხედრო გარნიზონების და ბაზების ფლობა¹. ასეთი პოზიცია ობიექტურად ხსნის გეოეკონომიკის ფილოსოფიის დედააზრს, ამიტომ კომენტარებს არ საჭიროებს.

ამჟამად მსოფლიოში სამი გეოეკონომიკური პოლუსის - **ჩრდილო-ამერიკული, დასავლეთ-ევროპული და აზიურ-წყნაროკეანეთის** - ფუნქციონირება განსაზღვრავს გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის წინააღმდეგობრივი პროცესების მასშტაბს, თავისებურებებს, დინამიზმს. ნიშანდობლივია, რომ პირველზე მოდის მსოფლიო მშპ-ის 21%, მეორეზე -20, ჩინეთზე - 12 და იაპონიაზე - 7,5%. აღსანიშნავია, რომ დასახელებულ პოლუსებს ფორმირებისა და სტრატეგიის ერთმანეთისგან განსხვავებული იდეოლოგია გააჩნიათ. რამდენადაც ვიცით, **აშშ აღიარებულია თავისუფალი მენარმეობის მოდელად, ევროპა-ინტეგრაციის მა-**

ბა) ყოველმხრივ ყურადღებას საჭიროებს. მაგალითად, რეგიონალიზაცია მნიშვნელოვანწილად ასრულებს რა „ფილტრის ფუნქციას“, იძლევა საშუალებას რეგიონულ გაერთიანებებში (ალიანსებში) უფრო მოხერხდეს ეროვნული თავისებურებების (ტრადიციების) შენარჩუნება, და ამით მრავალფეროვნების, როგორც განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობის ეფექტიანად გამოყენება.

ინტეგრაციის ასეთ ხარისხს აქვს განსაკუთრებული თეორიულ-მეთოდოლოგიური დატვირთვა. **ერთი მხრივ,** მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესები, **მეორე მხრივ,** მისი რეგიონული ფრაგმენტაცია (მსოფლიოს კონკრეტულ სივრცეში ინტეგრირებული სისტემის, როგორც მთელის (მსოფლიოს) ორგანული ნაწილის ჩამოყალიბება-ფუნქციონირება) ნათლად აჩვენებს მსოფლიოში მიმდინარე პროცესების მრავალმხრივ ხასიათს და შესაბამისად მათი რეგულირების მრავალვარიანტულობის პერსპექტივას.

საქართველო XX საუკუნის 90-იან წლებში მსოფლიო გეოეკონომიკური გადასაწილების პროცესში აღმოჩნდა. საბჭოთა სოციალისტური ეკონომიკური სისტემა, რომელიც სამეურნეო ურთიერთობების ინტერნაციონალიზაციის მაღალი დონით გამოირჩეოდა, სპონტანურად დაინგრა. ცენტრალიზებული დაგეგმვისა და მართვის პრინციპებზე ჩამოყალიბებული სამეურნეო კოოპერაციის რთული სისტემა პარალიზებული აღმოჩნდა. გარდაქმნების პროცესი სტიქიურად დაიწყო,

1 დასახელებული წყარო

რამაც ლოგიკურად გამოიწვია წარმოების მოცულობის მკვეთრი დაცემა. მშპ 1994 წელს 1990 წელთან შედარებით შემცირდა 27,8%-მდე. ეკონომიკურმა დეპრესიამ დიდი გავლენა მოახდინა პოლიტიკურ ცხოვრებაზე. გაღრმავდა ეთნოკრიზისებიც. **ორი პროცესი:** ძველი სამეურნეო კავშირების მოშლა და ახლის (ჯერ კიდევ ილუზიებით წარმოდგენილის) ჩამოყალიბება და ეკონომიკის საბაზრო პრინციპებზე გარდაქმნა ერთდროულად დაიწყო. ობიექტურ და სუბიექტურ მიზეზთა გამო ქვეყანა ასეთი ამოცანის შესრულებისთვის მზად არ აღმოჩნდა. ეკონომიკა სისტემურმა კრიზისმა მოიცვა. ბუნებრივია, წარმოების მოცულობის მკვეთრმა შემცირებამ განაპირობა სოციალური პრობლემების უკიდურესი გამწვავება. **შიმშილი, უმუშევრობა, უნიგნურობა, ავადმყოფობა, უთანასწორობა** როგორც მწვავე პრობლემები მნიშვნელოვნად აფერხებს საზოგადოებრივ პროგრესს. 2013 წელს საქართველოს სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდა 134 ქვეყანასთან. საგარეო-სავაჭრო ბრუნვამ შეადგინა 10 784 მლნ. დოლარი. მათ შორის ექსპორტმა - 2909 მლნ. დოლარი. იმპორტი აღემატება ექსპორტს 2,7 ჯერ. უარყოფითმა სალდომ შეადგინა 4965 მლნ დოლარი. ევროკავშირის ქვეყნებთან ურთიერთობებში ექსპორტმა შეადგინა 27%. მთელი ბრუნვის 35% მოდის დსთ-ს ქვეყნებზე. 2013 წლიდან გაუმჯობესდა რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობები.



განვიღო პერიოდში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა „ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფნისა“ და „ენერგეტიკული დერეფნის“ (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, ბაქო-თბილისი-ერზრუმის, ბაქო-სუფსის მილსადენები) ამოქმედებას. მათი ფუნქციონირებით საქართველომ შეიძინა ევროპა-აზიის ქვეყნების ეკონომიკური ინტერესების დაბალანსების ხელშემწყობი ქვეყნის ფუნქცია. საქართველო აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო ეკონომიკური სტრუქტურების საქმიანობაში. იგი არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი. თანამშრომლობს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, მსოფლიო ბანკთან და სხვ. იგი ორიენტირებულია ევროკავშირთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება-გაძლიერებაზე. ამას ადასტურებს მასთან ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერა.

როგორც ჩანს საქართველოსთვის გეოეკონომიკა რეალურად იძენს მასშტაბურ მნიშვნელობას და ევროპისა და აზიის ქვეყნების განვითარების პერსპექტივით იძლევა საფუძველს განვიხილოთ იგი, როგორც განვითარების სტრატეგიული რესურსი.

გლობალურ პროცესებთან ადაპტირებისათვის პირველ რიგში საჭიროა ხელი შევუწყოთ ისეთი გარემოს შექმნას, რომ მოხერხდეს ბუნებრივ-საწარმო

პირობების, ე.წ. მთვლემარე რესურსების (მათ შორის ინტელექტუალური, რაც გენეტიკურად ჩამოყალიბებული ფენომენია ეფექტიანად და მიზანმიმართულად გამოყენება, ახალი ტექნოლოგიების, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის მეთოდების დანერგვა, განათლების, მეცნიერების უპირატესი განვითარება და სხვ.). **საქართველოს აქვს უნიკალური ტრადიციული რესურსი - ზოგად ქართული კულტურა, რომელიც ყოველთვის განმსაზღვრელი იყო ცივილიზაციათა ურთიერთობებში.**

ამრიგად, საქართველოს, რომელიც განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების გეოეკონომი-

კური ინტერესების ობიექტია, აქვს რესურსები და, რაც მთავარია, ისტორიული შანსი, თვითგანვითარება წარმართოს არა მხოლოდ საკუთარ ძალებზე დაყრდნობით, არამედ მსოფლიო თანამეგობრობის აქტიური მხარდაჭერითაც.

ქვეყანამ სწორად უნდა განსაზღვროს დროის გამოწვევების შესაბამისი გეოეკონომიკური სტრატეგია. მისი ამოსავალი საწყისი უნდა იყოს პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტა, უპირატესად, გრძელვადიანი ეკონომიკური მეთოდებით, არსებული ეროვნული სიმდიდრის რაციონალური გამოყენება, მეურნეობის კონკურენტუნარიანობის პირობების შექმნით, სატრანსპორტო და ენერგეტიკული დერეფნების პოტენციალის მაქსიმალური ამოქმედება, ცივილიზაციათა ურთიერთობებში ქართული კულტურის როლის გაძლიერება და სხვ.

**საქართველოს ეკონომიკა
ევრაზიის სივრცეში**

საქართველოს გეოეკონომიკური უპირატესობის სიბრტყეზე მკაფიოდ გამოჩნდა განვითარების ალტერნატიული პერპექტივა: **მომავალში ქვეყანა დარჩეს მსოფლიოს ჩამორჩენილ პერიფერიად, თუ მზარდი გეოეკონომიკური უპირატესობა საკუთარი იდენ-**



ტურობისა და თავისთავადობის განმტკიცებისთვის მიზანმიმართულად გამოიყენოს.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს გეოეკონომიკურ უპირატესობას თავისი ისტორიული წინაპირობები გააჩნია. კერძოდ, საქართველო ისტორიული თვალსაზრისით ორ ძლიერ ფენომენს - **ევროპულსა და აზიურს** ეყრდნობა. ნიშანდობლივია, რომ ევროპული და აზიური მენტალიტეტი, ტრადიციული ფილოსოფიით, ფასეულობებითა და ცხოვრების წესით ერთმანეთისგან თვისებრივად განსხვავებულია. ეს მკაფიოდ აისახა ქვეყნების როგორც ზოგად კულტურაზე, ასევე, სოციალურ-ეკონომიკურ სისტემებზე. **ერთი მხრივ, პროტესტანტული ეთიკა, და, მეორე მხრივ, აზიური წარმოების წესით განსაზღვრული პარადიგმები.** მკაფიოდ გამოიკვეთა პრობლემის - ეკონომიკისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულების - განსხვავებული კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომებიც. ეს რეალურად აისახა აზიის ქვეყნების (იაპონიის, ჩინეთის, ინდოეთის, სამხრეთ-კორეის, სინგაპურის, „პატარა ვეფხვების“ გამოცდილებაზე, რომელიც ეფუძნება ცენტრალიზაცია - დეცენტრალიზაციის თავსებადობის პრინციპს და არა მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს).

ამრიგად, საქართველო დგას ევროპისა და აზიის განსხვავებული ეკონომიკური პარადიგმების (ტენდენციების) მიჯნაზე, სადაც პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესი (როგორც ასეთი) განსაზღვრავს თანაარსებობის წესებს. მან ფაქტიურად შეიძინა ევროპისა და აზიის ქვეყნების ეკონომიკურ ინტეგრაციაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სუბიექტის ფუნქცია. ამასთან, იგი ბუფერული სივრცეა, რომელშიც თვისებრივად ახალ გარემოსთან ადაპტირების (თავსებადობის) პროცესი ნაკლები წინააღმდეგობებით ვითარდება. დიდი დატვირთვა აქვს იმას, რომ ქართული ფენომენი ზემოთდასახელებული ორივე შემადგენლის არითმეტიკულ ჯამზე მეტი სიდიდეა, ე.ი. თვისებრიობაა, ამრიგად, იგი ევრაზიული ფენომენია, ქართველი კი ევრაზიელი. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის თავისებურება, რომ

დასავლეთისთვის (ევროკავშირი, აშშ) საქართველო მიმზიდველია და მისაღები მათ ფასეულობებთან სიახლოვის გამო, ხოლო მთლიანად აზიის ქვეყნებისთვის მათი საერთო (საზიარო) ისტორიული ფესვების გამო. ამიტომ მნიშვნელოვანია ნდობის ფაქტორი.

გეოეკონომიკის, როგორც საქართველოს სტრატეგიული რესურსის გამოყენების თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს კავკასიის ერთიანი ეკონომიკური სივრცის (ბაზრის) ფორმირების პერსპექტივა. მხედველობაში მაქვს პირველ ეტაპზე სამხრეთ კავკასიის ქვეყნების (საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის) ეკონომიკური ინტეგრაცია, შემდგომში მისი გაღრმავება ირანის, თურქეთის, რუსეთის (ძირითადად მისი ჩრდილო კავკასიის სუბიექტები) მონაწილეობით. ასეთი ეკონომიკური სივრცის შექმნას რიგი უპირატესობები გააჩნია: პოლიტიკური სტაბილიზაციის რეგიონი უცხოური ინვესტიციების დაბანდების მიმზიდველი ობიექტი გახდება, რაციონალურად წარიმართება ენერგეტიკის განვითარება, რეკრეაციული რესურსების ათვისება, ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია. შეიქმნება ერთობლივი სანარმოები, საფინანსო, საკრედიტო სტრუქტურები, გაღრმავდება კულტურისა და მეცნიერების სფეროში თანამშრომლობა და სხვ.

რაც მთავარია, თანდათანობით მომზადდება პირობები კავკასიის რეგიონული ეკონომიკური მოდელის შესაქმნელად, რომელიც დაეფუძნება კავკასიის ხალხების შრომითი გამოცდილების, მეურნეობის გაძლიერების, თვითმმართველობის, სოლიდარობის, სამართლიანობის, ეკონომიკური ჰუმანიზმის, ტოლერანტობის პრინციპებს. ამ შემთხვევაში ევროპა-აზიის ქვეყნების ინტერესების გაფართოების არეალიც ახალი შინაარსით დაიტვირთება. მსოფლიო მიიღებს ეკონომიკური ინტერესების დაბალანსების **ერთ-ერთ პოლუსს** - კავკასიის პოლუსს, რომელიც ამჟამად მსოფლიოში ფუნქციონირებად **სამ გეოეკონომიკურ (ჩრდილო-ამერიკული („ნაფტა“), ევროპული (ევროკავშირი) და აზიურ წყნარი ოკეანეთის პოლუსებთან ერთად**

თვისებრივად შეცვლის (დაბალანსების თვალსაზრისით) გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის წინააღმდეგობრივ პროცესებს და ყოველმხრივ ხელს შეუწყობს ეკონომიკური ინტერესების დაბალანსებას. ასეთი უნიკალური როლი საქართველოს საუკუნეების განმავლობაში ჰქონდა (ისტორიული „აბრეშუმის გზა“), მაგრამ პოლიტიკური სიტუაციების ცვალებადობის გამო ეპიზოდურად ასრულებდა. ამ როლის გათანამედროვეობა დროის მოთხოვნების შესაბამისად მსოფლიოში მიმდინარე წინააღმდეგობრივი პროცესებით აიხსნება.

ბუნებრივია, დაისმება კითხვა: საქართველოსათვის ზემოთაღნიშნული როლი (ფუნქცია) რამდენად თავსებადია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესრულებასთან?

შეიძლება ცალსახად ითქვას, რომ თავსებადია. მთავარია, სწორად შეფასდეს განვითარების თანამედროვე ტენდენციები, კანონზომიერებანი.

რეალურად რასთან გვაქვს საქმე? **ევროკავშირის** სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები აქვს **ნაფტასთან, წყნარი ოკეანეთის ქვეყნებთან, დსთ-ს** ქვეყნებთან (მათ შორის რუსეთთან) ყველა მხარისათვის მისაღები ინტერესების გათვალისწინებით. ამასთან **ევროკავშირი** ორ დაპირისპირებულ მხარესთან **აშშ** და **რუსეთთანაც** ვაჭრობს („ცხელ გულზე“ მიღებული სანქციები პოლიტიკური ზემოქმედების დროებითი ფორმაა).

ამ კონტექსტში განვიხილოთ საქართველო და სამხრეთ კავკასიის ეკონომიკური სივრცის ფორმირების საკითხი. **საქართველოს** ეკონომიკა მჭიდრო ინტეგრაციაშია **აზერბაიჯანთან, სომხეთთან**, რომელიც ევროკავშირისთვის მიუღებელი **ევრაზიის საბაჟო კავშირის** წევრია. ამასთან კარგი ურთიერთობა აქვს სტრატეგიულ მოკავშირე **რუსეთთან** დაპირისპირებულ **აშშ** და **ევროკავშირის ქვეყნებთანაც**. ამასთან საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 55% მოდის დსთ-ს ქვეყნებთან. უკანასკნელ პერიოდში გაუმჯობესდა სავაჭრო ურთიერთობები რუსეთთანაც (დიპლომატიური ურთიერთობების შეწყვეტის ფონზე). ასეთია ქვეყნების განვითარების ისტორიული თავისებურება, რომელიც თანამედროვე მსოფლიოში ჩამოყალიბდა. მეტიც, მოხერხდა საქართველოს ისტორიულ მტრებთან თურქეთთან და ირანთან კეთილმეზობლური ურთიერთობების ჩამოყალიბება.

რატომ უნდა შეუშალოს ხელი ევროკავშირში შესვლამ საქართველოს ჰქონდეს ეკონომიკური ურთიერთობები (მიზანშეწონილობის შემთხვევაში) სხვა ქვეყნებთან, თუნდაც მათთანაც, ვინც ევროკავშირის მეგობრად არ მოიაზრება?

ჩემი აზრით, ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება საქართველოს ეკონომიკას აძლევს რეალურ შესაძლებლობას ინტენსიურად განვითარდეს და თავი დააღწიოს ქრონიკულ ჩამორჩენას. ეკონომიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე **ერთი მხრივ, ევროკავშირთან, მეორე მხრივ, მომავალში ე.წ. ევრაზიის საბაჟო კავშირის ქვეყნებთან, მესამე მხრივ,**

შუა აზიის ქვეყნებთან, ჩინეთთან, იაპონიასთან, ასევე თურქეთთან, ირანთან ურთიერთობათა ინტენსიობა საქართველოსთვის უნიკალური როლის გამრავალფეროვნების (საერთო ინტერესების დაცვით) ახალ შესაძლებლობას ქმნის. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ინტეგრაციული პროცესების ერთიან „**კარკასულ სისტემაში**“ მოქცევა და მასში საქართველოს ეკონომიკის აქტიურად ჩართვა ეკონომიკურ პოლუსებს შორის ურთიერთობების გაჯანსაღებას ხელს შეუწყობს და სამხრეთ კავკასიას, უპირველეს ყოვლისა უფრო მიმზიდველს გახდის. **ასეთი საქართველო სჭირდება გლობალურ პროცესებში მონაწილე როგორც სუპერ, ასევე სატელიტ და განვითარების შედარებით დაბალ დონეზე მდგომ ქვეყნებსაც.** რაც მთავარია, თავად საქართველოს სჭირდება ასეთი პოლიტიკურ-ეკონომიკური სივრცე საკუთარი ისტორიული როლის შესრულებისთვის. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ 500 მილიონიან ევროპას რამდენიმე მილიარდიან აზიასთან ეკონომიკურ ურთიერთობებში სჭირდება საქართველო (სამხრეთ კავკასია, კავკასია) როგორც ბუფერული სივრცე. ამ როლის შესრულებისთვის თვისებრივად უნდა გარდაიქმნას ეროვნული ეკონომიკა. აუცილებელია ეგზოგენურ და ენდოგენურ ფაქტორთა ერთობლიობა მიზანმიმართულად იქნას გამოყენებული ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებისთვის. ამისთვის საჭიროა მიზნების, ამოცანების, პრობლემების სისტემატიზაცია, პრიორიტეტების და მათი რეალიზაციის ეტაპების, მექანიზმების განსაზღვრა.

ჩემი აზრით, საქართველოს უნდა ჰქონდეს გრძელვადიან პერიოდზე გათვლილი ეკონომიკის მდგრადი განვითარების პროგრამა, რომელზეც აისახება ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფნისა და ენერგეტიკული დერეფნის განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით ქვეყნის ტერიტორიაზე საერთაშორისო ავტომაგისტრალის, რკინიგზის, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის განვითარების ამოცანები. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ანაკლიის საზღვაო პორტისა და აეროპორტის მშენებლობას.

ასევე მიზანშეწონილია თბილისი-წნორი-აზერბაიჯანის რკინიგზის შემდგომი გაფართოება, რაც ავტომაგისტრალთან ერთად მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს კახეთის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

პერსპექტიულად მიმაჩნია რკინიგზის სადგურ ინგირთან მიმდებარე ტერიტორიაზე (ინგირ-გალის მონაკვეთი) თანამედროვე სტანდარტების დონეზე თავისუფალი ეკონომიკური (სავაჭრო) ზონის ფორმირება-ფუნქციონირება, მას მრავალმხრივი უპირატესობა ექნება. იგი ანაკლიის საზღვაო და აეროპორტებთან, საერთაშორისო რკინიგზისა და ავტოტრანსპორტის მაგისტრალებთან სიახლოვით, აფხაზეთის რეგიონთან ეკონომიკური ინტეგრაციით, რუსეთის (მისი კავკასიის სუბიექტების) ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივით სატრანზიტო დერეფნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლის ფუნქციას შეასრულებს.

როდემდე უნდა ვაჩივბნოთ ქართული მიწა?!

საქართველოში 1992-1998 წლებში ჩატარებული ნაჩქარევი და გაუაზრებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შედეგად საქართველოს სახნავი მიწები და მრავალწლიანი ნარგავები დაქუცმაცდა და განიავდა.

მიწის ფართობების ფიზიკურ პირებზე უფასოდ და პატარ-პატარა ნაკვეთებად განაწილებამ გამოიწვია მიწის დანაწევრება-ფრაგმენტაცია და მისი არა ეფექტურად გამოყენება. დაიწყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების 0.15 ჰა-დან 1.25 ჰა მდე (მაღალ მთიან რეგიონებში 5 ჰა. მდე) მიწების დარიგება. სახნავი მიწების მასივები დაიყო წვრილ კონტურებად და განაწილდა, როგორც სოფლის, ასევე დაბისა და ქალაქის მოსახლეობაზე. სხვადასხვა მიმღებზე მიწა ერთ ნაკვეთად არ იყო გამოყოფილი.



პირიქით, გამოყოფის არჩეული ვარიანტით, თითოეულ ოჯახს დაახლოებით 3-7 მიწის ნაკვეთი დაურიგდა, რომლებიც სხვადასხვა ტერიტორიებზეა განლაგებული. და დაშორება ერთი მესაკუთრის სხვადასხვა ნაკვეთებსა და მის სახლს შორის შეიძლება 5 კმ-ზე მეტიც იყოს. ზოგიერთ რაიონებში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად დასახლებების შემოგარენში ხელმისაწვდომი მიწა საკმარისი არ იყო. ამგვარად, ბევრმა კომლმა, ფაქტიურად, მითითებულ 1.25 ჰექტარზე ნაკლები მიიღო. ზოგ ტერიტორიაზე, მიწის დარიგება გართულებული იყო იმის გამო, რომ მთავრობას არ შეეძლო მიწის განაწილების პროცესის კონტროლი და შესაბამის წესებისა და რეგულაციების აღსრულება.

ამ მასიური ტრანსფორმაციის პროცესის შედეგად 1,300,000 კომლი (ოჯახი) - დაახლოებით 3.5 მილიონი მოქალაქე - მცირე მიწის ნაკვეთების მესაკუთრე გახდა, კომლზე საშუალოდ 0,25 ჰა. ასე მაგალითად საქართველოს ერთ-ერთ რაიონში (დედოფლისწყარო-მარცვლეულის ბელელი) 1992 წლამდე არსებული სახნავი 46 000 ჰა. მიწა წარმოდგენილი იყო 560 ნაკვეთად. მიწის რეფორმის განხორციელების შედეგად აღნიშნული მიწა დანაწევრდა 26 000 ნაკვეთად.

საქართველოში პრივატიზებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფრაგმენტაცია - დიდი რაოდენობით მცირე ზომის დახლოებით 1.25 ჰა ნაკვეთების მესაკუთრეობის - ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი ფერმერული მეურნეობისთვის ძირითად დაბრკოლებას წარმოადგენს. ეს ფერმერები გამოიყენებენ ურისკო სტრატე-

გიებს და მათი განვითარების პოტენციური ფრიად ლიმიტირებულია. ისინი მიწას აღიქვამენ, ისე, როგორც სოციალურ უსაფრთხოებას და არა როგორც, ეკონომიკურ აქტივს. ფაქტიურად, ამ ფერმერთა უმრავლესობა ფერმერულ მეურნეობაში გრძელვადიან პერსპექტივას ვერ ხედავს და დღესდღეობით, ლიმიტირებული ინტერესი აქვთ მიწის კონსოლიდაციასთან დაკავშირებით.

საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე მოდის 0.14 ჰა სახნავი მიწა, 0.64 სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწა, რაც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია, სომხეთს ჩვენზე უკეთესი მდგომარეობა აქვს. მთლიანი მიწებიდან სახნავ-სათესის ფართობი შეადგენს მხოლოდ 9.3%-ს. და მრავალწლიანი ნარგავები 3.97%-ი. მხედველობაშია მისაღებია ისიც, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულის 30% ეროზირებულია. ქვეყნის სპეციფიური თავისებურებაა ის, რომ სახნავი მიწების უმეტესი ნაწილი განლაგებულია სხვადასხვა დაქანების ფერდობებზე. საქართველოს სახნავი მიწების 9% განლაგებულია 10 გრადუსზე მეტ დაქანებაზე. ქვეყნის მიწების დიდი ნაწილი დაზიანებულია მენყერებით, ღვარცობებით და თოვლის ზვავებით. საქართველოში აღრიცხულია 10 000-ზე მეტი მენყერი და 1000-მდე ღვარცოფი.

ასეთმა მდგომარეობამ არა მარტო ხელი შეუშალა სოფლის მეურნეობის განვითარებას საქართველოში, არამედ საქართველო უკან დასწია და ღარიბ, არსებობაზე ორიენტირებულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებად აქცია. მიწების ასეთი დანაწევრების შედეგად შეუ-

ძლებელია მექანიზაციის, გერბიციდების, სასუქების, შხამ-ქიმიკატების და სხვა სამუშაოების ეკონომიურად, რაციონალურად გამოყენება. ასეთ პირობებში უაღრესად დაბალია შრომის ნაყოფიერება.

1996 წლის დასაწყისში მომზადდა საქართველოს კანონის პროექტი: **“სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ”**. პროექტი ითვალისწინებდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში გადაცემის უფლებას საქართველოს მოქალაქეობის არამქონე პირზე ე.ი. უცხო ქვეყნის მოქალაქეს შეეძლებოდა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე განუსაზღვრელი რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობის შექმნა.

საქართველოს ინტელიგენციის პროტესტისა და კატეგორიული მოთხოვნის შედეგად შეიცვალა კანონის პროექტი და 1996 წლის 22 მარტს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი: **“სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ”**. მიღებულ კანონის მე-5 მუხლის, მე-2 პუნქტში ჩაინერგა: **“სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა საკუთრებაში გადაეცემა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს. საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირს და უცხო ქვეყნის მოქალაქეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა მიეცემა მხოლოდ იჯარით. კანონის მიღების დროს კანონი შედგებოდა 22 მუხლისგან, კანონში მიღების დღიდან დღემდე შეტანილი 14 ცვლილების შედეგად ამოღებულ იქნა 11 მუხლი. ფაქტიურად კანონმა დაკარგა არსებითი მნიშვნელობა და ვერ პასუხობს დღევანდელ მოთხოვნებს. ცვლილებების შედეგად 2007 წელს კანონის მე 19-ე მუხლის პირველი პუნქტიდან ამოღებულია “ა” ქვეპუნქტი, სადაც აღნიშნული იყო, რომ აკრძალულია მიწის ნაკვეთის გასხვისება თუ სივრცობრივად ერთმანეთთან დაკავშირებული მიწის ნაკვეთი გასხვისების შედეგად პატარავდება ხუთ პექტარზე ნაკლებად. რის შედეგად ისედაც დანაწევრებული მიწები კიდევ უფრო მეტად დანაწვრდა. ამავე კანონის მე 20-ე მუხლის პირველი პუნქტი ამოღებულია, სადაც აღნიშნული იყო: **“იმ მესაკუთრის მიმართ, რომელიც ზედიზედ ორი წლის განმავლობაში არ ამუშავებს მიწას, არ იხდის მიწათსარგებლობისათვის დადგენილ გადასახადს, არ უძღვება მეურნეობას და ასეთ შემთხვევაში იჯარითაც არ გაცემს სხვა პირზე, გამოყენებული იქნება საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები”**.**

ასევე ამოღებული იქნა კანონიდან მემკვიდრეობის, სოფლის მეურნეობის ცნების, საერთო საკუთრების წილის, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ღირებულების, გარიგების ნამდვილობისათვის აუცილებელი ნებართვის გაცემის, სადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში) გასხვისებისა და ნებართვის რეგისტრაციის ვადებულების და უპირატესი შეყიდვის უფლებების მუხლები.

შეიძლება ითქვას, პარლამენტის რომელ წევრს რა მოუხდებოდა, კანონიც ისე იცვლებოდა. რაც მთავარია სამნუხაროდ ყოველგვარი განხილვისა კანონში

შეტანილი იქნა ცვლილება დაუშვებს უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში გადაცემა. შემდეგ ისევ აიკრძალა. ეს მუხლი კანონიდან ამოღებული იქნა (გაქრა). შემდეგ ისევ აღდგა. კანონში აღინიშნა: **“უცხოელი და საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირები ვალდებული არიან თავიანთ საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები მათზე საკუთრების უფლების წარმოშობიდან ექვსი თვის ვადაში გაასხვისონ საქართველოს მოქალაქეზე, კომლზე ან/და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირზე.”**

გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში კანონმა გაითვალისწინა უცხოელსა და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს სასამართლოს გადაწყვეტილებით და სათანადო კომპენსაციით სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამოერთმევათ მათ საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ჩამორთმევისას გამოიყენება: **“აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ”** საქართველოს კანონით დადგენილი ნორმები.

ვერაფერს ვერ იტყვი ძალიან კარგი და სწორი გადაწყვეტილებაა. მაგრამ რა ხდება ამის შემდეგ: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ, ამავე დროს მომხსენებელმა მოსამართლემ გიორგი ჰაპუაშვილმა, დააკმაყოფილა დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტის სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ და 2013 წლის 26 ივნისს გაატარა **“საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება №3/1/5/512”**, რომლითაც გაუქმდა უამისოდაც უაღრესად არასრულყოფილ, სახელდობრ, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესთა უგულვებელყოფელ **“სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ”** საქართველოს კანონში გათვალისწინებული ყველა შეზღუდვები უცხოელთა (მოქალაქეობის არ მქონე პირი) მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვასა და საკუთრებაში ქონაზე. ამით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწა—ქართველი ერისა და საქართველოს ყველა მოქალაქის და მათი შთამომავლობის საარსებო ბაზა ან და მარადის—გატანილი აღმოჩნდა მსოფლიოს ღია ბაზარზე, სადაც, დღესდღეობით არ ფიგურირებს საქართველოს არცერთი კონკურენტუნარიანი მოქალაქე. ჩვენის აზრით ეს ქმედება სამშობლოს ღალატის ტოლფასია.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებამ ალაშფოთა საქართველოს საზოგადოების ნაწილი და საქართველოს პარლამენტმა გამოაცხადა მორატორიუმი და 2014 წლის ბოლომდე შეაჩერა სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისება უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე და იმ იურიდიულ პირე-



ბზე, რომლებიც საქართველოშია დაფუძნებული. ამის შემდეგ ავსტრიის მოქალაქეს შეაქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი და მოითხოვა საქართველოს პარლამენტის მორატორიუმის ბათილად გამოცხადება. ჩვენმა საამაყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა ავსტრიის მოქალაქის სარჩელი და დღეს უკვე შესაძლებელია უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირებმა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე განუსაზღვრელი რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები შეიძინონ.

საინტერესოა ვინ არიან ეს დანიისა და ავსტრიის მოქალაქეები, რა ინტერესი აქვთ და ვინ დგას მათ უკან? მაშინ როდესაც ავსტრიის სახელმწიფოში უცხოელთა მიერ მიწის შეძენა რეგულირდება ცალკეული მიწების კანონებით. მაგალითად, ერთ-ერთი მიწის (ბურგერლანდის) “კანონით უცხოელის მიერ უძრავი ქონების შეძენის შესახებ”, უცხოელი უძრავი ქონების შეძენისთვის საჭიროებს ნებართვას (§13). ნებართვა კი, თავის მხრივ, შეიძლება მიღებული იქნეს თუ „სახელმწიფოებრივ—პოლიტიკური“ ინტერესები არ იქნება შელახული და თუ:

- არსებობს მიწის (ბურგერლანდის) ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული ინტერესი
- უცხოელი ავსტრიის ტერიტორიაზე მინიმუმ 10 წელი ლეგალურად, კანონიერად იმყოფება და მისი შენაძენით მნიშვნელოვანი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ან სხვა საჯარო ინტერესი არ ილახება.

თუ უცხოელს (და მათ შორის არ მოიაზრებიან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოთა მოქალაქეები) ნაყოფიერი, სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენა სურს,

ის ზემოთ მოცემულ ნებართვასთან ერთად საჭიროებს დამატებით ნებართვას რომელიც გაიცემა სპეციალური კომისიის მიერ (rundverkehrrskommission) (§8).

დაახლოებით იგივე რეგულირება ავსტრიის სხვა მიწების კანონდებლობებითაც, ის ითვალისწინებს, რომ უცხოელის მიერ ყოველგვარი ქონების შეძენა (ყიდვით, ჩუქებით ან გაცვლით) არ საჭიროებს ნებართვას. მაგრამ უცხოელის მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის (1 ჰექტარზე მეტის) არა თუ შეძენა, არამედ იჯარით აღებაც კი საჭიროებს სპეციალურ ნებართვას.

უძრავ ქონებაზე საკუთრების შეძენის ნებართვა იმ შემთხვევაში შეუძლია უცხოელმა მიიღოს, თუ:

- ის აკმაყოფილებს იმ პირობებს, რომელსაც საკუთრების შეძენისას ქვეყნის მოქალაქეც უნდა აკმაყოფილებდეს,
- თუ არ იქნება შელახული ავსტრიის კულტურული, სოციალურ-პოლიტიკური და საჯარო ინტერესი ან უშიშროება,
- სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ინტერესები არ იქნება შელახული. უცხოელთა მიერ მიწის შეძენის შესახებ ავსტრიის ყველა ფედერაციულ ერთეულში ვხვდებით მსგავს რეგულირებას.

ვფიქრობთ ჩვენი ჟურნალისტები დაინტერესდებიან ვინ არიან ეს უცხოელები რომლებიც ასე „ზრუნავენ“ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე“, ვინ დგას მათ უკან და ვის ინტერესში შედის საქართველოს ლალატი.

2012 წლის ივნისიდან 2013 წლის ივნისამდე უცხოელების მიერ შეიქმნა 395 იურიდიული პირი, რომლებმაც იყიდეს 271 ნაკვეთი. დღეის მდომარეობით (არა ზუსტი მონაცემებით) უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გაყიდულია ათასობით ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი. საუბედუროდ ამით არ დამთავრე-

ბულა ქართული მიწის ღალატი.

2005 წლამდე ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად ხდებოდა მიწების აღრიცხვა მიწის დანიშნულებისა და კატეგორიების, რაიონების, მხარეების, მიწის მესაკუთრეთა და მოსარგებლეთა მიხედვით. ამ მიზნით, ყოველი წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაიონის გამგეობა ამტკიცებდა მიწის ბალანსს, რომელსაც შემდეგ იხილავდა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი და დასამტკიცებლად წარუდგენდა საქართველოს მიწისტრთა კაბინეტს.

მას შემდეგ, რაც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ჩვენის აზრით ქართული მიწის ღალატის ფასად 2004 წელს ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ლიკვიდაციასთან ერთად გაუქმდა მის დაქვემდებარებაში არსებული სამინათმონყობო ინსტიტუტი და ლაბორატორია, გაჩერდა ნიადაგების კვლევის და სხვა მიმდინარე სამუშაოები. სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში (ამ დარგის ერთადერთ უმაღლეს სასწავლებელში) შეწყდა მინათმონყობთა კადრების გამოშვება. მიწის აღრიცხვა და მიწის ბალანსის შედგენა ქვეყანაში დღემდე არ ხორციელდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღეს ვერავინ გეტყვით, რამდენი ჰექტარი სასაოფლო-სამეურნეო სავარგული გააჩნია ქვეყანას, მათ შორის რამდენია კერძო საკუთრებაში, მუნიციპალურ თუ სახელმწიფო საკუთრებაში. რაც მთავარია, არ ვიცით მიწის ფართობები დანიშნულებისა და კატეგორიების მიხედვით.

საყურადღებოა, რომ მიწის ბალანსი მოიცავდა მონაცემებს დასავლეთ საქართველოში მიწების მეორადი დაჭაობების, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს რიგ რაიონებში – პირობითი გაუდაბნოების, ეროზირებული, დამლაშებული და სხვა არასასურველი პროცესების შესახებ. ჩუკანასკნელ პერიოდში ეს პროცესები, ბუნებრივია, უფრო ფართო ხასიათს მიიღებდა, მაგრამ თუ რა მდგომარეობაა დღეს ამ მიმართულებით, დაბეჯითებით ვერავინ იტყვის, სათანადო მონაცემების არარსებობის გამო.

საქართველოს ძირითადი ნივთობრივი სიმდიდრის ყოველწლიურ ბალანსში მიწა აღირიცხებოდა დანიშნულებისა და კატეგორიების, აგრეთვე საკუთრებისა და სარგებლობის ფორმების მიხედვით. მასში აისახებოდა წლის განმავლობაში მიწის კატეგორიებში, სასაოფლო-სამეურნეო სავარგულებში და საკუთრება-სარგებლობაში მომხდარი რაოდენობრივ-ხარისხობრივი ცვლილებები. მიწის ბალანსი განიხილებოდა დაინტერესებული სამინისტროების და უწყებების მიერ და მტკიცდებოდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით, რომელშიც მოცემული იყო მიწების უფრო რაციონალურად მართვის რეკომენდაციები.

„ჟ) საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალებით შემოსვლილი პირის ავტოსატრანსპორტო საშუალების ძრავის კვების სისტემასთან კონსტრუქციულად და ტექნოლოგიურად დაკავშირებულ სტანდარტულ ავზში არსებული საწვავის იმპორტი;“

რითაც ფაქტობრივად გასწორდა საგადასახადო კოდექსის მოქმედ რედაქციაში არსებული აღნიშნული ხარვეზი.

ასევე ცვლილებები შევიდა სსკ-ის 168-ე მუხლის (დღგ-ისაგან განთავისუფლებული ოპერაციები) ზოგიერთ პუნქტებში, კერძოდ კი:

არსებული კანონმდებლობით შიდა გადამუშავებაში მოქცეული საქონელის გადამუშავების მიზნით გაწეული მომსახურება (საქონლის დამუშავება, მონტაჟი, აწყობა, სხვა საქონელზე მორგება, წარმოება, შეკეთება, აღდგენა და სხვა) იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით, რაც იწვევს ქართული კომპანიების მიერ უცხოური კომპანიებისათვის გასაწევი მომსახურების გამპირებას და არაკონკურენტუნარიანი პირობების შექმნას. ცვლილებების შესაბამისად დამატებული ღირებულების გადასახადისგან განთავისუფლდება შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში მოქცეულ საქონელზე აღნიშნული სასაქონლო ოპერაციის ფარგლებში მონტაჟის, აწყობის, რემონტის, წარმოების, შეკეთების და სხვა მომსახურების სახეების გაწევა.

რედაქციულად დაზუსტდა ტურისტული საწარმოს განხორციელებული ოპერაციების დღგ-ში არსებული შეღავათის გამოყენებასთან დაკავშირებული დებულებები.

საგადასახადო კოდექსის 174-ე მუხლის (დღგ-ის

ჩასათვლელი თანხა) პირველი ნაწილის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებსა და 175-ე მუხლის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა) 3-ე ნაწილში განხორციელებული ცვლილებების შედეგად დაზუსტდა დღგ-ით საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის დაბეგვრის პირობები.

სსკ-ს 178-ე მუხლს (წარმომადგენლის მიერ განხორციელებული ოპერაცია) დაემატა მე-3 ნაწილი, რომლის შესაბამისად ტურისტული საწარმოს მიერ მომსახურების გაწევა ტურისტული საწარმოს ოპერაციად განიხილება:

„3. ტურისტული საწარმოს მიერ ფიზიკური პირისაგან მიღებული სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის გამოყენებით სასტუმრო მომსახურების გაწევა განიხილება ტურისტული საწარმოს ოპერაციად და დღგ-ით იბეგრება ტურისტული საწარმოსთვის ამ კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.“

საგადასახადო კოდექსის 203-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელია პირი სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწაზე, რომლითაც სარგებლობს ან რომელსაც ფლობს იგი. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც სადავო ხდება რამდენად მოიაზრება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ცნებაში ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული მიწები. აღნიშნული ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით, 200-ე მუხლს



დაემატა მე-7 ნაწილი, რომლის შესაბამისადაც ქონების გადასახადით დაბეგვრის მიზნით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის განმარტების შესახებ დაზუსტდა, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებულ მიწასაც. ცვლილებით გამოირიცხა ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული მიწების ქონების გადასახადით დაბეგვრისგან თავის არიდების შემთხვევები.

საგადასახადო კოდექსის 238-ე მუხლს დაემატა 8¹ ნაწილი, რომლის მიხედვით, თუ საგადასახადო დავალიანების თანხა არ აღემატება 5000 ლარს, შემოსავლების სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადება შესაძლებელი გახდა 1 წლით, უზრუნველყოფის საშუალებების წარდგენის გარეშე.

საგადასახადო კოდექსის 286-ე მუხლის მე-7 ნაწილის ახალი რედაქციის შესაბამისად დაზუსტდა, რომ სასაქონლო ზედნადების გამოყენება სავალდებულოა დაბეგვრის სპეციალური შეღავათიანი რეჟიმით მოსარგებლე პირთათვის (მიკრო, მცირე ბიზნესისა და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირები), იმ შემთხვევაში, თუ სამეურნეო ოპერაცია არ ხორციელდება შესაბამისი საქმიანობის ფარგლებში.

ამავე მუხლის მე-13 ნაწილი ფორმულირებულია ახალი რედაქციით, რომლის შესაბამისად, ამავე მუხლის პირველი 1¹ და 1² ნაწილებით (სამეწარმეო საქმიანობისათვის საქონლის (მათ შორის, ხე-ტყის) სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება. მყიდველის მოთხოვნისას სასაქონლო ზედნადების გაუცემლობა ან საქონლის შეძენისას სასაქონლო ზედნადების (მიღებაზე უარის თქმა) გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ თანამშრომელს ექნება უფლება გააჩეროს პირი და სატრანსპორტო საშუალება, მოსთხოვოს მას პირადობის დამადასტურებელი საბუთი, სატრანსპორტო საშუალებისა და საქონლის თანმხლები საბუთები, მოახდინოს სატრანსპორტო საშუალების ვიზუალური დათვალიერება და აღნიშნული დააფიქსიროს ტექნიკური საშუალებებით.

მნიშვნელოვანი და არსებითი ხასიათის ცვლილებები და დამატებები შევიდა საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლში.

აღნიშნული მუხლის 37 ნაწილის ახალი რედაქციის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით ჩამოწერას ექვემდებარება:

ა) 2005 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და ამ ქვეპუნქტის ამოქმედებამდე გადაუხდელი აღიარებული საგადასახადო დავალიანება და მასზე დარიცხული საურავი, თუ პირს 2005 წლის შემდგომი პერიოდისათ-



ვის (თანხის ჩამოწერამდე) საგადასახადო ორგანოში არ წარუდგენია საგადასახადო დეკლარაცია/გაანგარიშება (გარდა პირის ქონების გადასახადის დეკლარაციისა/გაანგარიშებისა) ან საგადასახადო ორგანოში წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების (გარდა პირის ქონების გადასახადის დეკლარაციის) საფუძველზე გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხა ნულის ტოლია (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციით/გაანგარიშებით ერთობლივი შემოსავლის თანხა ნულზე მეტია ან/და ჩასათვლელი თანხა აღემატება დარიცხულ თანხას) ე. ი. აქტივობები არ უფიქსირდებათ;

ბ) 2009 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაზე დარიცხული საურავი და 2009 წლის 1 იანვრამდე დარიცხული აღიარებული ჯარიმა. აღიარებული გადასახადის თანხის გადახდის პირობით, თუ პირს შემდგომ პერიოდში ანალოგიურადვე აქტივობები არ უფიქსირდება;

გ) საკონტროლო სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევისათვის ფიზიკური პირისათვის 2013 წლის 1 იანვრამდე დაკისრებული/დარიცხული და ამ ნომრის ამოქმედებამდე გადაუხდელი ჯარიმა. (ეს უკანასკნელი გავრცელდება 2013 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე).

ამავე მუხლის 42-ე ნაწილში შეტანილი ცვლილების შესაბამისად იმ პირების, რომლებიც 2012 წლის 1 იანვრამდე ახორციელებდნენ ბაზრობის ორგანიზებას (გარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობის ორგანიზებისა) ვალდებულება სსკ-ის 26-ე მუხლის შესაბამისად მიიღონ სპეციალური სავაჭრო ზონის სტატუსი გადავადებულია 2017 წლის 1 იანვრამდე (ყოფილი რედაქცია ითვალისწინებდა 2016 წლის 1 იანვრამდე).

კიდევ ერთხელ გადავადდა, საგადასახადო კოდექსის აქილევსის ქუსლად ქცეული სსკ-ის 123-ე მუხლით გათვალისწინებული სუსტი კაპიტალიზაციის მოქმედების წესის გავრცელების ვადა და იგი 2016 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე არ გავრცელდება (ყოფილი რედაქცია

ითვალისწინებდა 2016 წლის 1 იანვრამდე).

საგადასახადო კოდექსის ამავე მუხლში შეტანილი 65-ე - 73-ე ნაწილებით 2015 წლის 1 იანვრიდან მნიშვნელოვანი შეღავათები შედის ძალაში ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერისა და ევროპული ფეხბურთის ასოციაციის კავშირის (უეფა-ს) 2015 წლის სუპერთასის და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების ფარგლებში მიღებული შემოსავლები-სა, აგრეთვე მიწოდებული საქონლისა და მომსახურების გადასახადებით დაბეგვრისაგან განთავისუფლების თვალსაზრისით, რომლით სარგებლობის წესსაც საქართველოს ფინანსთა მინისტრი განსაზღვრავს.

P.S. კომენტარები უკვე მზად იყო, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ კიდევ რამდენიმე კანონპროექტის განხილვის შემდეგ საქართველოს 2014 წლის 11 დეკემბრის N2874, საქართველოს 2014 წლის 12 დეკემბრის N2938; N2949; N2950; N2952; N2953 და საქართველოს 2014 წლის 26 დეკემბრის N3015 კანონებით საქართველოს საგადასახადო კოდექსში ახალი ცვლილებები და დამატებები შევიდა.

ასე, რომ საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებები პერმანენტულად კვლავაც გრძელდება. ამდენად, გადამხდელები მუდმივად უნდა იყვნენ საქმის კურში საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებების თაობაზე, სხვა შემთხვევაში, ისინი კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების არ ცოდნის გამო, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ახალი რეგულაციების უნებლიე მსხვეპლიც კი შეიძლება გახდნენ, ან კიდევ მათთვის შემოღებული შეღავათებით ვერ ისარგებლონ.

სულიკო ფუტკარაძე

ბიზნესის მართვის აკადემიური დოქტორი, ჟურნალ „ბიზნესი და კანონმდებლობის“ სამეცნიერო საბჭოს წევრი.

ლელა გურგენაძე

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში

პოსტსოციალისტურ საქართველოში ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად ყოველთვის მიიჩნეოდა ადგილობრივი თვითმმართველობების ფორმირება და გამდიდრება. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში განვითარების რამდენიმე მოდელი შეიქმნა, იყო პოზიტიური ნაბიჯებიც, თუმცა, თვითმმართველობათა რეალური განვითარება მაინც ვერ მივიღეთ.

თვითმმართველობების განვითარების აუცილებლობა განსაკუთრებულად მწვავედ დგას დღის წესრიგში ეხლა, რადგანაც საქართველოს კურსი ადგილობრივი აქვს ევროპული სტრუქტურებისკენ, გამომდინარე აქედან, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების ისეთი სტრატეგიის შემუშავებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საქართველოს მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და მათი კონკურენტუნარიანობის ზრდა. საქართველოში წლების განმავლობაში არ არსებობდა საკანონმდებლო ბაზა, რომელიც უზრუნველყოფდა მუნიციპალიტეტების შემდგომ განვითარებას. მუნიციპალიტეტებისადმი გატარებულ პოლიტიკას არ გააჩნდა მწყობრი ხასიათი, ამას ემატებოდა ქვეყანაში არსებული მძიმე კრიმინოგენური და ეკონომიკური მდგომარეობა, დაქვეითებული შრომითი და სამეწარმეო აქტივობა, რაც მთლიანობაში მუნიციპალიტეტების განვითარებაზე უარყოფითად აისახებოდა და არაპროგნოზირებადს ხდიდა მათ საქმიანობას.

მიუხედავად ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიღებული არაერთი კანონისა, წლების განმავლობაში მუნიციპალიტეტების მდგომარეობა არ უმჯობესდებოდა და მათი ცენტრზე დამოკიდებულება კიდევ უფრო იზრდებოდა.

ათწლეულების განმავლობაში არ ხდებოდა მუნიციპალიტეტებში არსებული რეზერვების გამოყენება. მუნიციპალიტეტებს არ გააჩნდათ ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე პროგრამები. მუნიციპალიტეტების ეკონომიკური განვითარებისათვის არ იყო განსაზღვრული სხვადასხვა ადგილობრივი მიმართულებების პრიორიტეტულობა, საკითხები წყდებოდა სპონტანურად, ყოველგვარი განხილვისა და მოსახლეობის აზრის გათვალისწინების გარეშე. ადგილი ჰქონდა კომპეტენციების და უფლებამოვალეობების აღრევას ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის.

მდგომარეობა ამჟამადაც რთულია, ადგილობრივ თვითმმართველობებს არ გააჩნიათ დამოუკიდებლობა, ცენტრალური მთავრობის მიერ მიღებული კანონები ვერ უზრუნველყოფენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ეკონომიკის მდგრად განვითარებას, ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარე-



ბორის ჭიჭინაძე

ეკონომიკის აკადემიური
ლოქტორი, აკაკი წერეთლის
სახელობის ქუთაისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
მასწავლებელი

ობის გაჯანსაღებას და ეკონომიკური ზრდის პოლიტიკაზე გადასვლას.

საჭიროა აღინიშნოს, რომ საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობებს აქვთ განვითარების დიდი პერსპექტივა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან იქნება პოლიტიკური ნება მუნიციპალიტეტების განვითარებისთვის. მინიმალური იქნება უცხოეთის ე.წ. „კეთილისმყოფელების“ ჩარევის ხარისხი ადგილობრივი კანონების მიღებისას და მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია.

თვითმმართველობების განვითარებისთვის ამოავლად უნდა იქცეს პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ სფეროებში ცენტრის და მუნიციპალიტეტების ურთიერთობების სწორად შეფასება. ამისთვის კი საჭიროა მოხდეს არსებული პრობლემებისადმი სისტემური მიდგომა, სხვა ქვეყნების განვითარების, მისი მმართველობითი სისტემის ისტორიის ცოდნის გაზიარება. მუნიციპალიტეტების რესურსული პოტენციალის განსაზღვრა-შეფასება, ადგილებზე არსებული ადამიანური კაპიტალის მაქსიმალურად გამოყენება. საზღვარგარეთის ქვეყნების მუნიციპალიტეტების გამოცდილების გაზიარებისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებანი და ტრადიციები.

თვითმმართველობების განვითარების მორიგ მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ ხელისუფლების მიერ თვითმმართველობის ახალი კოდექსის შემუშავება,

რომელიც ვფიქრობთ, გარკვეულ ნოვაციებთან ერთად, დაზღვეული არ არის ხარვეზებისაგან და პრობლემათა ღრმად წვდომას მოითხოვს.

ახალი თვითმმართველობის კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 2014 წლის 15 ივნისს ჩატარებული თვითმმართველობის არჩევნების ოფიციალურად გამოცხადების შემდეგ, მნიშვნელოვანი ნოვაციებით ხასიათდება, მაგრამ მოუხედავად ამისა, საჭიროა აღინიშნოს, რომ ვერც ეს ახალი კოდექსი ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობების ფინანსურ დამოუკიდებლობას და ცენტრისა და მუნიციპალიტეტების უფლება-მოვალეობათა მკაცრად გამიჯვნას.

ამ კანონით მნიშვნელოვნად გაიზარდა პირდაპირი საყოველთაო არჩევნების გზით არჩეული გამგებლის (მერის) ფუნქციები, მაგრამ ამასთანავე შემცირდა თემების (სოფლების) უფლებები. მუნიციპალიტეტის თემებში ადრე არსებული რწმუნებული შეიცვალა გამგებლის წარმომადგენლებით, აღნიშნული ცვლილება გაუგებარია, რადგანაც ამ ცვლილებით არ მომხდარა მუნიციპალიტეტების თემებში დანიშნული პირების უფლებების ზრდა, ამ პირებს ისევ მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიშნავს და მათი ფუნქციები კანონით არ არის მკაცრად რეგულირებული, ასეთი მიდგომები ადგილებზე კიდევ უფრო ართულებს ისედაც გართულებულ მდგომარეობას. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის (გამგებლის/მერის უფლებამოსილება) მეორე ნაწილით გამგებელი/მერი უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში დანიშნოს გამგებლის/მერის წარმომადგენელი. საჭიროა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ნორმა გამგებელს ანიჭებს უფლებას და არ ავალდებულებს მას მუნიციპალიტეტის ყველა თემში დანიშნოს თავისი წარმომადგენელი, ასეთი მიდგომით შეიძლება მოხდეს, რომ ზოგიერთ თემში მუნიციპალიტეტის გამგებელს არ ყავდეს თავისი წარმომადგენელი.

სიახლეა ახალ კოდექსში ტრანსფერების კუთხითაც, რადგანაც შემოღებულია ახალი ტრანსფერი - კაპიტალური ტრანსფერი. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 94-ე მუხლის მიხედვით სულ მუნიციპალიტეტები შემდეგი სახის ტრანსფერებს მიიღებენ:

- ა) გათანაბრებითი ტრანსფერი;
- ბ) მიზნობრივი ტრანსფერი;
- გ) სპეციალური ტრანსფერი;
- დ) კაპიტალური ტრანსფერი.

იმავ კოდექსის 96-ე მუხლის მიხედვით კაპიტალური ტრანსფერი გადაეცემა ერთი ბიუჯეტიდან სხვა ბიუჯეტს მიზნობრივი პროექტის განსახორციელებლად და იგი დაკავშირებულია ტრანსფერის მიმღების არაფინანსური აქტივების ზრდასთან. კაპიტალური ტრანსფერი შეიძლება გადაეცეს:

- ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს;
 - ბ) ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს.
- იქვე აღნიშნულია, რომ კაპიტალური ტრანსფერის

გადაცემის წესს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

კოდექსის სიახლედ შეიძლება მივიჩნიოთ სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების შემოღება. კოდექსის 146-ე მუხლის მიხედვით სამხარეო საკონსულტაციო საბჭო არის სახელმწიფო რწმუნებულთან-გუბერნატორთან არსებული მუნიციპალიტეტთა საკონსულტაციო ორგანო, რომელიც იქმნება და საქმიანობს ამ კანონით დადგენილი წესით. საკონსულტაციო საბჭოს მიზანია, უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის ინტერესების წარმოდგენა და გათვალისწინება სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის უფლებამოსილების განხორციელების, ტერიტორიის განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობაში თანამდებობრივად შედის ყველა შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი, საკრებულოს თავმჯდომარე და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე. სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს უფლებამოსილებაა:

ა) სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის წარდგინებით შესაბამის ტერიტორიაზე სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელი პროექტების, პროგრამებისა და მათი ხარჯთაღრიცხვების განხილვა;

ბ) სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის უფლებამოსილების განხორციელების ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის განხილვა;

გ) სახელმწიფო რწმუნებულისთვის-გუბერნატორისთვის რეკომენდაციების შემუშავება შესაბამისი ტერიტორიის განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.

სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სხდომებს იწვევს სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი. სამხარეო საკონსულტაციო საბჭო იკრიბება 3 თვეში ერთხელ მაინც.

რამდენად ეფექტური და პროდუქტიული იქნება რეგიონებში სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების ფუნქციონირება, ამას დრო გვიჩვენებს, ამ ეტაპისთვის რაიმე სახის კომენტარის გაკეთება არ იქნება მიზანშეწონილი.

სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები ახალი კოდექსით არ განხორციელებულა, გამომდინარე აქედან, ისევ გადაუჭრელი დარჩა ის მნიშვნელოვანი საკითხები, რაც წლების განმავლობაში არსებობს მუნიციპალიტეტებში.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 165-ე მუხლით საქართველოს მთავრობა ვალდებულია მიიღოს ასევე გარკვეული სახის ადმინისტრაციული აქტები მუნიციპალიტეტების ნორმალურად ფუნქციონირებასთან დაკავშირებით.

კიდევ უფრო რთულად დგას საკითხი მუნიციპალიტეტების ქონების ფორმირებისას. კანონის პროექტით ფაქტობრივად არ არის განსაზღვრული თვითმმართველობებზე გადასაცემი ქონების შესახებ. რაც კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის თვითმმართველობების მუშაობას და აძლიერებს ცენტრალიზებას. კანონის

107-ე მუხლში აღნიშნულია, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებას წარმოადგენს:

ა) ადგილობრივი მნიშვნელობის გზები და მათი შემადგენელი ნაწილები, ქუჩები, მიწისქვეშა და მიწის-ზედა გადასასვლელები, ტროტუარები, შუქნიშნები, გარე განათების კონსტრუქციები, მოედნები, სკვერები, ბულვარები, შადრევნები, პარკები, მწვანე ნარგავები და ნაპირგასამაგრი ნაგებობები.

ბ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, გარდა:

ბ.ა) კერძო საკუთრებაში არსებული, სახელმწიფო ქონებაზე დამაგრებული მიწისა;

ბ.ბ) სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებულ ქონებაზე დამაგრებული მიწებისა;

ბ.გ) მიწებისა, რომლებიც ექვემდებარება დასახელებული კატეგორიის ქონებაზე (სახელმწიფო ქონება და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებული საზოგადოების ქონება) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამაგრებას;

გ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ობიექტებზე, მათ შორის ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ობიექტებზე მიმაგრებული მიწა;

დ) ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის და წყლის რესურსები;

ე) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, გარდა:

ე.ა) კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებისა, მათ შორის საძოვრებისა (აქ ცოტა გაურკვევლობაა, მიწა ან კერძო ან სახელმწიფო საკუთრებაშია, აქედან აღნიშნული კანონის პროექტით არცერთი არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებას, მაშინ საინტერესოა რომელი მიწები ეძლევა ადგილობრივ თვითმმართველობებს);

ე.ბ) პირუტყვის გადასარეკი ტრასებისა;

ე.გ) 500 -მეტრიან სასაზღვრო ზოლში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა;

ე.დ) დაცული ტერიტორიების მიწისა;

ე.ე) სახელმწიფო ტყის ფონდის მიწისა;

ე.ზ) საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემული მიწისა;

ე.თ) წყლის ფონდის მიწისა.

როგორც ჩანს, თვითმმართველობების საკუთრებაში არსებული ქონების ჩამონათვალი მეტად მწირია და ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობების წინაშე არსებული ვალდებულებების შესრულებას. აღნიშნული კუთხით კანონში მნიშვნელოვანი ცვლილებებია შესატანი, რათა დაცულ იქნეს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის მოთხოვნები, სადაც პირდაპირ არის აღნიშნული, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებს უნდა გააჩნდეთ საკუთარი ქონება და ფინანსები.

აქვე საჭიროა აღვნიშნოთ იმის შესახებ, თუ რა სტრატეგიული გეგმები ჰქონდა მიღებული მთავრობას

ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების მიმართულებით. 2010 წლის 25 ივნისის №172 დადგენილებით, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიით განსაზღვრული იყო:

ა) ადგილობრივი და რეგიონული სტატისტიკის განვითარება;

ბ) სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარება;

გ) ადგილობრივი მოსახლეობისათვის მომსახურების ეფექტიანად გაწევის უზრუნველსაყოფად თვითმმართველ ერთეულებს შორის თანამშრომლობის გაძლიერების ხელშეწყობა;

დ) რეგიონული განვითარების სამართლებრივი უზრუნველყოფა;

ე) რეგიონული განვითარების რეფორმის პროცესში მონაწილე სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციების განსაზღვრა;

ვ) ეფექტიანი რეგიონული მართვის უზრუნველყოფისათვის ახალი ინსტიტუციების შექმნა;

ზ) მოქალაქეთა თანამონაწილეობის ხელშეწყობა „მოქალაქეებზე ორიენტირებული“ ეფექტიანი რეგიონული მართვის უზრუნველსაყოფად;

თ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა;

ი) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების დამოუკიდებლობის ხელშეწყობა და ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის უფლებამოსილებების მკაფიო გამიჯვნა;

კ) ადამიანური რესურსების მომზადება მდგრადი რეგიონული განვითარების უზრუნველსაყოფად;

ლ) საჯარო მოსამსახურეების შეფასების და ანაზღაურების ერთიანი სისტემის შემუშავება და დანერგვა;

მ) ელექტრონული მმართველობის (e-Governance) პლატფორმის შემცველი კომპონენტებისა და სერვისების დანერგვა ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.

აღნიშნული სტრატეგიით განისაზღვრა ასევე გასატარებელი ღონისძიებები მუნიციპალური მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების, ინოვაციების, ახალი ტექნოლოგიებისა და მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის, სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარების, გარემოს დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

2012 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო ახალი სამთავრობო პროგრამა „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“, რითაც განისაზღვრა 2013-2016 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები. აღნიშნულ სამთავრობო პროგრამაში ერთ-ერთ პუნქტად გამოყოფილ იქნა ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობისა და თვითმმართველობის საკითხი. დაიგეგმა, რომ თვითმმართველ ორგანოებს გადაეცემოდა შესაბამისი საკუთარი (ექსკლუზიური) უფლებამოსილება, ფინანსები და საკუთრება. მნიშვნელოვნად გაიზარდებოდა



თვითმმართველობების საბიუჯეტო შემოსავლები, თვითმმართველ ერთეულებს საკუთრებაში გადაეცემოდათ ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო ქონება, მათ შორის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული არაპრივატიზებული როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების დიდი ნაწილი. თვითმმართველ თემებში შემაჯალ სოფლებს ეყოლებათ არა დანიშნული, არამედ მათ მიერ არჩეული მამასახლისები. ჩამოყალიბდება თვითმმართველობის მოხელეთა სწავლების ქმედითი სისტემა, უზრუნველყოფილი იქნება მოხელეთა უწყვეტი მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, საქართველოს მაღალმთიანი ზონის განვითარებისათვის ამოქმედდება ფინანსური სტიმულირების სისტემა.

აღნიშნულ სამთავრობო პროგრამაში 2013 წელს შევიდა უმნიშვნელო ცვლილებები. ამ ეტაპისათვის ფაქტიურად გაურკვეველია ჩამოთვლილი საკითხებიდან თუ რისი შესრულება შეძლო მთავრობამ თვითმმართველობების განვითარების მიმართულებით, გამომდინარე იქედან, რომ სამთავრობო პროგრამა 2016-2017 წელს მთავრდება, საკითხი კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენს. საჭიროა ამ მიმართულებით მთავრობის მნიშვნელოვანი გააქტიურება.

ჩემი აზრით, ამ ეტაპზე რეგიონის და თვითმმართველობების დონეზე საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

თვითმმართველობების საშემოსავლო ბაზის გაძლიერების მიზნით, კანონით მკაცრად განისაზღვროს სახელმწიფო გადასახადებიდან (ამ ეტაპისათვის მოგების და საშემოსავლო გადასახადებიდან) ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებში ჩასარიცხი პროცენტული ანარიცხების ოდენობები;

კანონით მკაცრად განისაზღვროს იმ ქონების ჩამონათვალი, რომელიც გადაეცემა ადგილობრივ თვითმმართველობებს;

მკაცრად გაიმიჯნოს გამგებლის და საკრებულოს თავმჯდომარის ფუნქციები. ამ ეტაპზე საჭიროა მინიმუმამდე შემცირდეს მუნიციპალიტეტებში საკრებულოს წევრების რაოდენობა. რადგან როგორც დაკვირვებები გვიჩვენებს ამ ეტაპისათვის ხელოვნურად არის გაზრდილი მუნიციპალიტეტების საკრებულოების წევრების, საკრებულოს კომისიების, ფრაქციების რაოდენობა, რაც პარალელურად იწვევს შესაბამისი საბიუჯეტო თანხების ხარჯვას. საქართველოში მოქმედი საკრებულოები ხშირად მხოლოდ პოლიტიკური დავალებების შემსრულებელ ორგანოდ წარმოგვიდგება;

მინიმუმამდე უნდა შემცირდეს სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის უფლებები, რადგანაც ხშირ შემთხვევაში მათი საქმიანობა არანაირად არ უწყობს ხელს რეგიონების და მათ შორის თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ხშირ შემთხვევაში დანიშნული რწმუნებულ-გუბერნატორები თვითმმართველობებში არჩეული გამგებლების და საკრებულოების უფროსებად გვევლინებიან, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ ქვეყანაში დანიშნულ პიროვნებებს უფრო მეტი უფლებები აქვთ ვიდრე მოსახლეობის მიერ პირდაპირი წესით არჩეულ პიროვნებებს;

ყველა კანონის ძირითადი მიზანი უნდა იყოს ადგილობრივი შრომითი, ბუნებრივი და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტიანად და ყაირათიანად გამოყენების უზრუნველყოფა. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილობრივ თვითმმართველობებში დასაქმებული არიან კომპეტენტური, კეთილინდისიერი და საქმის ერთგული

პიროვნებები. აღნიშნული მიმართულებით ჩვენს ადგილობრივ თვითმმართველობებში მდგომარეობა არასახარბიელოა და სწრაფ საკანონმდებლო ცვლილებებს საჭიროებს;

2014 წლიდან (როგორც წინა წლებში იყო) ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტების ძირითადი შემოსავალი კვლავ ცენტრალური ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერებია. გამომდინარე აქედან, ადგილობრივი თვითმმართველობები კვლავ ცენტრზე დამოკიდებული იქნებიან. ასეთი არასტაბილური ბიუჯეტების დროს ფაქტობრივად აზრს კარგავს თვითმმართველობების დამოუკიდებლობა;

საჭიროა მთავრობის მიერ შემუშავებული იქნეს თვითმმართველობებში პიროვნებების თანამდებობებზე (განსაკუთრებით მაღალ თანამდებობებზე) დანიშვნის კრიტერიუმები, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება თვითმმართველობებიდან პროფესიონალი კადრების გადინება, რაც საბოლოოდ თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე ნეგატიურად აისახება;

ამ ეტაპზე, ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებისთვის, პირველ რიგში, საჭიროა განხორციელდეს ცვლილება თვითმმართველობის მოქმედ კანონში, რათა მნიშვნელოვნად გაიმიჯნოს ცენტრისა და თვითმმართველობების კომპეტენციები, ასევე დასახვეწია თვითმმართველობებისათვის გადასარიცხი ტრანსფერის გამოსაანგარიშებელი ფორმულა, რათა თვითმმართველობებმა მიიღონ ტრანსფერის ის ოდენობა, რომელიც მათ ეკუთვნით;

დასახვეწია კანონი „ინვენსტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“. კანონით შეღავათები უნდა დაუწესდეთ იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც განათავსებენ კაპიტალს მუნიციპალიტე-

ტების ტერიტორიაზე, აღნიშნული მიდგომა მათთვის ერთგვარი სტიმული იქნება;

აუცილებელი საკანონმდებლო დონეზე მოხდეს ადგილობრივი თვითმმართველობების კომპეტენციების გაზრდა მოსახლეობის დასაქმების და სამუშაო ადგილების შექმნის მიმართულებით. საჭიროა ადგილობრივი გადასახადების ცენტრების და პროფესიული სასწავლებლების შექმნა, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ადგილობრივი მოქალაქეების დასაქმება და დასაქმებული პირების სისტემატური გადამზადება;

მუნიციპალიტეტებში სტატისტიკური ინფორმაციის მოძიების სრულყოფის მიზნით საჭიროა შეიქმნას ადგილობრივი სტატისტიკური სამსახურები, რადგან ამ ეტაპისათვის მუნიციპალიტეტები ვერ ფლობენ ინფორმაციას მათ სამოქმედო ტერიტორიაზე მოქმედი საწარმოების და მათ ბალანსზე რიცხული ქონების შესახებ, მაშინ როდესაც ამ საწარმოების ბალანსზე რიცხული ქონება წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტების ქონების გადასახადის ძირითად წყაროს;

მუნიციპალიტეტებში დასაქმებული პირები ანაზღაურებას უნდა ღებულობდნენ დამსახურებისა და ნამსახურები წლების, გამოცდილებისა და შესაბამისი უნარ-ჩვევების მიხედვით. აღნიშნული მიდგომების უგულვებელყოფა ხელს შეუწყობს ადგილობრივ თვითმმართველობებში არაპროფესიონალი კადრების შემოღინებას.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ცენტრალური მთავრობის მიერ მიღებული იქნება სწორედ ისეთი კანონები, რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ადგილობრივი თვითმმართველობების დამოუკიდებლობის ზრდას, რაც საბოლოოდ თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საწინდარი გახდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
2. „საბიუჯეტო კოდექსი“;
3. „საგადასახადო კოდექსი“;
4. საქართველოს მთავრობის რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია;
5. საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2013-2016 წლებისათვის (გადამუშავებული ვარიანტი);
5. ჭიჭინაძე ბ., „რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიული პრიორიტეტები“. ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. თბილისი, 6-7 აპრილი, 2012 წ. კონფერენცია თემაზე: გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების ტენდენციები“. გვ.134-140;
7. Уваров В. Н. Учебник- „Государственная служба и управление“, Петропавловск, 2004 г, ст. 41-43;
8. Чичинадзе Б., „К вопросу регулирования экономического развития местного самоуправления в Грузии“. Международная научно-практическая конференция, „Проблемы и перспективы развития местного самоуправления в странах СНГ и Европы“ Сборник научных трудов. Москва, РУДН, 2013, ст. 77-78.

ალტერნატიული მომავალი – საქართველოს ადგილი გლობალურ სამყაროში

თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ ჰეროდოტეს მსოფლიო რუკის (ძვ.წ. 450 წ.) გეოგრაფიულ ცენტრში(!) საქართველოს სახელმწიფოა. მსოფლიო კი ხმელთაშუა ზღვის მიმდებარე ქვეყნებით და ძირითადად უცნობი მიწებით შემოიფარგლება. ამ დროისთვის და ამ რუკაზე, კონტინენტური ევროპის არცერთი სახელმწიფო არ ფიქსირდება – სიცარიელეა, თავისუფალი მიწებია. მხოლოდ ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებისათვის დაამთავრეს ძველმა ბერძნებმა სამხრეთ ევროპის გამოკვლევა, ხოლო დაახლოებით ძვ. წ. 320 წელს აღმოაჩინეს დასავლეთ ევროპის სანაპირო. რომაელები კი ევროპის შესწავლას ძვ. წ. II საუკუნიდან იწყებენ იულიუს კეისრის ლაშქრობებით.

დღეს ამ კონტინენტზე ცხოვრობს 6 ენობრივი ოჯახის 209 ენაზე მოლაპარაკე ხალხი. ევროპის პოლიტიკურ რუკაზე მთლიანად ან ნაწილობრივ განლაგებულია 49 სუვერენული სახელმწიფო, მათ შორის საქართველო, ოღონდ ამჯერად, ამ ცივილიზაციის პერიფერიული ზონაში.

მოხდა ისე, რომ ევროპული სიცარიელის – თავისუფალი მიწების აღმოჩენის შემდგომ, თითქმის უწყვეტი აღმავალი განვითარების შედეგად, ამ კონტინენტზე მსოფლიოში ყველაზე დაწინაურებული ქრისტიანული ცივილიზაცია შეიქმნა, და ამით ევროპელებმა უდიდესი გავლენა მოახდინეს მსოფლიო ცივილიზაციის ფორმირების პროცესზე. საქართველო კი ამ პროცესების მიღმა დარჩა.

მარტივად დასასმელი კითხვაა: ჩამოყალიბების პროცესში მყოფ გლობალურ სამყაროში, 7-8 ახალი, რეგიონული ცივილიზაციიდან, სად არის საქართველოს ადგილი?! ამ კითხვაზე პასუხისთვის, უნდა ვიცოდეთ - ვინ ვართ?!

ვინ ვართ?!

საქართველოში არ დამთავრებულა (შეიძლება არც დაწყებულა) სერიოზული განსჯა თემაზე: **ვინ ვართ? რომელ ცივილიზაციას წარმოვადგენთ - დასავლურს (ევროპულ), თუ კავკასიურ-აზიურს? ან იქნებ სულაც მხოლოდ მართლმადიდებლურს (და არა ზოგადად ქრისტიანულს)?**

ქართულმა პოლიტოლოგიამ, ისტორიოგრაფიამ და კულტუროლოგიამ ამ თემისთვის ჯერ ვერ მოიცალა. სამეცნიერო ინსტიტუტები აზრისგან (ადამიანებისგან) დაიცალა, მეცნიერება დაგვიბერდა და დასუსტდა. ინტერნეტ ფორუმებზე კი საკითხის „სახალხო“, ემოციური განხილვა მიმდინარეობს. ჩვენს თავდაკარგულ საზოგადოებას აინტერესებს - ვინ არის, რომელ ცივილიზაციას მიაკუთვნოს თავი, რომ შეძლოს დაწმენდილი გონებით სახელმწიფოს პოლიტიკური სხეულის შენება, წინსვლა და მსოფლიო ქაოსისგან თავის დაღწევა!!

ამ მხრივ, ჩვენს „დე ფაქტო“ საზღვრებში მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილებათა მიღებული (ევროასოციაცია), მაგრამ გეოპოლიტიკური, რეგიონული და კულტურული იდენტიფიკაცია კვლავ „სახალხო“ (საზოგადო) პრობლემად რჩება. ასეთ პირობებში საზოგადოება ვერც პოლიტიკურად, ვერც კულტურულად ჯანსაღ ორგანიზმად ვერ ჩაითვლება. ქვეყანას ხან გამსახურდიას, ხან

შევარდნადის, ხან სააკაშვილის სინდრომი თრგუნავს და აწვალავს, მთავარ პრობლემაზე ფიქრისთვის და საკუთარი თავის შეცნობისთვის კი ვერ იცლის.

ჩვენი ინტელექტუალური და კულტურული „მოდინების“ მიუხედავად, დასავლურმა ფილოსოფიურმა ჭკრეტამ და პოლიტიკურმა აზრმა, საქართველოს თავად მიუჩინა ადგილი ცივილიზაციათა იერარქიაში და „განსაზღვრა“ მისი იდენტურობა ისე, რომ ჩვენს ისტორიულ, ეთნო-კულტურულ შრეებში არც ჩაუხედავს. ჩვენთვის გასაოცრად, ეს მხოლოდ ერთი ფაქტორის - მართლმადიდებლური კულტურის ნიშნით მოხდა. ეს ნიშნავს, რომ დღეს მათთვის „სხვა“ - უცხო საზოგადოება ვართ. ამ ზოგადი შეფასებით, „მართლმადიდებელთა“, - როგორც „განსხვავებული“ კულტურული სამყაროს, - ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების პერსპექტივები საკმაოდ ბუნდოვანია, თუმცა მუსლიმანურ სამყაროზე უკეთესია. მაგრამ, ფაქტია - ევროპულ კულტურაში, და ამ კულტურის შემქმნელ ქრისტიანულ ცივილიზაციაში, ჩვენი ადგილი ვერ მოინახა - ბურუსით მოცულ ზონაში ვართ. ასეთია ყველაზე პრაგმატული დასავლელი თეორეტიკოსების დასკვნა.

ჩემი აზრით, აქ არანაირი შეცდომა არ არის, არის მხოლოდ ზერელე შეფასება, გაუგებრობა და შეუცნობლობა, რადგან ქართული კულტურა, საზოგადოდ, უფრო ძველია, ვიდრე ევროპული. ევროპული კრიტერიუმები კი, ცხადია, მათ წინარე ისტორიულ კულტურას ვერ შეაფასებს! ეს ნიშნავს, რომ საქართველო კი არ ამოვარდა მისთვის ყველაზე ახლობელი სუბსტანციიდან - ბერძნულ-ბიზანტიური კულტურული შრედან, არამედ დამოუკიდებლად არსებობდა, მათ მიღმა და მათზე ადრე. უბრალოდ, ამ კულტურის ცენტრიდან - პერიფერიაზე გადაინაცვლა, მაგრამ არ გამქრალა. ჩვენ „ცოტა ხნით“ დავიკარგეთ - რამოდენიმე საუკუნე დასუსტებული და ფილოსოფიური აზრისგან დაცლილი ვიყავით. დღეს შედეგს ვიშვით.

ეპოქა და ცივილიზაციის ბალანსი იცვლება, ახალი ისტორია იწერება და ამ ახალ წიგნში ერთიანი საქართველო აუცილებლად ასომთავრული ასოებით უნდა ჩაიწეროს. ასეთია ახალი თაობის ფუნქცია და მათი საკონტროლო დავალება: ქვეყანამ მოახერხოს და მოახდინოს პოლიტიკური და კულტურული იდენტიფიკაცია.

ზუსტი პასუხის მისაღებად (ვინ ვართ?) - ნაციონალური იდენტობის სფეროში მსოფლიოს თეორიულ კვლევებს უნდა ვიცნობდეთ და ამ კვლევებში ვმონაწილეობდეთ!!

ნაციონალური იდენტობის ბუნება, ისტორიულ კონტექსტში, მსოფლიოში კარგად შესწავლილი თემაა. მაგრამ, ამ სფეროში მკვლევართა ინტერესი გააძლიერა ნაციონალიზმის აღზევებამ, განსაკუთრებით კი ეთნიკური თვითშეგნების გამძაფრებამ, როგორც კოსტაბჭოთა სივრცეში, ისე დასავლეთში. დღევანდელი ეპოქა ნაციონალიზმის გლობალური აფეთქების ეპოქაა. მოუმზადებელი, სუსტი სახელმწიფოები ამ აფეთქების მსხვერპლი ხდებიან - ასეთი სახელმწიფოები იშლება.

და რას ვაკეთებთ ჩვენ?! არაფერს!!

სახელმწიფოს სისტემის შერყევა ნაციის ინტელექტუალური სიზარმაცის შედეგია. დღევანდელი ქაოსური ეპოქის მდინარეებში, როცა ეთნო-ნაციონალური იდენტობა დამანგრეველ ძალას იძენს, საქართველო უნიჭო, უკომპასო და უსაჭო ნავივით, იღბალს მინდობილი მიცურავს. ჩვენი ნიჩაბი, კომპასი და საჭე კი აზროვნება და ინტელექტია, რაც ამ ეპოქის გამოწვევებთან სრულიად არაადეკვატური და მოუზადებელი აღმოჩნდა. ერ-სახელმწიფოებთან მიმართებაში ენტონი დ. სმიტის ფრაზას თუ დავესესხებით - გადარჩენისთვის აუცილებელია „ხალხის მობილიზება საკუთარი კულტურისა და ისტორიის წიაღში“. ქართველმა ხალხმა ეს ვერ მოხერხდა, რაც სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი ფაქტორია.

გლობალურ სამყაროში საქართველოს ადგილის განსაზღვრისას განსაკუთრებით აქტუალური ეროვნული და ეთნიკური თემა - მისი მრავალფეროვნება, დინამიკა, ადაპტაციის და თანაცხოვრების პოტენციალი, რაც ქართული (და ნებისმიერი) სახელმწიფოს საფუძვლებს ქმნის. ისტორიული მიმოხილვის კონტექსტში ეს საკითხი ჩვენთან მეტ-ნაკლებად გაანალიზებულია. მაგრამ, პრობლემის პოლიტიკური, ინტელექტუალური (ეთნოსა-ზოგადოების ელიტის კოლექტიური დამოკიდებულება) და კულტუროლოგიური ასპექტები, ვფიქრობ, მკვლევართა სიღრმისეული განსჯის მიღმა დარჩენილი. თემის პოლიტიკური კონტექსტი კი სერიოზულ საკვლევ თემად საერთოდ არ განიხილება და არც არასდროს განხილულა. ეთნო-ნაციონალიზმი ძირითადად კულტურული ფენომენია. ხოლო, პოლიტიკური იდენტობა - ნაციონალური იდენტობის, როგორც ისტორიული პროცესის დამამთავრებელი ეტაპია. ხოდა, ესაა ჩვენი მთავარი სისუსტე - ყურადღების მიღმა დარჩენილი პოლიტოლოგიური და სოციოლოგიური კვლევები, ნათელი - უდავო სურათის შექმნა, ამ სფეროში მსოფლიო სამეცნიერო აზროვნების შესწავლა და ა.შ. ჩვენ 20, შეიძლება 50 წლით დავაგვიანეთ. ამიტომ აღმოვჩნდით სეპარატიზმის ზვავის წინაშე სრულიად უმწეო მდგომარეობაში, და ვართ ასე - გაზრახვებული და გაოგნებული, ვერაფრის შეცვლას ვეღარ ვახერხებთ. ჩვენ საამაყო ისტორიის კვლევა-დაზიარებით და „სადღეგრძელოებით“ გავერთეთ, პოლიტიკურ ანალიზს, ეთნო-კულტურულ კვლევებს კი საჭირო ყურადღება არ დავუთმეთ.

მაგრამ, თუ ჩემი თაობა პრობლემის მიტინგებითა და ხმაურიანი პროტესტით გადაჭრას ცდილობდა, დღეს სურათი იცვლება. დღევანდელი თაობა მსოფლიოს ამ გამოწვევებს საუკეთესო უნივერსიტეტებში ეუფლება. მათ უკვე თავისუფლად მიუწვდებათ ხელი ამ სფეროში მსოფლიოს გამოცდილებაზე და სპეციალურ ნაშრომებზე, რაც აქამდე ჩვენს გარეშე იწერებოდა. და იქნებ ასე, მიტინგების ეპოქაც დასრულდეს, კვლევის და მიგნების ეპოქა დაიწყოს და მერე ეთნო-ნაციონალური დიალოგიც მოხერხდეს. ასე უფრო ეფექტიანად აღმოვაჩენთ ჩვენს საერთო ადგილს გლობალურ სამყაროში.

აფხაზთა, ქართველთა და ოსთა ახალი თაობისთვის, საკუთარი პოლიტიკური იდენტობის გააზრებაში, მნიშვნელოვანი იქნება, მაგალითად, **ენტონი დ. სმიტის** შეგონება, ჯერ კიდევ 1990 წელს გამოცემული წიგნიდან - „ნაციონალური იდენტობა“, სადაც ვკითხულობთ:

„ნაციონალიზმი წარმოადგენს ყველაზე მძლავრად ფესვგადგმულ მითს იდენტობის შესახებ თანამედროვე მსოფლიოში, მაგრამ ის სხვადასხვა ფორმითაა წარმოდგენილი. ნაციონალური იდენტობის მითებში პოლიტიკური ერთობის საფუძვლად, როგორც წესი, გვევლინება ტერიტორია ან წინაპრები (ან ორივე ერთად). ეს სხვადასხვაგვარობა ხშირად არასტაბილურობისა და კონფლიქტის წყაროს წარმოადგენს იმ შემთხვევაში, თუ მათი უგულვებელყოფა ხდება. ბევრი, ყველაზე მწვავე ეროვნებათაშორისი კონფლიქტი ნაციონალური იდენტობის ურთიერთდაპირისპირებული მოთხოვნებისა და კონცეფციებისგან მომდინარეობს“.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულს (ჩვენი ნაციონალური ეიფორიის ჟამს), ცნობილ მკვლევართა მიერ გაუღრებული მსგავსი აზრებისა და მოწოდებების გაცნობიერება დიდი ხნის წინ უნდა დაგვეწყო, რათა თავიდანვე გვეფიქრა კონფლიქტის განულებაზე და შეგვექმნა ნამდვილი ეროვნულ-პოლიტიკური ერთობა. მიზნის მისაღწევად და გზამკვლევადაც კი, მეცნიერული და ინტელექტუალური კაპიტალია საჭირო, რაც არ ჩანს. ვიმეორებ - ქართულმა პოლიტოლოგიამ, ისტორიოგრაფიამ და კულტუროლოგიამ ამ თემისთვის ვერ მოიკალა. სამეცნიერო ინსტიტუტები კი ამასობაში აზრისგან, იდეებისგან და ადამიანებისგან დაიცალა. შედეგად, სრულ გაუგებრობაში ვართ.

და ეს უმძაფრესი ნაციონალური (და პოლიტიკური) თემა, როგორც კვლევისა და სახელმწიფოებრივი ყურადღების საგანი, არცერთ, - ყოფილ თუ არსებულ, - ხელისუფლებას არ აინტერესებს, რადგან სამამისოდ ჩვენმა სახელმწიფომ აკადემიურ სიმშვიდეს და სიმწიფეს ჯერ კიდევ ვერ მიაღწია.

საით მივდივართ?!

ცნობილ ექსპერტ-თეორეტიკოსთა შეფასებით, მსოფლიო გლობალური ომისთვის ემზადება. და უნდა გავაკეთოთ არჩევანი: სად არის ჩვენი ადგილი?! ვიყოთ მარტო, სუვერენული (ნეიტრალური) ქვეყანა, თუ ავირჩიოთ რეგიონული კავშირი - მსგავსი ან საერთო კულტურული ნიშნით?! ჩვენი მართლმადიდებელი „მეგობარი“ - რუსეთი, ქმნის გეოპოლიტიკურ კონფიგურაციას „ევრაზიული კავშირის“ სახით და ეს სწორედ „დიდი მზადების“ ეტაპია. ჩავიხედოთ მათ პროექტებში: „ევრაზიული კავშირის მსგავსი გეოპოლიტიკური კონფიგურაციის შექმნა, შესაძლებელს გახდის გადავადოს რუსეთის უშუალო ჩართვა ომში. ეს შეიძლება უზრუნველყოთ კოალიციური სიძლიერის ჯერადი ზრდით და ბუფერული სასაზღვრო ზონების შექმნით, რამდენადაც, წინა ომების გამოცდილებით, აქ მიმდინარე საბრძოლო მოქმედებები შეიძლება არც გავრცელდეს მეტროპოლიის ტერიტორიაზე, და ეს არის საკვანძო საგარეოპოლიტიკური ამოცანა“... (რუსი მეცნიერების - რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის და სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის წევრების მოხსენებიდან). ამგვარად, რაიმე კავშირში გაერთიანებით, ჩვენ სხვის ომში აუცილებლად მივიღებთ მონაწილეობას, როგორც მოკავშირე, ხოლო ევრაზიულ კავშირში შესვლით რუსეთისთვის პირდაპირი მნიშვნელობით ბუფერად - „დამცავ ზონად“ ვიქცევით - ეს მათი „საკვანძო საგარეოპოლიტიკური ამოცანაა“!!

იმის მიუხედავად, რომ ქვეყნები, როგორც წესი,

თავიანთ ინტერესებს ცივილიზაციის შინაარსის გათვალისწინებით განსაზღვრავენ, ჩვენნაირი ჩამოუყალიბებელი და მაძიებელი ქვეყნისთვის ფუნქციის შექმნა ან ადგილის „პოვნა“ საკმაოდ რთულია. მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყნები სრულიად განსხვავებულ ცივილიზაციებს მიეკუთვნებიან, ამასთან, ისინი ერთმანეთის საწინააღმდეგოდ მოძრაობენ. ჩვენს რეგიონშიც კი, კავკასიურ სახელმწიფოთა ინტერესები სამად იყოფა და სხვადასხვა მიმართულებით აირეკლება. ამიტომ, ჩვენი განვითარების ამოსავალი ფუნქცია თუ სამოქმედო სტრატეგია, დროში და გარემოებებში მუდმივად ადაპტაცია და შესაბამისად - მუდმივი აკადემიური კვლევის საგანი უნდა იყოს.

მსოფლიოს გეოპოლიტიკურ ცვლილებებთან ერთად და საქართველოში თაობათა შეცვლის პარალელურად, ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული განვითარების კონცეფციები უნდა იწერებოდეს და მერე იცვლებოდეს. ჩვენ მხოლოდ ეს შეგვიძლია - ფეხი ავუწყოთ ეპოქალურ ცვლილებებს და მოვახდინოთ ადაპტირება. დღეს, „ცივი ომის“ შემდეგ - 1990-ანი წლებიდან, უკვე მეორედ იცვლება მსოფლიო წესრიგი. საქართველოს კი მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებული განვითარების გზამკვლევი რუკა, ამ გლობალურ „ნაბიჯებში“ არ გააჩნია. არადა, აზროვნებისთვის და პოლიტიკური საქმიანობისთვის, რაღაც გამართივებული რუკა-მოდელი, როგორც ორიენტირი, უნდა გვქონდეს. სხვა შემთხვევაში, მოგვიწევს ვამტკიცოთ, რომ ვმოქმედებთ რაღაც „ობიექტური ფაქტორების“ ზეგავლენით, და თან ურთულეს - „მდულარე“ რეგიონში. მაგრამ, ამით მხოლოდ თავს მოვიტყუებთ. საჭიროა თეორიული სტრატეგიის შემუშავება, კვლევები და უდავო და ერთიანი ეროვნული პოლიტიკური სტანდარტის განსაზღვრა, მათ შორის კავკასიური ეთნო-ეროვნული რეალობის და საერთო ინტერესების გათვალისწინებით.

გასათვალისწინებელია, რომ ახალი - XXI-ე საუკუნის გეოპოლიტიკური კონცეფცია დღეს არც დასავლურ ცივილიზაციას აქვს. ის ახლა იქმნება, რადგან „იმულებულია დაიბადოს“. მაგრამ, როგორც ნებისმიერ პარადიგმაში, აქაც იქნება აბსტრაქცია, არასრულყოფილი თეორიები, ანომალიები და თეთრი ლაქები, თუნდაც ჩვენნაირი - განუსაზღვრელი კონცეფციის და ორიენტაციის ქვეყნების სახით. ამიტომ, უნდა ჩამოვყალიბდეთ და მსოფლიოს ახალ გლობალურ კონცეფციაში, როგორც უძველესი სახელმწიფო, ღირსეულად დავფიქსირდეთ.

ჰეროდოტეს დავუბრუნდეთ... საქართველო, გეოგრაფიული თვალსაზრისით, დღესაც რჩება მსოფლიოს განსხვავებულ კულტურათა და ცივილიზაციათა თავშეყრისა და გზაგასაყარის ცენტრად. ე.ი. დღევანდელი მსოფლიოს ეს გეოგრაფიული რეგიონი ფუნქციურად დღესაც მნიშვნელოვანია თავისი ეროვნულ-კონფესიური, კულტურული მრავალფეროვნების და რეგიონის პოლიტიკური აქტივობების გათვალისწინებით.

სწორედ აქედან - საქართველოდან იწყება დასავლეთი და აღმოსავლეთი, აქ იკვეთება ცივილიზაციები, რელიგიური განშტოებები, მათ შორის ქრისტიანული (მართლმადიდებლური, კათოლიკური, გრიგორიანული) და ისლამური (სუნიტური და შიიტური) მიმდინარეობები; თავმოყრილია უძველესი წარმოშობის და კონფესიების ხალხები (ებრაელები, ქურთები, იეზიდები, ასირიელები

და ა.შ.), და ამ მრავალფეროვნების მხრივ, ამ „კულტურათაშორის ცენტრში“ (სახელმწიფოს წიაღში) სრული, ისტორიული სიმშვიდეა - უნიკალური ტოლერანტობაა. ეს ფაქტორიც, ცივილიზაციათა დიალოგში, შემეცნების თვალსაზრისით, მსოფლიოსთვის მნიშვნელოვანია, შესაწავლი და შესაფასებელია. როგორც განსხვავებული ინტერესების გეოგრაფიულ გზაგასაყარს, ჩვენ „რაღაც“ გეოპოლიტიკური მისია და ფუნქცია მართლაც გვაკისრია.

ჰეროდოტემ თავის რუკაზე ალბათ შემთხვევით არ მოგვიჩინა „ცენტრის“ პოზიცია. ისტორიის ნებით, 2500 წლის მერე აქ ცივილიზაციის მწვერვალი არა, მაგრამ კულტურათაშორისი ურთიერთობის შემეცნების ცენტრი და გზაგასაყარი ჩამოყალიბდა. ამგვარად, ეს ის „ბუნებრივი“ გეოგრაფიული ადგილია, სადაც საერთაშორისო ინსტიტუტები მსოფლიოს პრობლემათა შესწავლის და გადაწყვეტის სფეროში, ალბათ წარმატებით იფუნქციონირებენ. უნდა ვიფიქროთ, რომ მომავლის კავკასია, ამ საუკუნეში, ნებისმიერი სახის დიალოგისთვის საერთაშორისო „სიმშვიდის ცენტრის“ ფუნქციას დაიმკვიდრებს.

გასათვალისწინებელია, რომ ქვეყნის (ცივილიზაციის) საიდენტიფიკაციო კონცეფცია მხოლოდ აბსტრაქციაა - პირობითობაა დროში „მოგზაურობის“ რაღაც ეტაპზე. მაგრამ ქვეყნის ფუნქციის განმსაზღვრელი გზამკვლევი აუცილებელია ჩვენი ქვეყნის ორიენტაციისთვის, რომ არ დავიკარგოთ - სად ვართ და საით შეიძლება წავიდეთ! ამიტომ, განუსაზღვრელი კამათი, ჩვენს შეზღუდულ არჩევანზე, არ ვარგა. ქვეყანა კონცეპტუალურად „შეკრული“ უნდა იყოს. თანაც, ჩვენი „არჩევანი“ ჩვენს გეოპოლიტიკურ მეგობრებსაც დაეხმარება ჩამოყალიბდეს და რეალურად შეგვაფასოს, ვინც ასეთად თვლის თავს და გვეხმარება, ან ვისაც „უნდა“ ასეთი იყოს და ჩვენზე „მუშტრის“ თვალი უჭირავს.

ყველაფრის მიუხედავად, საქართველოს შეუძლია თამამად უთხრას მსოფლიოს, რომ მას თვითმყოფადი კულტურის საკუთარი, დამოუკიდებელი ისტორია გააჩნია, რომლის საფუძვლებიც ევროპის ცივილიზაციის ისტორიაზე ძველია. და ის მხოლოდ მართლმადიდებლური კულტურით არ განისაზღვრება, რადგან სცილდება რელიგიის ფაქტორს და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელია - ადამიანის არსებობის და აზროვნების ყველა სფეროში. ეს თვითმყოფადი კულტურა, დოკუმენტურად კარგად აისახა ყველაზე უტყუარ და წარმომადგენლობით სფეროში - ხალხურ პოეზიაში, სიმღერაში და ცეკვაში, როგორც ეროვნული ფილოსოფიის, არისტოკრატიზმის, რაინდობის და ზოგადად, საკაცობრიო ფასეულობათა უმთავრესი ღირებულებების გამომხატველი.

დაბოლოს, წარმოდგენილი სტატია მეცნიერულად დახვეწილი, ცხადია არ არის, არც ზედმიწევნით კორექტულია. ამიტომ, ეს ზედაპირული მიმოხილვა, იმედია, კვლევის პრეტენზიად არც ჩამეთვლება. ამ თემაზე მობილიზებული მკვლევარი, მით უფრო გეო-პოლიტოლოგი, არ ვარ. მე უფრო ჩემი შვილების დამრიგებელი - ახალი თაობის ქართველთა, ასევე აფხაზთა და ოსთა მრჩეველი მინდა ვიყო.

ავტორთან კავშირისთვის: nukrim@yahoo.com

ნუკრი მიხანაშვილი
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

არაკეთილსინდისიერი გადახდელის ქმედების გამო პატიოსანი მენარჩე არ უნდა ისჯებოდეს

ანუ როგორ არ სჯერათ მაკონტროლებლეს პატიოსანი მენარჩის „სრამლების“

„2. არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალდებულს.

3. დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.“

(საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 40)

საგადასახადო ადმინისტრირება იყო და რჩება მუდმივ პრობლემად. ამაზე არაერთხელ ითქვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ფორუმებზე, მედია საშუალებებში, სამეცნიერო სტატიებსა და პუბლიკაციებში. ცალკეული ავტორის თუ სპეციალისტთა ჯგუფის მიერ საგადასახადო ადმინისტრირებასთან დაკავშირებით არაერთი საყურადღებო წინადადება და რეკომენდაცია შემუშავდა. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი გათვალისწინებულია, თუმცა ჯერ კიდევ „შემონახულია“ ე. წ. „ამოუქოლავი ხვრელები“, რომლებიც მაკონტროლებლებს შესაძლებლობას აძლევს მათი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტირებით უმკაცრესად დასაჯონ კეთილსინდისიერი გადახდელები. შედეგად, საგადასახადო დავების დროს, სიმართლის აღიარება მაკონტროლებელს და ზოგჯერ, საგადასახადო დავის განმხილველ ორგანოსაც კი უჭირთ. დაზარალებულ გადახდელებს თავიანთი კეთილსინდისიერების დასამტკიცებლად საკმაოდ დიდი დრო (რამდენიმე თვე, ზოგჯერ წლებიც კი) უწევთ ბიუროკრატიულ ბარიერებთან ჭიდილი, რაც მნიშვნელოვან მალისხმევას - დროისა და ენერჯის ხარჯვას მოითხოვს.

მაკონტროლებელი ორგანიზების ასეთი თავნებობით, საბოლოო ჯამში, სახელწიფო ბიუჯეტი ზარალდება, რამდენადაც გადასახადის გადახდელთა ეკონომიკური საქმიანობის შეფერხებას მუდამ თან სდევს მათი შემოსავლების კლება, შესაბამისად, მცირდება გადასახდელი გადასახადებიც.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ, გამოდგება ასეთი კონკრეტული შემთხვევა, რომელსაც ამჟამად ადგილი აქვს ერთ პატიოსან მეწარმესთან მიმართებაში. სწორედ, ეს იმის თვალსაჩინო მაგალითია, თუ როგორ ვერ ახერხებს პატიოსანი მეწარმე არაკეთილსინდისიერი

გადამხდელის ქმედების შედეგად მაკონტროლებელი ორგანოების მიერ მასზე არაკანონზომიერად დაკისრებული გადასახადებისა და ფინანსური სანქციებისაგან თავის დაღწევას, საგადასახადო დავის განმხილველი ორგანოების მიერაც საქმისადმი ბიუროკრატიული მიდგომის გამო, ხანგრძლივი დროით შეზღუდული აქვს ეკონომიკური საქმიანობა და ირღვევა მისი უფლებები.

მეწარმის ინტერესებიდან გამომდინარე, ცხადია, დავიციავთ კონფედენციალობის პრინციპს და თავს შევიკავებთ მისი დასახელებისაგან (მკითხველს კი შეუძლია სიტყვაზე მენდოს, რომ ის, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, რეალობაა და სინამდვილეს შეესაბამება. (საგადასახადო დავა დღესაც გრძელდება. არავინ იცის, კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდება და ფაქტობრივად რით დასრულდება ის).

საქმის ფაქტობრივი გარემოებები ასეთია:

2013 წლის ზაფხულის მიწურულს, ერთ-ერთ შპს-ში, მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, აუდიტორის მიერ ჩატარდა ალტერნატიული საგადასახადო შემოწმება. გადახდელს შემოწმების შედეგებზე ჩაბარდა შემოწმების აქტი და შესაბამისი გაანგარიშება შემოწმებით გამოვლენილ დამატებით გადასახდელების (1000 ლარამდე) დარიცხვის შესახებ, რომელსაც გადასახადის გადახდელი მთლიანად დაეთანხმა, რაც ალტერნატიული საგადასახადო შემოწმების აქტზე და გადასახადების დარიცხვის შესახებ გაანგარიშებზე ხელმოწერით დაადასტურა. აუდიტორმა კი, შესაბამისი პროცედურების დაცვით, აღნიშნული დოკუმენტები წარუდგინა შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტს. შემდგომ კი, ეს აქტი მიზეზთა გამო, ხარისხის კონტროლს გადაეცა (ერთი შეხედვით, აქამდე აქ ჩვეულებრივი, რიგითი, სტანდარტული შემთხვევაა), მაგრამ მოგვიანებით, შემოსავლების სამსახურის ერთიან ბაზაში აღმოაჩინეს, რომ ერთ-ერთ ინდივიდუალურ მეწარმეს შიდა ქართლიდან (ცხადია, აქაც თავს შევიკავებთ მისი იდენტიფიცირებისაგან), თითქმის ექვს წლის წინ, სხვადასხვა დროს - 2007 წლის თებერვალში, მარტსა და აგვისტოში, ამ აწ უკვე შემოწმებულ შპს-სთვის თითქოსდა მიუწოდებია 317000 ლარამდე ღირებულების საქონელი, რაზეც გამოწერილია ხუთი მატერიალური საგადასახასო ანგარიშ-ფაქტურა (იმ დროისათვის მოქმედი წესის შესაბამისად, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები იწერებოდა 4 ეგზემპლარად, აქედან, პირველი და მე-3 ეგზემპლარი ეძლეოდა მყიდველს (ამ უკანასკნელს, ეს მე-3 ეგზემპლარი,



შესაბამის საგადასახადო დეკლარაციასთან ერთად, უნდა წარედგინა შემოსავლების სამსახურში დღგ-ის ჩათვლის მისაღებად, ხოლო მე-2 და მე-4 ეგზემპლარები რჩებოდა გამყიდველს (თავის მხრივ, გამყიდველი ანგარიშ-ფაქტურის მე-4 ეგზემპლარს, შესაბამისი თვის დღგ-ის დეკლარაციასთან ერთად, დაბეგვრაზე წარუდგენდა შემოსავლების სამსახურს).

ახლად აღმოჩენილი გარემოებების შესახებ ინფორმაცია, შემოწმების დასრულებიდან ერთი თვის შემდეგ მიეწოდა ალტერნატიული აუდიტის განმხორციელებელ პირს და მიეცა რეკომენდაცია, ეხელმძღვანელო შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცებული სიტუაციური სახელმძღვანელოს შესაბამისი მითითებით, რომლის თანახმადაც აღნიშნული სამეურნეო ოპერაცია შპს-ს უნდა ჩათვლოდა შემოსავლების დამალვად და აქედან გამომდინარე შედეგებით, მოეხდინა მისი დაბეგვრა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული შპს-სთვის ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც ალტერნატიული აუდიტის განმხორციელებელმა პირმა მეწარმეს განუცხადა, რომ შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცებული სიტუაციური სახელმძღვანელოს შესაბამისი მითითების საფუძველზე ახლად აღმოჩენილი ხუთი ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით დაფიქსირებული საქონელი მას ჩათვლებოდა 2007 წელს შეძენილად, შემდგომ კი იმავე - 2007 წლის ბოლოს - დეკემბრის თვეში რეალიზებულად და ამის გათვალისწინებით მოხდებოდა დამატებით დარიცხული გადასახადის გადაანგარიშება.

რამდენადაც ეს ყველაფერი სრულიად გაუგებარი და მოულოდნელი „სიურპრიზი“ იყო, შპს ცხადია, არ დაეთანხმა აუდიტორს და საგადასახადო კანონმდებლობით მინიჭებული უფლების საფუძველზე მაკონტროლებლის მხრიდან მოითხოვა შესაბამისი მტკიცებულობების წარმოდგენა, პარალელურ რეჟიმში კი დაიწყო აღნიშნული საკითხის რეალობის შესწავლა.

ალტერნატიული აუდიტის განმხორციელებელ პირმა გადახედვის მოთხოვნის საფუძველზე შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტისაგან

გამოითხოვა და დაინტერესებულ მხარეს მიეწოდა იმ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების ქსეროასლები, რომლებიც გამყიდველის (ინდ. მეწარმის) სახელით წარდგენილი იყო შემოსავლების სამსახურში დაბეგვრაზე.

აღმოჩნდა, რომ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით დაფიქსირებული ინდემწარმე შპს-სთვის ცნობილი იყო. მისგან მას ერთხელ - 2005 წელს, მართლაც, ქონდა შეძენილი საქონელი. მაგრამ შემოსავლების სამსახურის ერთიან ბაზაში ახლად აღმოჩენილ ანგარიშ-ფაქტურებზე (ხუთი ანგარიშ-ფაქტურიდან არცერთზე), არ არის საქონლის მიმღების (მყიდველი სპასუხისმგებელი პირის) ხელწერა და ბეჭედი, ეს მაშინ, როცა:

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 14 თებერვლის N 84 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 248-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფორმის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტს, რომლითაც დასტურდება დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების ფაქტი“. ამავე მუხლის მე-20 ნაწილის მიხედვით „საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის ფაქტი დასტურდება ხელმძღვანელის ან სხვა უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით (ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში)“, ხოლო მე-19 ნაწილის მიხედვით „მე-16 სტრიქონზე კეთდება მყიდველის ხელმოწერა, მასზე საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისი ეგზემპლარის უშუალოდ გადაცემის შემთხვევაში“. ამასთან, ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 14 თებერვლის N84 ბრძანების მე-3 მუხლის 23 ნაწილის მიხედვით „საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა გამოიწერება ოთხ ეგზემპლარად, ოთხივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და თითოეული მათგანი წარმოადგენს დედანს“.

გაირკვა ისიც, რომ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით დაფიქსირებულმა „მომწოდებელმა“ სამეურნეო ოპერაციის შესახებ არაფერი იცის და ეს

საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები არ არის მის მიერ წარდგენილი შემოსავლების სამსახურში. აღნიშნულის თაობაზე შედგენილი იქნა ნოტარიულად დამოწმებული სათანადო დოკუმენტი და იგი მტკიცებულობის სახით წარედგინა ალტერნატიული აუდიტის განმხორციელებელ პირს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტში წარსადგენად. თავის პოზიციაში შპს-მ დააფიქსირა აგრეთვე, რომ აღნიშნული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით დღგ-ის ჩათვლები მას არ აქვს მიღებული.

საკითხის შესწავლისას ცნობილი გახდა, რომ ამ ინდ. მეწარმის სახელით სამეურნეო ოპერაციები ანალოგიური წესით სხვა მეწარმეებთანაც არის დაფიქსირებული და მასზე საგამოძიებო ორგანოების მიერ დიდი ხანია მიმდინარეობს ძიება, მაგრამ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ აღნიშნული ოპერაციების ამსახველი საბუღალტრო დოკუმენტაცია 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩა და ისინი პრაქტიკულად მიუწვდომელია, თვით საგამოძიებო ორგანოები კი ვერ ახერხებენ ამ დოკუმენტების (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების) მიხედვით ისეთი დამატებითი ინფორმაციების მოპოვებას, როგორც არის ხსენებულ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებში მითითებული სასაქონლო-სატრანსპორტო ზედდებულები. ვერ ხერხდება აგრეთვე ამ სასაქონლო-სატრანსპორტო ზედდებულებში დაფიქსირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მძღოლებისაგან (დაკითხვით) ხსენებული საქონლის გადაზიდვის ოპერაციების ფაქტობრივად შეუსრულებლობაზე ინფორმაციის მოღება.

ზემოთ აღნიშნული დამატებითი მტკიცებულებების მაკონტროლებლებზე მიწოდების და მათი შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის მედიაციის საბჭოზე განხილვის მიუხედავად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნის იგნორირებით, რომლის თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის ყველა მნიშვნელოვანი გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, რისთვისაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 97-ე მუხლის თანახმად, მტკიცებულობათა გამოიკვლევისათვის უფლებამოსილია გამოითხოვოს საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტები, შეაგროვოს ცნობები, მოუსმინოს დაინტერესებულ მხარეებს, დაინიშნოს ექსპერტიზა, გამოიყენოს აუცილებელი დოკუმენტები და აქტები, მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევის და შეფასების მიზნით მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ზომებს“ და 2013 წლის დეკემბრის დასაწყისში ალტერნატიული საგადასახადო შემოწმების განმხორციელებელი პირის მიერ შედგენილი დამატებითი დასკვნის საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევით, რომლის შესაბამისადაც დაუშვებელია „ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებლივი აქტის

გამოცემას საფუძველად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დაგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ“ შემოწმებულ შპს-ს შემოსავლების სამსახურის 2013 წლის 11 დეკემბრის საგადასახადო მოთხოვნით, უკანონოდ და სრულიად არამართლზომიერად დამატებით დაერიცხა დღგ-ის ძირითადი გადასახადი 55339 ლარი და საურავი 78139,37 ლარის ოდენობით.

სწორედ ამ დროიდან დაწყებული შპს-ის ხელმძღვანელობას მოუხდა „რკინის ქალაქების“ ჩაცმა სიმართლის ძიებისათვის და მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით, საგადასახადო მოთხოვნის მიღების შემდეგ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-14 კარით დადგენილი წესით, შეუდგა არაკეთისინდისიერი გადამხდელის ქმედების გამო, არამართლზომიერად დარიცხული გადასახადის და ფინანსური სანქციის გაუქმებისათვის ბრძოლას, შესაბამისი არაკანონზომიერი მოთხოვნა 2013 წლის 20 დეკემბრს გაასაჩივრა შემოსავლების სამსახურში.

შემოსავლების სამსახურის მედიაციის საბჭოს 2014 წლის 6 თებერვალს გამართულ სხდომაზე განიხილა შპს მიერ წარდგენილი საჩივარი. ზემოთ აღნიშნულ მტკიცებულობებთან ერთად, საბჭოს წარედგინა დამატებითი არგუმენტებიც იმასთან დაკავშირებით, რომ ხსენებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით დაფიქსირებული საქონლის მიწოდება პრაქტიკულად ფიქტიური ოპერაციას წარმოადგენდა, რაზეც აშკარად მიანიშნებს ხსენებულ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებში დაფიქსირებული საქონლის დაბალი ფასი იმ დროისათვის ანალოგიურ საქონელზე არსებულ ფასებთან შედარებით და სავარაუდოდ გამყალბების მიერ ხსენებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების გაწერა პრაქტიკულად გამოყენებული იქნა მის მიერ რეალიზებული საქონლის დაბალ ფასად რეალიზაციის ერთგვარად „გამართლებად“.

დავის განხილვის მიმდინარეობისას შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოს ყურადღება მიექცო იმ არსებითი მნიშვნელობის გარემოებებზეც, რომ ხსენებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებში დაფიქსირებული დროით პერიოდში შპს გააჩნდა შესაბამისი მარაგები, არსებული სათავსოები მთლიანად იყო ათვისებული (რაც მარტივად დასტურდება საწარმოს საბუღალტრო მონაცემებით, რომლებიც მთლიანად შესწავლილი და შემოწმებული იყო შემოწმების პროცესში) და მისგან გამომდინარე საწარმოს მიერ საქონლის მიღება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. შპს-ის მიერ მაკონტროლებელს ასევე შეეთავაზა წინადადება ალტერნატიული გზით სიმძლავრეებისა და გამოყენებული ელექტროენერჯის მიხედვით განესაზღვრათ საწარმოს მიერ გადამუშავებული პროდუქციის მოცულობა, რაც სრულ შესაბამისობაშია საწარმოს საბუღალტრო ჩანაწერების მიხედვით დაფიქსირებულ მონაცემებთან და აშკარად გამოჩნდებოდა, რომ სადავო საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით დაფიქსირებული საქონელი შპს-ს ფიზიკურად არ მიუღია და არც გადაუმუშავებია.



ვთქვით და მიელო შპს-ს ეს საქონელი, რა უნდა გადაეხადა და რა დარჩებოდა საწარმოს, ღირდა კი მკაცრი აღრიცხვის ანგარიშ-ფაქტურების დამალვა?

317 000 ლარის ღირებულების საქონლის გადამღებებისას მაქსიმალური რენტაბელობის (10%) პირობებში შპს მიიღებდა 31 700 ლარს, აღნიშნული თანხიდან მას ბიუჯეტში გადასახდელი ექნებოდა დღგ - 4834 ლარი (რეალიზებულ პროდუქციაზე დარიცხული და ხსენებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით ჩასათვლელი დღგ-ის გათვალისწინებით), აგრეთვე ამ პროდუქციის რეალიზაციის ამონაგებიდან მოგების გადასახადის სახით მოუწევდა 4 030 ლარის გადახდა. ბიუჯეტში დღგ-ისა და მოგების გადასახადების სახით გადასახდელი ექნებოდა სულ 8864 ლარი.

ცხადია, არაგონივრულია ამ თანხისთვის რისკის ტარება. ამ კუთხითაც რომ შევხედოთ საკითხს, ეს არგუმენტიც ანგარიშგასაწევია.

წარდგენილი მტკიცებულობებისა და გარემოებების შესწავლის, ანალიზისა და განხილვის საფუძველზე, შემოსავლების სამსახურის მედიაციის საბჭოს 2014 წლის 6 თებერვლის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად გამოიცა შემოსავლების სამსახურის 2014 წლის 19 თებერვლის ბრძანება შპს საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე, სადაც სხვა ღონისძიებებთან ერთად, პირდაპირაა მითითებული, რომ დაევალა **ალტერნატიული აუდიტის განმხორციელებელ პირს საგადასახადო მოთხოვნით დარიცხული თანხების კორექტირება (შემცირება)**, თუმცა, ძნელი წარმოსადგენი შეიძლება იყოს, მაგრამ აღნიშნული ბრძანებით გათვალისწინებული დავალებები არ შესრულდა და საგადასახადო მოთხოვნით თანხის დარიცხვა შპს-ზე მაინც განხორციელდა. დაყვადებული იქნა მისი საბანკო ანგარიშები და ქონება, რის გამოც მას პრაქტიკულად შეუჭერდა ეკონომიკურ საქმიანობა.

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, შპს იძულებული შეიქმნა 2014 წლის 6 ივნისს შემოსავლების სამსახურისათვის კვლავ მიემართა საჩივრით. ეს უკანასკნელი შემოსავლების სამსახურის მედიაციის საბჭომ განიხილა 2014 წლის 8 აგვისტოს და ფაქტობრივად მიიღო იგივე გადაწყვეტილება ისე, რომ საგადასახადო

მოთხოვნით არამართლობიერად დარიცხული თანხები კვლავ დარჩა დარიცხული.

შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილება შპს-მ 2014 წლის 03 სექტემბერს გაასაჩივრა ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ დავების საბჭოში, რომელიც გადასახადი გადამხდელის დაჭინებული მოთხოვნით, დავების საბჭოში არსებული დავების სიმრავლის მიუხედავად, მისი განხილვა რიგს გარეშე იქნა განხილული და მასზე დამატებითი მტკიცებულებათა მოპოვების მიზნით საჩივრის განხილვა 2015 წლის 10 იანვრამდე შეჩერდა.

პარალელურ რეჟიმში შპს-მ პრემიერ-მინისტრსაც მიმართა.

საქართველოს მთავრობის კანცელარიიდან მიღებული შეტყობინების შესაბამისად, საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახელზე გაგზავნილი წერილი გადაეგზავნა საგადასახადო ომბუდსმენს. საგადასახადო ომბუდსმენმა ფაქტობრივად გაიზიარა მტკიცებულობათა ერთობლიობა და რეკომენდაციით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ საგადასახადო დავების განხილვის საბჭოს საეჭვო გარემოებების საფუძველზე დარიცხული გადასახადებისა და შესაბამისი ფინანსური სანქციების გაუქმებაზე. აწი უკვე ჯერი დავების განხილვის საბჭოზეა, მას შეუძლია არ გაიზიაროს ომბუდსმენის რეკომენდაცია.

აი, ასე, პატიოსანი გადამხდელი ეძებს სამართალს და ამ ძებნაში ფრიად მნიშვნელოვანი სხვა სასიცოცხლო ინტერესები ილახება.

წარმოდგენილი კონკრეტული შემთხვევიდან აშკარად ჩანს, თუ რამდენა დაადაცული ქვეყანაში კონსტიტუციის მე-40 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები და რამდენად კანონზომიერია საქართველოს საგადასახადო სისტემაში გადამხდელთა საგადასახადო ადმინისტრირების პრაქტიკა. უდავოა, რომ გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო ადმინისტრირების მსგავსი ფორმები და მეთოდები სასიკეთოდ არ წაადგება ქვეყანაში მეწარმეობის და მდგრადი ეკონომიკური განვითარების საქმეს.

მირზა ფუტკარაძე

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი

შედაკავშირებული რეგიონალიზმი დასავლეთის ლიტერატურაში

დასავლეთის ლიტერატურაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ მიკრო და მაკრო დონის რეგიონალიზმს. მაკრო დონის რეგიონალიზმი გლობალურ სიბრტყეზე განიხილავენ, ხოლო, მიკროს კი - თვით სახელმწიფოს შიგნით არსებულ ვითარებას.¹ ამასთან აღნიშნავენ, რომ ყველა რეგიონს არ შეიძლება ერთნაირი იდენტიფიკაცია მიეცეთ და ისინი თანაბარად შედარებითი ხასიათის არ არიან.²

არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც რეგიონალიზმი წარმოდგენილია როგორც პოლიტიკა და პროექტი, რომელიც ასოცირებულია პროგრამასთან და მისი განხორციელება ითვალისწინებს ინსტიტუტების მშენებლობას. იგი თანამშრომლობის და ინტეგრაციის პროცესია. ამის საფუძველზე დახასიათებულია რეგიონალიზმის ხუთი კატეგორია: 1. სოციალური და ეკონომიკური რეგიონალიზმი; 2. რეგიონულ ცნობიერებასთან და იდენტურობასთან დაკავშირებული რეგიონალიზმი; 3. სახელმწიფოთაშორისო კოოპერაციის რეგიონალიზმი; 4. სახელმწიფოს შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებული რეგიონალიზმი; 5. რეგიონული ინტეგრაცია და კავშირები.³

აღიარებულია რომ რეგიონალური თეორიები ერთმანეთს უფრო მეტად ავსებენ, ვიდრე, ეწინააღმდეგებიან. ისინი ცდილობენ მისცენ განმარტება სხვადასხვა პოზიციებიდან და არა ფოკუსირება მოახდინონ სხვადასხვა ასპექტებზე, როგორცაა: ისტორიული მოვლენები, გადადენის მექანიზმი, სარგებელი-დანახარჯის ანალიზი და სხვ. ⁴ ყოველი მათგანისთვის დამახასიათებელია ევრო-ცენტრისტული მიმართულება. ევროპული ინტეგრაციის გამოცდილება ხდება შედარებითი სხვა ქვეყნებისთვის. ევროცენტრიზმთან დაკავშირებით შესაძლებელია არაფერი იყოს გასაკვირი, მაგრამ იმასაც აღნიშნავენ, რომ ევროპული გამოცდილების ინტერპრეტაცია შესაძლებელია დამახინჯდეს, ან ისეთი ფორმა მიიღოს, რომელიც მიესადაგება დასამტკიცებელ პარადიგმას.⁵

თუ მკვლევარები დაიწყებენ იმის მტკიცებას, რომ რეგიონს ახასიათებს თავისებურება, მაშინ იგი აღქმულია

როგორც ევროპული ინტეგრაციის საწინააღმდეგო კონცეფცია. ეს გარემოება მნიშვნელოვანი ბარიერია თეორიების ფორმირებაში. შესაბამისად იმძლავრა და დომინირებული გახდა ევროცენტრიზმის მიმართულება.

ევროცენტრიზმი გახდა რეგიონული ინტეგრაციის მოდელის საფუძველი. თუმცა, მკვლევარები იმასაც აღნიშნავენ, რომ ამ ვითარებას ხელი შეუწყო ვროკავშირის რეგიონალისტებსა და დანარჩენ მსოფლიო ქვეყნებში რეგიონალიზმის საკითხებით დაინტერესებულ მხრეებთან დებატების ნაკლებობამ, კომუნიკაციების ნაკლებობამ და სხვადასხვა პოზიციების გაუცნობიერებლობამ და რეგიონულ სპეციალიზაციის და იმ პოზიციებს შორის წინააღმდეგობამ, რომლებიც ქვეყნების კერძო შემთხვევებს და გამოცდილებას ემყარება.⁶ ევროცენტრისტულ კონცეფციას აქვს ამბიციური პრეტენზია თუმცა, არაევროპული ქვეყნები აქცენტს აკეთებენ პრაქტიკულ რეგიონულ კონტექსტზე, რაც წინააღმდეგობაში მოდის ევროცენტრისტულ მიდგომებთან. შესაბამისად ამ ორ მიდგომას შორის კონსტრუქციული დიალოგი ჯერჯერობით არ არსებობს. რეგიონული ფენომენი არის მრავალვარიანტიული და პლურალისტული, ამიტომ შედარებითი რეგიონალიზმი სწორედ მოქნილ და შემთხვევებაზე დაფუძნებული თეორიებს უნდა ემყარებოდეს.

დიდი ბრიტანელი, ვარვიკის უნივერსიტეტის პროფესორი **შაუნ ბრესლინი** ევროცენტრიზმს უწოდებს დიდ საფრთხეს და წინააღმდეგობად რეგიონალიზმის მეცნიერულ განვითარებაში. მისი აზრით, აზიის ქვეყნებში რეგიონალური განვითარება არ შეიძლება დაემსგავსოს ევროპაში რეგიონალიზმს. მათი შედარება რთულია. ევროპა არ არის მაგალითი, ან შემთხვევა, არამედ, საწყისი შემთხვევა, რომელიც ქმნის ნორმებს და ქმნის სხვა ქვეყნებისთვის მოლოდინს. ამასთან, იგი სხვა ქვეყნებში რეგიონალური კონცეფციების ფორმირებაზე ზემოქმედებს. ასევე იგი ახდენს ინსტიტუტების ფორმირებაზე გავლენას.

ვარვიკის აზრით, დღეს რაც ჩვენ გვჭირდება, არის რეგიონალიზმზე ახალი წარმოდგენების შექმნა და სხვადასხვა ქვეყნის შემთხვევების და მდგომარეობის შესწავლა იმისათვის რომ ახალი გენერირებული კონცეფცია შეიქმნას.⁷

ბრესლინი ამოდის იმ ფაქტიდან, რომ რეგიონალიზმს ქმნის ვაჭრობა, ინვესტიციები, წარმოება და ეკონომიკა მოითხოვს ინტეგრაციას, ხოლო ეროვნული იდენტურობა კი მნიშვნელოვანია, რამდენადაც იგი ნებისმიერი რეგიონული პროექტის საწყისი პუნქტია.⁸ იგი აღ-

6 იქვე

7 Shaun Breslin. (2005). Studying Regionalism(s): Comparativism and Eurocentricism. Paper for the joint Fudan University, LSE, and Sciences Po Conference on China and Asian Regionalism, Shanghai, 7&8 January .2005.გვ. 4. <http://www2.warwick.ac.uk/fac/soc/pais/people/breslin/research/regionalism.pdf>

8 იქვე გვ. 32

1 Philippe de Lombaerde, Fredrik Soderbaum, Luk van Langenhove and Francis Baert. The problem of comparison in comparativeregionalism. Review of International Studies (2010), 36, გვ. 731-753. British International Studies Association doi. p. 736-373. http://academia.edu/2800882/The_problem_of_comparison_in_comparative_regionalism

2 იქვე, გვ.737,

3 Andrew Hurrell, 'Regionalism in Theoretical Perspective', in Louise Fawcett and Andrew Hurrell (ed.), Regionalism in World Politics. Oxford: Oxford University Press, 1995, pp. 39-45.

4 PHILIPPE DE LOMBAERDE, FREDRIK SÖDERBAUM, LUK VAN LANGENHOVE AND FRANCIS BAERT. The problem of comparison in comparativeregionalism. Review of International Studies (2010), 36, გვ.741. 2010 British International Studies Association doi. p. 736-373. http://academia.edu/2800882/The_problem_of_comparison_in_comparative_regionalism

5 იქვე .გვ. 742

ნიშნავს, რომ როცა ჩვენ ვწერთ რეგიონალიზმზე, ვგულისხმობთ ინტეგრაციას, მაგრამ მისი შედეგი შეიძლება იყოს ეროვნული ეკონომიკის ფრაგმენტაცია.¹

ლიტერატურის განზოგადებისას კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი, ჯონ ლოგლინი ასკვნის, რომ ეროვნული სახელმწიფოს და ეროვნულ მთავრობების მოქმედებები დღეს განსხვავებულია, ვიდრე არსებობდა თუნდაც ოცდაათი წლის წინ. მეტწილად, ეს სახელმწიფოს კეთილდღეობის ბუნების ცვლილების და ეროვნული სახელმწიფოს რეკონფიგურაციის შედეგია. ეროვნული მმართველობის მიერ ზემოდან ქვემოთ მარეგულირებელი მოდელი არის უფრო სტრატეგიული, ვიდრე, ინტერვენციული, თუმცა ცენტრალური ხელისუფლებიდან ინტერვენციების რეჟიმი კვლავ არსებობს, მაგრამ თანადაფინანსება დღეს არის ახალი მიდგომა, რომელიც ცვლის ცენტრის დამოკიდებულებას რეგიონებისადმი.

ცენტრსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის ურთიერთობისთვის დამახასიათებელი ხდება ალტერნატივებზე აგებული ურთიერთობები, რომლებიც თავისი ბუნებით ლიბერალურია. იგი გამოიყენება ტერიტორიული მმართველობისას.² იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ არსებობს სხვადასხვა კონფიგურაცია ევროპის ქვეყნებში.

დღეს ფართოდ აღიარებულია ადგილობრივი ავტონომიის როლი პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ საქმიანობაში. ეს საყოველთაო გაგება უკვე გავრცელდა ევროპაში ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს მიერ, ასევე ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, როგორცაა მსოფლიო ბანკი და გაერო.

ჯ. ლოგლინი აღიარებს, რომ დღეს იქმნება პრობლემები თეორიასა და დემოკრატიის განხორციელებაში. ადრე, დემოკრატია პირველ რიგში, როგორც ლიბერალური ფენომენი, მხოლოდ ეროვნულ დონეზე განიხილებოდა. დღეს, როგორც თეორია და ასევე პრაქტიკა უნდა შეიცვალოს და დაინერგოს რეგიონული და ადგილობრივი დემოკრატიის ცნებები.³ ევროპულ ინტეგრაციასთანაა დაკავშირებული მრავალდონიანი მმართველობის თემა, რომელსაც გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისის გერი მარკმა ჩაუყარა საფუძველი.⁴ იგი შედარებითი რეგიონალიზმის პრინციპებს ეფუძნება. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ევროპული ქვეყნები ვითარდებიან არა მარტო ცენ-

1 იქვე გვ. 23-24.
2 John Loughlin. Federalism, Regionalism and Local Government: comparative perspectives on transforming the nation-state. School of European Studies, Cardiff University . Review. European Political Science: 7 2008. P. 479-480. <http://www.sciencespo-aix.fr/media/federalism-regionalism.pdf>
3 John Loughlin. Federalism, Regionalism and Local Government: comparative perspectives on transforming the nation-state. School of European Studies, Cardiff University . Review. European Political Science: 7 2008. P. 479-480. <http://www.sciencespo-aix.fr/media/federalism-regionalism.pdf>
4 Simona Piattoni, Multi – level Governance in the EU. Does it Work? Globalization and Politics: A Conference in Honor of Suzanne Berger, MIT, May 8 and 9, 2009. p.4. <http://www.princeton.edu/~smeunier/Piattoni>.

ტრალური სახელმწიფოებიდან ევროპული გაერთიანებისკენ, არამედ, ქვემოთ, ქვენაციონალური ხელისუფლებისკენაც.

შესაბამისად ხდება გადაწყვეტილებების მიღების ინსტიტუციონალური დისპერსია და იმის თავიდან გააზრება თუ რა როლი უნდა ჰქონდეს ცენტრალურ ხელისუფლებას. ხელისუფლების დისპერსია საგრძნობია ევროკავშირის ქვეყნებში, მაგრამ იგი არ არის უნიკალური.

დასავლეთის ლიტერატურაში მკვლევარების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ არის ვერტიკალური ინტეგრაციის შედეგების გამოვლენა, რომელიც დღეს განსაკუთრებით პოლიტიზირებულია. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ 2008 წელს ევროპარლამენტმა მიმართა ქვეყნებს რაც შეიძლება სწრაფად განავითარონ მრავალდონიანი

ხელისუფლება.⁵ მრავალდონიან ხელისუფლებაში ევროპა ხედავს ევროკავშირის კონკურენტუნარიანობის გაძლიერების პირობას და მას კრიზისების გადაჭრაში პრიორიტეტულ მიმართულებად ასახელებს.⁶

დებატები მრავალდონიანი მმართველობის შესახებ ევროპაში სხვადასხვა ასპექტში მიმდინარეობს. ზოგიერთი ავტორი აღნიშნავს, რომ მრავალდონიანი ხელისუფლება იწვევს კორუფციის ზრდას, რამდენადაც ცენტრალური ხელისუფლების ზემოქმედება არის სუსტი და პოტენციურ კორუფციონერს მხოლოდ ხელისუფლების ერთ სემენტზე აქვს გავლენა და ფრაგმენტირებული მმართველობის სისტემა ვერ მოქმედებს პატიოსნების განვითარებაზე.⁷

კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი დანიელ ტრესმანი სხვადასხვა ჰიპოთეზების დაშვებით ამკიცებს, რომ ფედერალური სტრუქტურის მქონე ქვეყნები გაცილებით უფრო კორუმპირებული შეიძლება იყოს, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მისი ზომით და ფისკალური დეცენტრალიზაციით.⁸

ანალოგიურად ამტკიცებს მიუნჰენის და ამსტერდამის უნივერსიტეტის პროფესორები, ბ. და ნ. ნეიდორფერები, რომელთა აზრით, იმ ქვეყნებში, სადაც თვითმმართველობა და რეგიონული ავტონომიურობა გან-

5 European Parliament resolution of 21 October 2008 on governance and partnership at national and regional levels and a basis for projects in the sphere of regional policy (2008/2064(INI)). Item 18. <http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?type=TA&language=EN&reference=P6-TA-2008-492>

6 Own-Initiative Opinion of the Committee of the Regions on The Committee of the Regions' White Paper on Multilevel Governance', 80th plenary session, 17-18 June 2009. p. 5, 21. <http://web.cor.europa.eu/epp/Ourviews/Documents/White%20Paper%20on%20MLG.pdf>

7 ციტირებულია წიგნიდან: Daniel Treisman. The causes of corruption: a cross-national study. Journal of Public Economics 76 (2000) გვ. 407. http://www.policyinnovations.org/ideas/policy_library/data/01437/_res/id%3Dsa_File1/Treisman_Causes_Corruption.pdf

8 Daniel Treisman. The causes of corruption: a cross-national study. Journal of Public Economics 76 (2000). გვ. 430, 433. http://www.policyinnovations.org/ideas/policy_library/data/01437/_res/id%3Dsa_File1/Treisman_Causes_Corruption.pdf

ვითარებული, დიდია კორუფციის ქსელიც. რადგან ადგილობრივი ხელისუფლებას, რომლებიც ღებულობენ გადაწყვეტილებებს, აქვთ საკმაოდ დიდი იურისდიქცია. მმართველობის დანაწილება ზრდის მექრთამეობის დანახარჯს და პოლიტიკურ კორუფციას. ¹ ფისკალური დეცენტრალიზაცია კი არყვეს სტაბილურობას²

მართალია ზოგიერთი ავტორი ამტკიცებს, რომ დეცენტრალიზაცია ზრდის ბიუროკრატის ანგარიშგებიანობას ადგილობრივი მოსახლეობისადმი და ამდენად ხელს უნდა უწყობდეს კორუფციის შემცირებას, რადგან ადგილობრივი მოსახლეობა არის უკეთ ინფორმირებული, ³ მაგრამ სხვები ამის საწინააღმდეგოდ ამტკიცებენ იმასაც, რომ ადგილობრივ ხელისუფლებაში მონიტორინგის სისტემა არის სუსტი, პრესის თავისუფლება კი შეზღუდული, ხოლო მედია კი უფრო მეტად განვითარებულია ეროვნულ დონეზე. ამ ავტორების გამოკვლევით, მასმედიის თავისუფლების ხარისხი განსაზღვრავს კორუფციის დონეს.⁴

ბოსტონი უნივერსიტეტის პროფესორები **ჯ. გერრინგის** და **ს.ტაკერის** აზრით, ცენტრალიზებული და მკაცრად იერარქიული სტრუქტურები უზრუნველყოფენ მეტ ანგარიშგებიანობას, რამდენადაც პოლიტიკური პარტიები ძლიერია და ბიუროკრატია ნაკლებად არის ფრაგმენტირებული.⁵

მაქს პლანკის ინსტიტუტის მკვლევარი **ფ. შარპი** ამტკიცებს, რომ მრავალდონიანი მართვა ქვეყნებს აყენებს გამოუვალ მდგომარეობაში და სახელწმიფო მოწყობის ლიბერალური მიდგომები ძირს უთხრის რესპუბლიკების ლეგიტიმურობას. იგი მოითხოვს პოლიტიკური ძალაუფლების და ავტონომიურობის დაბალანსებას.⁶

ა. როდენი ამტკიცებს, რომ დეცენტრალიზებული ფედერალიზმი არის ანტიდეპრესანტი მენტალური ჯანმრთელობისთვის. მისი მთავარი ჰიპოთეზა არის ის, რომ **ცენტრალური ხელისუფლება**, რომელსაც აქვს ვალდე-

1 Benjamin H. Neudorfery Natascha S. Neudorfer. Decentralization and Political Corruption:

The Beginning of a Beautiful Friendship? გვ. 2-3. http://www.falw.vu/~mlg/papers/Neudorfer_decentralization%20and%20corruption.pdf;

2 Jonathan Rodden , Erik Wubbles. Fiscal Decentralization and The Bussienss Cycle : An Empirical Study of Seven Federations. Economics&Politics. Volume 22 March 2010 No. 1. გვ.

3 Cai, Hongbin, and Daniel Treisman. 2004. State corroding federalism." Journal of Public Economics 88(2004): გვ.819. <http://www.econ.kuleuven.ac.be/public/ndaaa08/statecorrodingfederalism.pdf>

4 Lessmann, Christian, and Gunther Markwardt. 2010. One Size Fits All? Decentral-ization, Corruption, and the Monitoring of Bureaucrats." World Development 38(4). Abstract.. <http://ideas.repec.org/a/eee/wdevel/v38y2010i4p631-646.html>

5 Gerring, John, and Strom C. Thacker. 2004. \Political Institutions and Corruption: The Role of Unitarism and Parliamentarism." British Journal of Political Science 34(2): გვ.298-300. <http://sws.bu.edu/jgerring/documents/Corruption.pdf>

6 Fritz W. Scharpf. Legitimacy in the Multilevel European Polity. MPIfG Working Paper 09/1. <http://www.mpifg.de/pu/workpap/wp09-1.pdf>

ბულება დააფინანსოს ადგილობრივი მმართველობა და ახდენს გადასახადების მოკრებას, ვერ დაეფუძნება ადგილობრივ ხელისუფლებას მაშინ, როდესაც ადგილობრივი მეურნეობა კრიზისს განიცდის და მათ სჭირდება დახმარება. დანაწევრებული ფედერალური ხელისუფლება ქმნის უპასუხისმგებლო ქვეყნებს.⁷

ამავე პოზიციასზე არიან სხვა ავტორებიც. მაგალითად, ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორები **ჰ. ობგინერი**, **ს.ლეიბფრიდი** და **ფ.კასტელი** ამტკიცებენ, რომ რეგიონალურად დანაწევრებული ხელისუფლება აბრკოლებს კეთილდღეობის გადანაწილებას. სხვადასხვა ევროპული ქვეყნების ისტორიული მიმოხილვით და იმ თეზისზე დაფუძნებით, რომ ხანგრძლივ პერიოდში ევროპის უმველეს ფედერალურ ქვეყნებში კეთილდღეობის სახელმწიფოს კონსოლოდაცია შემცირდა, ისინი ამტკიცებენ კეთილდღეობის განსხვავებული სტანდარტების ფორმირებას ევროპისკენ პროგრესთან ერთად. ამასთან, ევროპა შედის განვითარების ხაფანგში და ღრმა პოლიტიკურ და ეკონომიკურ განხეთქილებაში.⁸

დასავლეთელი მკვლევარები აქცენტს აკებენ ეროვნულ იდენტურობაზეც. ევროპული ცენტრიზმი სულ უფრო მკვეთრად ადგენს ევროპაში გაერთიანებული ქვეყნების ერთიან იდენტიფიკაციას „ევროპელის“ სახელით.

2004 წელს ევროპის ქვეყნებში გამოკითხული მოსახლეობის 54 პროცენტი თავი თავს უწოდებდა „ევროპელს“ და 6 პროცენტი კი თვლიდა, რომ ისინი ჯერ არიან ევროპელები და შემდეგ კი იმ ეროვნების, რომელსაც ისინი მიეკუთვნებოდნენ, ხოლო 4 პროცენტი კი აღიარებდა თავის თავს მხოლოდ ევროპელად.⁹ მართალია ეს ციფრები არ არის მოცულობითი, მაგრამ ცხადია, რომ ევროპიზაციას თანდათანობით უკანა პლანზე გადაჰყავს ეროვნული თვითშეგნება, რასაც ამართლებენ იმით, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება სოციალური პოლიტიკის, გადასახადების და სხვა ქმედებების ჰარმონიზება, თუ ევროპის ქვეყნებში ხალხს ექნებათ ერთიანი ევროპელობის შეგრძნება.¹⁰

დასავლეთელი მკვლევარები აღიარებენ, რომ ევროპიზაციას აქვს თავისი დადებითი შედეგიც; იგი ახდენს ევროპის ინსტიტუტების და სტანდარტების ლეგიტიმა-

7 Jonathan A. Rodden. Hamilton's Paradox: The Promise and Peril of Fiscal Federalism. Cambridge University Press, 2006. <http://journals.cambridge.org/action/displayAbstract?fromPage=online&aid=1963692&previous=true&jid=JOP&volumeId=69&issueId=01>

8 Herbert Obginer, Stephan Leibfried, Francis G. Castles. Prospects for a Europeana Welfare State. Lessons from Welfare State Development in six OECD-Federations. TRanstate Working Paper, #16Bremen, 2005. გვ.1-2

9 Kimberly Twist. Integration Without Identification? The Determinants of Europeanness in the E. University of California, Berkeley. European Union Studies Association Conference. April 2009. http://www.unc.edu/euce/eusa2009/papers/twist_04D.pdf

10 ციტირებულია წიგნიდან: Kimberly Twist. Integration Without Identification? The Determinants of Europeanness in the E. University of California, Berkeley. European Union Studies Association Conference. April 2009. http://www.unc.edu/euce/eusa2009/papers/twist_04D.pdf

ციას და ხალხის ერთობას აფუძნებს არა როგორც მათი ჯამის სახით, არამედ მათი ინტერესების თანაარსებობის სახით. თუმცა, იმასაც აღნიშნავენ, რომ ეს არის პოლიტიკური ქვეყა და ხალხს, რომელთაც აქვთ გამოკვეთილი კულტურული და სოციალური იდენტურობა, ვერ მოექცევიან პოლიტიკური იდენტურობის ადქვატურად.¹

ბუნებრივია დასკვნა იმის შესახებ, რომ არ შეიძლება ევროპიზაციის ფეტიშიზირება, ადვილი ასახსნელია. შესაბამისად ამ კონტექსტში არც ეროვნული იდენტურობის მრავალფეროვნების ფეტიშიზირებაა შესაძლებელი. იბადება კითხვა, რამდენი ძალაუფლების არარსებობაა შესაძლებელი და ვინ იბატონებს ვისზე, იმის გათვალისწინებით, რომ მოქალაქეობა არ არსებობს პოლიტიკის გარეშე, ხოლო პოლიტიკა კი - ძალაუფლების გარეშე.

ამასთან დაკავშირებით მკვლევარები ეჭვობენ, რომ თითქოს ევროპიზაცია და საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობა ერთდროულად შესაძლებელი იქნება.² დემოკრატიულ ღირებულებების აღიარება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ იდენტურობა შეიქმნას და გადანაწილდეს ძალაუფლება ცენტრსა და რეგიონებს და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის. ევროსკვპტიკოსები ფიქრობენ, რომ უზენაესი ხელისუფლება უნდა დარჩეს ეროვნულ სახელმწიფოებს. სხვებს კი აქვთ შეჯერებული მოსაზრებები და ერთის მხრივ, აღიარებენ ახალი ცენტრალური ძალაუფლების აუცილებლობას ევროპულ ქვეყნებისთვის, რომლის პოლიტიკურ ციკლი ხანმოკლე პერიოდში არ იქნება ხელსაყრელი, ხოლო, მეორეს მხრივ, კი ფიქრობენ, რომ უნდა გამოიმუხროს გზები სხვადასხვა ერების, რელიგიურ რწმენის და კულტურის ხალხისთვის მისაღები სტატუს კვო პოლიტიკისთვის, რომელიც ხანგრძლივ პერიოდზე იქნება გათვლილი.³

ამდენად, ეროვნული იდენტურობა ევროპულ ქვეყნებში დასავლეთელ მკვლევარებს უქმნის მრავალ კითხვას და ფაქტობრივად სჯერდება მხოლოდ იმის მოლოდინს, თუ როგორ განვითარდება მოვლენები. ევროცენტრიზმი დღეს მოქმედებს დიდ ინერციით და ეროვნულობის თემა კი ფრაგმენტულად შეახსენებს თავს მკვლევარებს, რამდენადაც ის ქვეყნები, რომლებისთვისაც ეს თემა ყველაზე მწვავეა, მიეკუთვნებიან მცირე ქვეყნების რიგს და მათი დამოკიდებულება მსხვილ ევროპულ ქვეყნებზე, განსაკუთრებით კი გლობალური ფინანსური კრიზისების გამეორების ფონზე, არ ქმნის ამ პრობლემის სიმწვავის გამახვილების ნიადაგს.

გარდა ამისა, ევროპიზაცია ცვლის ავტონომიური ერთეულების ქცევასაც. ეს განსაკუთრებით გამოვლინდა ესპანეთის მაგალითზე. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ავტონომიური წარმონაქმნები უკვე იწყებენ მონაწილეობის მიღებას საერთო პოლიტიკის შექმნაში და მათ ეძლევა საშუალება ზემოქმედება მოახდინონ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებზე, მაგრამ ეს შუძლებელია, რადგან ავტონომიური ერთეულების ფუნქციონირების პრობლემა შეუცვლელი დარჩა და თუ დღემდე იგი ეფექტიანად

ფუნქციონირებდა, კონფლიქტური ტენდენციები მომავალში შეიძლება გამწვავდეს.

როგორც ბარსელონას უნივერსიტეტის მკვლევარი, **ჯოან სუბირატსი** აღნიშნავს, დღეს ეროვნული იდენტურობა განსხვავებულია ვიდრე ეს იყო ადრე და ევროპიზაცია მოითხოვს ახლებურად გააზრებას. ევროპა დგას დილემის წინაშე: უზრუნველყოს ეროვნულობის არსებითი თვისებების დაცვა ცვლილებებისგან, რომელიც დღეს მხოლოდ ჰაერშია გამოკიდებულია, ან იფიქროს ძალაუფლების ლეგიტიმაციაზე მმართველობის სხვადასხვა დონეზე. ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა დავძლიოთ ეროვნული იდენტურობის ტრადიციული გაგება, რომელსაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ადგილობრივი კომუნები და მივიღოთ ახალი რეგიონალიზმის განსხვავებული ტიპი.

არარეალისტურია, რომ ევროპის მომავალი იქნება სახელმწიფოების გარდაქმნა და დანაწევრება მცირე ერთეულებად. დღეს დიდი გამოწვევაა დიალოგი, რომელიც თანდათანობით მოახდენს განსხვავებული იდეებისა და კონცეფციების განზოგადებას და მის პოლიტიკურ პრაქტიკაში განხორციელებას.⁴ როგორც ჩანს ეროვნული იდენტურობის ევროცენტრიზმთან დაკავშირება ევროკავშირსაც პრობლემებს უქმნის და მის გადასაწყვეტად ქვეყნების განსხვავებულ გამოცდილების გაზიარებას მოითხოვს.

დავით ჭიჭინაძე,
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი

СРАВНИТЕЛЬНЫЙ РЕГИОНАЛИЗМ В ЗАПАДНОЙ ЛИТЕРАТУРЕ

ДАВИД ЧИЧИНАДЗЕ
Докторант Грузинского Университета имени св.
Андрея Первозванного

РЕЗЮМЕ

В статье показан какие основные направления взглядов существуют в социально-экономической литературе западных стран по поводу регионализации, какие выгоды и опасности можно ожидать от регионализации в Европе и в других странах при простом копировании европейского, само по себе еще не завершенного, опыта.

4 Joan Subirats. "Multi-level Governance and Multi-level Discontent: The Triumph and Tensions of the Spanish Model", en S.L.Greer, Territory, Democracy and Justice. Regionalism in Western Democracies, Palgrave-Macmillan, Nueva Yourk, 2006. გვ. 25-27. http://academia.edu/212706/Multi-level_governance_and_multi-level_discontent_The_triumph_and_tensions_of_the_Spanish_model

1 Cerutti, Furio, "Towards the Political Identity of the Europeans," გვ. 33. <http://www.freewebs.com/joshonica/Political%20Identity%20of%20Europeans.pdf>

2 იქვე. გვ. 35

3 იქვე გვ. 41.

ევროკავშირის ქვეყნების აღვილობრივი თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილება: შედარებითი ანალიზი

მრავალ მნიშვნელოვან საკითხთან შორის, რამაც უნდა განსაზღვროს საქართველოში ზოგადად დეცენტრალიზაციის პროცესის წარმატება, არის დეცენტრალიზებული და დელეგირებული უფლებამოსილებათა ნუსხა და მათ განსახორციელებლად გამოყოფილი საკუთარი ფინანსური რესურსები. ლოგიკური იქნებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის არსებული მდგომარეობის შესწავლა, სირთულეების იდენტიფიცირება და მხოლოდ ამის შემდეგ სისტემური ხასიათის გადაწყვეტილებების დანერგვის დაგეგმვა, რაც მოახდენდა შესაძლო შეცდომების დაშვების მინიმალიზებას. თუმცა გადაწყვეტილების მიმღებთა ხედვამ, მოესწროთ ადგილობრივი თვითმმართველობის კანონმდებლობაში არსებითი ხასიათის ცვლილებების დანერგვა 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე, რადიკალურად შეამცირა კანონმდებლობის გადამუშავების, ხედვათა შეჯერების, პოლიტიკური და საზოგადოებრივი კონსენსუსის მიღწევის და საარჩევნო კომპანიის დაწყებამდე ყველა საორგანიზაციო, ადმინისტრაციული, ინფრასტრუქტურული, საკომუნიკაციო, საკადრო და სხვა უამრავის არსებითი ხასიათის საკითხების მოგვარებისთვის საჭირო დრო. შედეგად, 2014 წლის 5 თებერვალს მიღებულ იქნა საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“. არსებულმა კანონმა ადგილობრივი კომპეტენციების ნაწილში ფაქტობრივად გაიმეორა წინამორბედი კანონის შესაბამისი პოზიცია. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები „ძველი“ და მოქმედი კანონით

საქართველოს ორგანული კანონი
„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“
16 დეკემბერი, 2005 წელი
მუხლი 16, პუნქტი 2

საქართველოს ორგანული კანონი
„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“
5 თებერვალი, 2014 წელი
მუხლი 16, პუნქტი 2

- ა) თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა და შეფასება; --ა
- ბ) ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება, მათი განაკვეთების დადგენა კანონით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობების ფარგლებში;--დ
- გ) ინვესტირების მიმართულებების, საკუთარი, აგრეთვე ერთობლივი მიზნობრივი პროგრამების განსახორციელებლად საჭირო სახსრების განსაზღვრა და თვითმმართველ ერთეულში ინვესტიციების ხელშეწყობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; ხელშეკრულების დამტკიცება ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით სხვა თვითმმართველ ერთეულთან საბიუჯეტო სახსრების გაერთიანების შესახებ;
- დ) ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღება;--დ
- ე) დასაქმების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამების დამტკიცება;
- ვ) თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა; თვითმმართველი ერთეულის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის წესების დადგენა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;--ბ
- ზ) თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილების განხორციელების მიზნით კანონით განსაზღვრული იურიდიული პირების შექმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;
- თ) თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების მართვა და განკარგვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;--გ
- ი) მიწათსარგებლობის დაგეგმვა, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ზონებად (გამწვანების, დასვენების, სამრეწველო, სავაჭრო და სხვა სპეციალური ზონები) დაყოფა, მათი საზღვრების დადგენა და შეცვლა;
- კ) ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის და ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის რესურსების მართვა;--გ
- ლ) მშენებლობის ნებართვის გაცემა, თვითმმართველი

- ა) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა და შეფასება; საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საბიუჯეტო სახსრების განკარგვა, სახაზინო ფინანსური ოპერაციებისა და საბანკო ტრანზაქციების წარმოება;
- ბ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით;
- გ) ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, წყლისა და ტყის რესურსების და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების, მართვა კანონით დადგენილი წესით;
- დ) ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება კანონით დადგენილი წესით, მათი განაკვეთების დადგენა კანონით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობების ფარგლებში; ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღება;
- ე) მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და შესაბამის სფეროში ნორმებისა და წესების განსაზღვრა; ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის, მათ შორის, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების, დამტკიცება;
- ვ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა და შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება, ტერიტორიის გამწვანება, გარე განათების უზრუნველყოფა;
- ზ) მყარი (საყოფაცხოვრებო) ნარჩენების შეგროვება და გატანა;

№5 ოქტომბერი-დეკემბერი 2014

ერთეულის ტერიტორიის ფარგლებში მიმდინარე მშენებლობაზე ზედამხედველობა კანონით დადგენილი წესით;--ლ

მ) საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში საგზაო მოძრაობისა და ავტოსატრანსპორტო გადაყვანის რეგულირება, კანონით დადგენილი ნებართვების გაცემა და მოსახლეობის სამგზავრო ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება;--ლ

ნ) გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება;--მ

ო) გარე რეკლამის განთავსების რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;--ჟ

პ) ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრა და პარკირების წესების დადგენა; დასახლებებში ქუჩების დასუფთავება, გარე განათება, სანიაღვრე მეურნეობისა და კანალიზაციის მოწყობა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და გატანის სამუშაოთა წარმოების დაგეგმვა და განხორციელება ან მათ განხორციელებაზე მუნიციპალური შესყიდვის ორგანიზება; სასაფლაოების მოვლა-პატრონობა;--ზ,ს,კ

ჟ) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობა და გამწვანება, შესაბამისი პროგრამების დამტკიცება, პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელება ან მათ განხორციელებაზე მუნიციპალური შესყიდვის ორგანიზება;--ვ

რ) ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვა, მშენებლობა და განვითარების უზრუნველყოფა;--ვ

ს) თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ნორმებისა და წესების განსაზღვრა; მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცება; თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობისა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამების დამტკიცება;--ე

ტ) ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების, მუზეუმების, თეატრების, გამოგონების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების საქმიანობის ორგანიზება;--ტ

უ) მუნიციპალური არქივის შექმნა და საარქივო მომსახურების ტარიფების დადგენა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ფ) სკოლამდელი აღზრდისა და სკოლის გარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით შექმნა და მათი წესდებების დამტკიცება; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საქმიანობის ორგანიზება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;--ი

ქ) თვითმმართველი ერთეულის მუნიციპალური პროგრამებისა და გეგმების შემუშავება და დამტკიცება;

ღ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში მუნიციპალური რესურსების მოზილიზება, შესაბამისი ღონისძიებების (ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ჯანმრთელობის რისკფაქტორების იდენტიფიცირება) შემუშავება, განხორციელება და ამის თაობაზე მოსახლეობის ინფორმირება;

ყ) თვითმმართველი ერთეულის მუნიციპალური სახანძრო უსაფრთხოებისა და სამაშველო ღონისძიებების უზრუნველყოფა;

შ) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და საგზაო მოძრაობის დაგეგმარება;

ჩ) შეკრებების, მიტინგების, დემონსტრაციების ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;--ო

ც) ადგილობრივი შესყიდვების განხორციელება;

ძ) ქუჩებისა და მოედნების სახელდება და ნუმერაცია.--პ

თ) წყალმომარაგების (მათ შორის, ტექნიკური წყლით მომარაგების) და წყალარინების უზრუნველყოფა; ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სისტემის განვითარება;

ი) მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

კ) ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზება; ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფა და დგომის/გაჩერების წესების რეგულირება;

ლ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემა; მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება;

მ) გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება;

ნ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემა, მშენებლობაზე ზედამხედველობის განხორციელება საქართველოს საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესითა და დადგენილ ფარგლებში;

ო) შეკრებებისა და მანიფესტაციების გამართვასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება კანონით დადგენილი წესით;

პ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების, კერძოდ, ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნის, თვითმმართველი ქალაქის ადმინისტრაციული ერთეულის, ამა თუ იმ ზონის, მიკრორაიონის, წყაროს, მოედნის, პროსპექტის (გამზირის), გზატკეცილის, ქუჩის, შესახვევის, ჩიხის, გასასვლელის, სანაპიროს, ესპლანადის, ბულვარის, ხეივანის, სკვერის, ბაღის, პარკის, ტყე-პარკის, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის, სასაფლაოს, პანთეონის, შენობა-ნაგებობის, სატრანსპორტო სისტემის ობიექტის, სახელდება კანონით დადგენილი წესით;

ჟ) გარე რეკლამის განთავსების რეგულირება;

რ) შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა;

ს) სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა;

ტ) ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება; ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრების, საგამოფენო დარბაზებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა;

უ) ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, ბავშვებისა და მოხუცებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის, საჯარო თავშეყრის ადგილებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის სათანადოდ ადაპტირებისა და აღჭურვის უზრუნველყოფა;

ფ) უსახლკართოთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია.

არსებული სიტუაციის სწორი შეფასებისა და სამომავლო გადაწყვეტილებების მისაღებად ქართულ და უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით ჩვენ ჩავატარეთ მუნიციპალური კომპეტენციების შედარებითი რაოდენობივი ანალიზი საქართველოსა და ევროსაბჭოს როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების (34) თვითმმართველობებს შორის .

ინფორმაციის შესწავლისას იკვეთება ტერმინოლოგიური, ტრადიციებით და სამართლებრივი პრაქტიკით განპირობებული უფლებამოსილებათა სახესხვაობები, რომლებიც რიგ შემთხვევაში შეიძლება აღმატებოდეს სხვა ქვეყანაში იგივე ან მსგავსი შინაარსის ქვეშ ნაგულისხმევ უფლებამოსილებას ან საერთოდ არ მოიცავდეს მსგავს საკითხებს. მათ შორის აღსანიშნავია: ა) საზოგადოებრივი სამუშაოები, საზოგადოებრივი მომსახურება, საჯარო მომსახურება (ბულგარეთი და ლიტვა), საზოგადოებრივი მომსახურება და ინფრასტრუქტურა (ლატვია); ბ) ჯანდაცვა (ავსტრია), საზოგადოებრივი ჯანდაცვა (რუმინეთი); გ) სოციალური მომსახურება, სოციალური დახმარება, სოციალურ-ეკონომიკური გეგმები, სოციალური ღონისძიებების განხორციელება (საქართველო), სოციალური ინფრასტრუქტურა და პოლიტიკა (ბელგია), სოციალური პოლიტიკა (ბელგია), მოხუცების მოვლა (შვედეთი), უნარშეზღუდულ პირთა ხელშეწყობა (შვედეთი); დ) ადგილობრივი ეკონომიკა (ბელგია), ადგილობრივი განვითარება (ჩეხეთი), ინვესტიციების მხარდაჭერა (საქართველო), სამრეწველო (ეკონომიკური) და კომერციული (განვითარების) მომსახურება (შვედეთი) (თურქეთი), დასაქმება; ე) განათლება სხვადასხვა ნაწილი (სკოლამდელი, დაწყებითი, საშუალო, პროფესიული), განათლება საბერძნეთში საჯარო განათლება (შვეიცარია) განათლება ხორვატიაში, განათლება (უკრაინა).

ასევე, გარკვეული წინააღმდეგობრივი ცნობები იძებნება ამა თუ იმ ქვეყნის სხვადასხვა კომპეტენციის საკუთარ უფლებამოსილებათა შორის მოაზრებასა და მათი შესაძლო დელეგირებული ბუნების შესახებ. აღნიშნული ცალსახად გამოკვეთავს თითოეული უფლებამოსილების შემდგომი სიღრმისეული შესწავლის აუცილებლობას და შესაბამისი დასკვნების მომზადებას.

ზემოაღნიშნული შესაძლო ხარვეზების თუ სპეციფიკის გათვალისწინებით მიზნად იქნა დასახული კვლევის ფარგლებში მომხდარიყო: საკვლევი ქვეყნების (34) ადგილობრივი თვითმმართველობების ყველა დონის (რეგიონული თვითმმართველობის გარდა) უფლებამოსილებების ნუსხის შედგენა; ქვეყნების მიხედვით ამ უფლებამოსილებების რაოდენობის აბსოლუტურ მაჩვენებლებში დათვლა; საქართველოსა და საკვლევი ქვეყნის (34) ადგილობრივი თვითმმართველობის მსგავსი ან მიახლოებული უფლებამოსილებების თანხვედრის რაოდენობრივი და პროცენტული დათვლა; საქართველოსთან თანხვედრილი საკვლევი ქვეყანაში (34) უფლებამოსილებების ხვედრითი წილის დადგენა; საკვლევი ქვეყნებში (34) თითოეული უფლებამოსილების შეფარდების დადგენა საკვლევი ქვეყნების მთლიანი რაოდენობასთან მიმართებაში; დასავლეთ ევროპის საკვლევი ქვეყნებში (18) თითოეული უფლებამოსილებების შეფარდების დადგენა დასავლეთ ევროპის საკვლევი ქვეყნების მთლიანი რაოდენობასთან მიმართებაში; აღმოსავლეთ ევროპის საკვლევი ქვეყნებში (16) თითოეული უფლებამოსილებების შეფარდების დადგენა აღმოსავლეთ ევროპის საკვლევი ქვეყნების მთლიანი რაოდენობასთან მიმართებაში; პირველი 20 უფლებამოსილების ნუსხის მომზადება: ა) საერთო საკვლევი ქვეყნების, ბ) დასავლეთ და გ) აღმოსავლეთ ევროპის საკვლევი ქვეყნების მიხედვით; ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებების სარეკომენდაციო ნუსხის მომზადება.

პირველი ამოცანის გადაჭრისას თავი იჩინა გარკვეულმა საჭიროებამ მომხდარიყო მთლიანად ან ნაწილობრივ თანხვედრილი კომპეტენციების დაზუსტება და რიგ შემთხვევებში, ხელახალი გადაჯგუფება. კომპეტენციების საკანონმდებლო ფორმულირების სხვადასხვა პრაქტიკა ქმნის სირთულეებს, თუმცა ემპირიული კვლევისთვის მათი გამარტივებული ფორმულირება უფრო ცხადს ხდის კომპეტენციის შინაარსს. ევროკავშირის ქვეყნებში თვითმმართველობათა ჯამობრივი კომპეტენციები შემდეგ სახეობებს შეიცავს

კომპეტენციები	და ახალგაზრდობა
კულტურის ძეგლთა დაცვა	საზოგადოებრივი უსაფრთხოება და წესრიგი/ ადგილობრივი პოლიცია
სოც-ეკონ პროგრამები	დაწყებითი განათლება
წყალმომარაგება სისტემის მართვა	საშუალო განათლება
ბუნებრივი რესურსების მართვა, მათ შორის ტყის	სკოლების მშენებლობა და მოვლა
სოციალური დახმარება	

პროფესიული და ტექნიკური განათლება
ბინათმშენებლობა (პაუსინგი)
მიგრაცია და ინტეგრაცია
საკვებსა და სასმელზე კონტროლი
სამოქალაქო თავდაცვა/კატასტროფების მართვა
გარემოს დაცვა
სამოქალაქო რეესტრის ფუნქციები/სარეგისტრაციო ოფისი (ბელგია)
საარჩევნო ფუნქციები
საზოგადოებრივი საბჭო
საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავება
ინფრასტრუქტურა
მართვის მოწმობები
ლიცენზიები
პირველადი ჯანდაცვა (სასწრაფოდახმარება)
მეორადი ჯანდაცვა
სტომატოლოგია
საოჯახო მედიცინის ორგანიზება
პორტები
ელექტრო მომარაგება
ბუნებრივი აირით უზრუნველყოფის ხელშეწყობა
ნადირობა და მეთევზეობა
სოფლის მეურნეობა, მესაქონლეობა და მეთევზეობა
სამელიორაციო-საირიგაციოსისტემები

წყლის რესურსებისა და ენერჯის განვითარება
წყალმომარაგების კონტროლი და მენეჯმენტი
ტურიზმი
საზოგადოებრივი ინჟინერია
სოციალური პოლიტიკა
მოხუცებზე მზრუნველობა
უნარშეზღუდულთა და ინვალიდთა მხარდაჭერა
საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და გარემოს დაცვის მონიტორინგი
უმუშევრების დახმარება
მუნიციპალური მემკვიდრეობა
საჯარო განათლება
დაკრძალვა და ცერემონიები
ქორწინება
პროფესიული და უნარების ტრენინგები
ეკონომიკური და კომერციული განვითარების მომსახურება
ცენტრალური გათბობა
ჭები
თანამონაწილეობა და რეგიონალური დაგეგმვა
ვეტერინარული მომსახურება
სკოლის ავტობუსები
მომხმარებელთა აუფლებების დაცვა
სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება
მასწავლებელთა ტრენინგი

საკვლევი ქვეყნების მიხედვით ამ უფლებამოსილებების რაოდენობრივი ანალიზი საკმაოდ საინტერესო სურათს წარმოაჩენს: საქართველოში თვითმმართველობები არათუ ჩამოუვარდებიან აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის თვითმმართველობებს, არამედ ბევრ შემთხვევაში უფლებამოსილებებით აღემატებიან კიდევაც! აღსანიშნავია ერთი საინტერესო ფაქტი, რამაც სავარაუდოდ შეიძლება შეიტანოს გარკვეული კორექტირებები უფლებამოსილებების რაოდენობრივ აღქმაში. ქართველი კანონმდებელი, ისევე როგორც რიგ შემთხვევაში ზოგიერთი აღმოსავლეთ ევროპელი კანონმდებელი გარკვეულწილად უფლებამოსილების რაოდენობაში განიხილავს უფლებამოსილების განხორციელების ტექნიკურ შესაძლებლობას. მაგალითისთვის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანულ კანონში იყო უფლებამოსილება იურიდიული პირის შექმნის შესახებ. ეს შეიძლება იქნეს განხილული როგორც უფლებამოსილება, თუმცა თავისი არსით იურიდიული პირის შექმნის უფლება არანაირად არ წარმოადგენს ადგილობრივი მნიშვნელობის საზოგადოებრივ საქმეს, რომელთა ჯეროვანი გადაწყვეტის მიზნითაც იქმნება ადგილობრივი თვითმმართველობა, რომ არაფერი ვთქვათ მის ექსკლუზიურობასა და სისრულეზე. შესაბამისად, სკოლამდელი აღზრდა არის უფლებამოსილება, ხოლო ამ უფლებამოსილების განსახორციელებლად ბაღის, ბაგა-ბაღის თუ სხვა შინაარსის მქონე დაწესებულების შექმნა

იურიდიული პირის სახით არის მხოლოდ საკითხის ტექნიკური გადაწყვეტის შესაძლებლობა. ახალ კოდექსში ეს ნაწილი გასწორდა. თუმცა, მსგავსი შინაარსის მატარებელია ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების უფლებამოსილება, რაც ასევე გვხვდება მხოლოდ რამდენიმე ადმოსავლეთ ევროპის ქვეყანაში, კერძოდ, ჩეხეთში, ესტონეთში, ლიტვასა და უკრაინაში. საქართველოს კონსტიტუცია, თვითმმართველობის ევროპული ქარტია და კანონის შესაბამისი მუხლები უკვე განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის არსს და მათ შორის აღნიშნავს ამ საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ საკუთარი ბიუჯეტის ქონის შესაძლებლობას, რაც უკვე საკმარისი პირობაა ბიუჯეტის დაგეგმვის, მიღების, შესრულების, მასში ცვლილების შეტანისთვის და ნებისმიერი სხვა მასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტის სამართლებრივი ჩარჩოს შესაქმნელად. ამასთან, კანონმდებლობა აზუსტებს საბიუჯეტო პროცესის პირობებს, მონაწილეებს და თითოეულის როლს ამ პროცესში.


ასევე, ხაზგასასმელია გარკვეული კომპეტენციების დეტალიზების ტენდენცია როგორც ქართულ, ასევე ზოგიერთ ადმოსავლეთ ევროპულ ქვეყანაში, რაც სავარაუდოდ დეცენტრალიზაციის პროცესის სირთულის გარკვეული მიმანიშნებელიც კი შეიძლება იყოს. თვალსაჩინოებისთვის შეიძლება განვიხილოთ საგზაო მოძრაობის რეგულირების უფლებამოსილება, რომელიც ორ სხვადასხვა ნაწილადაა წარმოდგენილი : ა) როგორც საგზაო მოძრაობის რეგულირება და ბ) პარკირების ადგილის განსაზღვრა და პარკირების წესების დადგენა. ავტომანქანის გაჩერების და დგომის საკითხები მოიცავს პარკირების ადგილების განსაზღვრას და პარკირების წესების დადგენას, თუმცა ქართულმა პრაქტიკამ ამ ნაწილის მკაფიოდ განსაზღვრის აუცილებლობა გამოკვეთა განვლილ წლებში.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადგილობრივი თვითმმართველობები ახორციელებენ 21 უფლებამოსილებას (ჰქონდათ 37), რაც გამოყენებულ იქნა საკვლევ ქვეყნებში შესაბამისი უფლებამოსილებების რაოდენობრივი მაჩვენებლების შედარებისთვის.

ცხრილი 2. ფუნქციების რაოდენობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში

გერმანია	ესპანეთი	საფრანგეთი	დიდიბრიტანეთი	ფინეთი	იტალია	ნიდერლანდები	პორტუგალია	ავსტრია	ბელგია	შვედეთი	საბერძნეთი	კვიპროსი	ისლანდია	ირლანდია	დანია	შვეიცარია	თურქეთი
DE	ES	FR	GB	FI	IT	NL	PO	AV	BE	SW	GR	CY	IS	IR	DK	CH	TR
21	14	15	15	23	13	14	9	12	20	22	8	5	14	11	10	17	22


გრაფიკი 1.




ცხრილი 3. ფუნქციების რაოდენობა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში

პოლონეთი	ჩეხეთი	რუმინეთი	ბულგარეთი	უნგრეთი	სლოვაკეთი	სერბეთი	ალბანეთი	ბოსნია-ჰერცეგოვინა	მაკედონია	სლოვენია	ხორვატია	ესტონეთი	ლიტვა	ლატვია	უკრაინა
PL	CZ	RO	BU	HU	SL	SR	AL	BH	MY	SO	CR	ET	LT	LA	UA
13	13	19	17	15	16	8	21	18	15	13	15	24	17	20	20


გრაფიკი 2



გრაფიკი 3. დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან მიმართებაში




გრაფიკი 4. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან მიმართებაში



ეს ასიმეტრია თვითმმართველობის კოდექსში რაოდენობრივად დაძლეულია და დაყვანილია 21 ფუნქციამდე. თუ როგორია ამ ფუნქციების თავსებადობა ევროპულთან ამისათვის, 34 საკვლევ ქვეყანაში გამოკვეთილ 20 ყველაზე უფრო განმეორებადი უფლებამოსილება და შედეგად გამოიკვეთა შემდეგი სურათი:

გრაფიკი 5. 20 ყველაზე უფრო განმეორებადი უფლებამოსილება 34 საკვლევ ქვეყანაში




უფლებამოსილებათა ეს ოცეული ქმნის პრაქტიკასა და გამოცდილებაზე დაფუძნებულ გარკვეულ კანონზომიერ ჩარჩოს, რომლიც შეიძლება გათვალისწინებულ იქნას საქართველოში თვითმმართველობის უფლებამოსილებების საკითხის შემდგომი სრულყოფის დროს. მნიშვნელოვანი ნაწილი ამ უფლებამოსილებების დღესაც წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზივს, თუმცა აუცილებელი იქნება მათი ფორმულირების დახვეწა, ხელახალი გააზრება და, საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინებით, დამატებითი უფლებამოსილებებით შევსება.

ქვემოთ მოცემული იქნება ყველა სარეკომენდაციო უფლებამოსილება და მათი რეკომენდირების მოკლე რაციონალი.

გამოკვლეულ იქნა ამ 20 უფლებამოსილების განმეორებადობა დასავლეთ და აღმოსავლეთ ქვეყნების თვითმმართველობებში.


გრაფიკი 6. საერთო ოცეული დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში



მოცემულ გრაფიკში ლურჯი სვეტი წარმოადგენს საკვლევ 34 ქვეყანაში გამოვლენილ 20 უფლებამოსილებას, ზორდოსფერი სვეტი - ამ უფლებამოსილებების განმეორებადობას დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ხოლო მწვანე სვეტი - აღმოსავლეთ ქვეყნებში მათ განმეორებადობას. თვალსაჩინოებისთვის, ადგილობრივი გზების დაგეგმვა, განვითარება, მშენებლობა და მოვლა--პატრონობა წარმოადგენს 34-დან 24 ქვეყანაში ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებას, რაც შეადგენს 71%-ს. ამასთან, იგივე უფლებამოსილება ფიქსირდება 18-დან 11 დასავლეთ ევროპის ქვეყანაში, რაც შეადგენს 61%-ს, ხოლო 16-დან 11 აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანაში, შესაბამისად - 69%-ში.

შემდეგი გრაფიკის დანიშნულებაა წარმოგვიდგინოს დასავლეთ ევროპული ქვეყნების 20 ყველაზე უფრო განმეორებადი უფლებამოსილებები და მოხდეს მათ შედარება საერთო და აღმოსავლეთ ევროპის იგივე უფლებამოსილებებთან.


გრაფიკი 7. დასავლეთ ევროპაში უფლებამოსილებათა ოცეული



აღსანიშნავია, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში უფლებამოსილებების მიხედვით დახარისხებისას პირველ ოცეულში მოხდა მხოლოდ პრიორიტეტების ოდნავ ცვლილება, როგორცაა, წყალმომარაგების, წყალსარინების, სპორტის წინ გადაადგილება, ხოლო სკოლამდელი განათლების, ბინათმშენებლობის, სხვა განათლების და სხვათა უკან გადაადგილება. პირველ ოცეულში მოხდა ელ-მომარაგება და გაქრა ტურიზმის ხელშეწყობის უფლებამოსილება.

საინტერესო დასკვნების საშუალებას იძლევა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში თვითმმართველობათა უფლებამოსილებების პირველი ოცეულის გამოვლენა და მასზე დაკვირვება. ოცეულში აღმოჩნდა გათბობა და ინფრასტრუქტურა, ხოლო გარკვეული უფლებამოსილებების განმეორებადობის მაჩვენებელმა გარკვეული კორექტივები შეიტანა უფლებამოსილებების რიგითობაში. თვალსაჩინოებისათვის, სკოლამდელი და სხვა განათლება 88% ქვეყნებში მეორდება და შესაბამისად 2-3 ადგილებს იკავებს. წინ გადმოიწია ბინათმშენებლობამ და ტურიზმმა.

გრაფიკი 8. აღმოსავლეთ ევროპაში უფლებამოსილებათა ოცეული



სარეკომენდაციო საკუთარი უფლებამოსილებები

კვლევის მიზნად დასახულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმისთვის მომზადებულიყო სარეკომენდაციო ხასიათის უფლებამოსილებათა ნუსხა, რომელიც მხედველობაში მიიღებდა ევროსაბჭოს საინფორმაციო და სარეკომენდაციო რეგულაციას, საქართველოში დღეს მოქმედ საკანონმდებლო ბაზას, სხვადასხვა ფორმატში განხილულ ხედვებს, საქართველოს საბიუჯეტო კანონს, ზემოაღნიშნულ დასკვნებს და ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში დაგროვილ გამოცდილებას.

ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება, მათი განაკვეთების დადგენა კანონით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობების ფარგლებში; ადგილობრივი მოსაკრებლის ამოღება - „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ქართვის მე-9 მუხლის მოთხოვნა.

მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობა და დასახლებათა ქალაქმშენებლობითი დაგეგმვა - „სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით. თვითონ კანონი საჭიროებს ტერმინოლოგიურ გამართვას და ადგილობრივი თვითმმართველობის საკანონმდებლო ბაზასთან შესაბამისობაში მოყვანას. უფლებამოსილების აღსანიშნავად გამოყენებულია ტერმინი „მუნიციპალიტეტის“, რომელიც დღევანდელი მიდგომის შესაბამისად გულისხმობს ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს და მოიცავს როგორც თვითმმართველ ქალაქს, ასევე თვითმმართველ თემს (დღეს მუნიციპალიტეტს - დასახლებათა ერთობლიობას).

სკოლამდელი და სკოლისგარეშე განათლება - საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 35 პუნქტი 3, „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის მუხლი 30. აღსანიშნავია, რომ სკოლამდელი განათლებას, როგორც ზოგადი განათლების ნაწილს, კონსტიტუციის მიხედვით სახელმწიფო ანაზღაურებს სრულად. ასევე, საინტერესოა ევროპული ქვეყნების გამოცდილება, სადაც სკოლამდელი განათლება თითქმის ყველა შემთხვევაში ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციებშია.

მნიშვნელოვანია აღნიშნოს დაწყებითი, საბაზო და საშუალო განათლების უზრუნველყოფა დღეს სახელმწიფოს უფლებამოსილებაა, თუმცა „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონი ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის გარკვეულ მონაწილეობას სასკოლო პროცესში. აღნიშნული ნორმები კანონში გადასახედია და შესაბამისობაშია მოსაყვანი ადგილობრივი თვითმმართველობის საკანონმდებლო ბაზასთან და მის სულისკვეთებასთან. რადგან ზოგადი განათლება არ არის მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილება, უნდა განვიხილოთ ეს ნორმები, როგორც ამ უფლებამოსილების გარკვეული ნაწილის მადელეგირებლად, რაც აუცილებელი წესით

საჭიროებს დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ამასთან, დაუშვებელია ნორმა უდგენდეს მუნიციპალიტეტს საკუთარი შემოსავლების მიმართვის ვალდებულებას ამ ფუნქციის შესასრულებლად.

ასევე, გასათვალისწინებელია ევროპული ქვეყნების გამოცდილება და ევროსაბჭოს შესაბამისი კვლევები, რაც ადასტურებს, რომ მოხდა ზოგადი განათლების ეტაპობრივი ცენტრალიზება და ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებებში დარჩა მხოლოდ სკოლამდელი განათლება და ზოგიერთ გამონაკლის შემთხვევაში, სკოლის შენობის მოვლა-პატრონობა, სასკოლო ავტობუსები.

საქართველოს რეალობის გათვალისწინებით შესაძლებელია განხილულ იქნეს უფლებამოსილები გარკვეული ნაწილის დელეგირების შესაძლებლობა, თუმცა ზოგადი განათლების სრული „პაკეტი“ საკუთარ უფლებამოსილებებში გადატანა მიზანშეწონილი შეიძლება იყოს განათლების ერთიანი პროგრამის, ხარისხის, მართვის ეფექტიანობის და სასკოლო პროცესის კოორდინირებულად წარმართვის შესაძლო შეზღუდვის საფრთხის გამო. ასეთმა გადაწყვეტილებამ შეიძლება გამოიწვიოს ზოგადი განათლების სისტემის არსობრივი გადახედვა, რაც შეიძლება გამოიხატოს განათლების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტების ინტერესთა შეუთავსებლობაში, სამართლებრივ ხარვეზებში უფლებამოსილების სისრულის და ექსკლუზიურობის მხრივ. თავის მხრივ განათლების რეფორმის ჭრილში წახალისებული იყო სკოლების ავტონომიურობის ხარისხის გაზრდა, თვითმართვის ხელშეწყობა, სამეურვეო საბჭოს მიერ მართვის ხელშეწყობა, რესურს-ცენტრების დამხმარე და მაკოორდინირებელი ფუნქციები. ასეთი გადაწყვეტილება საჭიროებს მთლიანად განათლების სისტემის გააზრებას.

დამატებით აღსანიშნავია, რომ თავისი არსით ზოგადი განათლების მიწოდება არ შეიძლება განხილულ იქნეს ადგილობრივი მნიშვნელობის საზოგადოებრივ საკითხად და მის მიწოდებისას ადგილობრივი ინტერესები ნაკლებად მნიშვნელოვანია, გარდა ზოგიერთი სამეურნეო ხასიათის საკითხისა, რაც შესაძლებელია მთლიან მუნიციპალური კონტექსტში ისედაც წყდებოდეს (წყალმომარაგება, წყალსარინება, გაზიფიკაცია, ელ-მომარაგება, ნარჩენების გატანა და სხვა). ცენტრალური გათბობა საქართველოში ადარ წარმოადგენს მუნიციპალურ მომსახურებას და შესაბამისად, ის ინდივიდუალურად წყდება თითოეული სკოლის საჭიროება/შესაძლებლობის მიხედვით. სასკოლო ავტობუსების ნაწილში შეიძლება მუნიციპალიტეტის როლი გამოიკვეთოს, თუმცა ეს შეიძლება დამატებით განხილვის საგანი იყოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მათ ხედვების გათვალისწინების მიზნით.

ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო სატრანსპორტო კომუნიკაციის უზრუნველყოფა, მათ შორის საგზაო მოძრაობის ორგანიზება—უფლებამოსილებების განსაზღვრისას მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული უფლებამოსილების გამიჯვნა ამ უფლებამოსილების განხორციელების/აღსრულების ფუნქციისაგან/ინსტრუმენტისაგან. ამის გათვალისწინებით, ადგილობრივი მნიშვნელობის გზა არ შეიძლება იყოს უფლებამოსილება. უფლებამოსილება საავტომობილო სატრანსპორტო კომუნიკაციის/ინფრასტრუქტურის შექმნა/განვითარება. გზის მოვლა, შენახვა, დაგება და პატრონობა არის უფლებამოსილების განხორციელების ნაწილი/ინსტრუმენტი.

ამასთან, საკითხის ასე გადაწყვეტა გაამარტივებს საავტომობილო ტრანსპორტში ტრამვაის (სვლაგეზის) და ნებისმიერი სახეობის მრავიანი და მექანიკური ავტოტრანსპორტისთვის ინფრასტრუქტურის შექმნის მოაზრებასაც (იხ. „საავტომობილო ტრანსპორტის“ და „საავტომობილო გზების“ შესახებ კანონები). მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ამავე უფლებამოსილების ქვეშ მოქცეულიყო საგზაო მოძრაობის ორგანიზება, როგორც ამ კომუნიკაციის ამოქმედების/ოპერირების აუცილებელი პირობა („საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ კანონი). თანაც, კანონმდებლობის შესაბამისად მიზანშეწონილია იყოს საგზაო მოძრაობის ორგანიზება და არა რეგულირება, რაც ვიწრო გაგებით უფლებამოსილ პირის (პოლიციელი გზაჯვარედინზე) ან მექანიკურ მოწყობილობის (შუქნიმანს, საგზაო ნიშანს, სხვა) კონკრეტულ დროში და ადგილას მოქმედებას (მოძრაობის რეგულირებას) შეიძლება გულისხმობდეს.

როგორც უკვე აღინიშნა ზემოთ, მოქმედი კანონმდებლობა დამატებით უფლებამოსილებად განსაზღვრავს პარკირების ადგილის განსაზღვრას და პარკირების წესის დადგენას, რაც თავისი არსით „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ კანონით რეგულირდება და სხვა არაფერია თუ არა ავტოსატრანსპორტო საშუალების დგომის ადგილის და წესების განსაზღვრა ამავე კანონს მიხედვით. თანაც ტერმინი „პარკირება“-ს საქართველოს კანონმდებლობაში აქვს შესატყვისი „დგომა“.

საზოგადოებრივი ტრანსპორტის ორგანიზება და კანონით დადგენილი ნებართვების გაცემა - მოქმედ ორგანულ კანონში გამოყენებული „ავტოსატრანსპორტო გადაყვანის რეგულირება“ და იმავე პუნქტში „მოსახლეობის სამგზავრო ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება“ სიტყვათა წყობა შინაარსობრივად არ წარმოადგენს ორ სხვადასხვა საკითხს, არამედ მეორე პირველის შემადგენელი ნაწილია „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ კანონის მიხედვით, თან პირველი მოიცავს ტვირთის გადაზიდვასაც. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული კანონი უშვებს მხოლოდ „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის“ მართვას, თანაც მხოლოდ თვითმმართველ ქალაქებში და რუსთავი-თბილისის მარშრუტზე, რაც ცალსახად დისკრიმინაციულ პირობებში აყენებს სხვა მუნიციპალიტეტებს, სადაც კანონი არ იძლევა მუნიციპალიტეტის დასახლებებს შორის სამგზავრო გადაყვანის რეგულირების საშუალებას. თუ ლიბერალური მსოფლმხედველობის გამო უარი ითქვა სხვადასხვა მუნიციპალიტეტის დასახლებებს შორის სამგზავრო გადაყვანის რეგულირებაზე, მაშინ გაუგებარია რატომ უშვებს კანონი გამონაკლისს რუსთავი-თბილისის მონაკვეთისთვის და თვითმმართველი ქალაქების მსგავსად რატომ არ ეძლევათ საშუალება მუნიციპალიტეტებს საკუთარ ტერიტორიაზე არსებულ დასახლებებს შორის სამგზავრო გადაყვანის რეგულირების საშუალება.

ამავე უფლებამოსილების ქვეშ შეიძლება იქნეს განხილული მეტროპოლიტენის, საბაგრო ტრანსპორტის თუ სხვა ნებისმიერი სახეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტის დაწესებულება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

ევროპული გამოცდილების მიხედვით, ადგილობრივ თვითმმართველობებს უნდა ჰქონდეთ საზოგადოებრივი/ მუნიციპალური ტრანსპორტის ორგანიზების უფლება, თუ ამის საშუალებას აძლევს მას ადგილობრივი ბიუჯეტი. თუ თბილისს, ბათუმს, ქუთაისს, რუსთავს ან ფოთს შეიძლება ჰქონდეს სამართლებრივი შესაძლებლობა შექმნან საზოგადოებრივი/მუნიციპალური ტრანსპორტი, რატომ უნდა შეეზღუდოს იგივე ვთქვათ, გორს ან ზუგდიდს, ან ჭიათურა-საჩხერეს, ან სხვა დასახლებულ პუნქტებს, სადაც დანერგული იყო წლების წინ ტროლეიბუსებით სამგზავრო გადაყვანა? რატომ უნდა ჰქონდეს, მაგალითისთვის, ზუგდიდს შეზღუდული უფლება გაიყვანოს ეკოლოგიურად სუფთა ტროლეიბუსი ან ტრამვაი ანაკლიამდე, რომლის განვითარებაც მნიშვნელოვანი გამოწვევაა მუნიციპალიტეტისთვის?

კიდევ ერთხელ საჭიროებს გაანალიზებს აღნიშნული სფერო სწორი ბალანსის საპოვნელად ერთის მხრივ, მანკიერი ნებართვების პრაქტიკის არ დაბრუნების და მეორეს მხრივ, მუნიციპალური მომსახურების განვითარების შესაძლებლობის შეზღუდვას შორის.

შესაბამისი ცვლილებები უნდა შევიდეს „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ კანონში.

დასაქმების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამების განხორციელება - საქართველოს კანონმდებლობით დასაქმების ხელშეწყობისთვის შექმნილია სოციალური სუბსიდიების სააგენტო შესაბამისი უფლებამოსილებით. სხვა უწყება ცალკე აღებული დასაქმებაზე არ ზრუნავს, გარდა იმისა, რომ სახელმწიფო, როგორც ეს საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებულ სახელმწიფოს სჩვევია, ზრუნავს სამეწარმეო საქმიანობისთვის სასურველი გარემოს შექმნაზე და ინვესტიციების მოზიდვის სხვადასხვა გზებზე. ხდება დასაქმების ირიბი ხელშეწყობა. აღნიშნული ნორმის მოქმედ კანონმდებლობაში ჩადების მიზანი, 2010 წლის ცვლილებებით, იყო მუნიციპალიტეტების მიერ მარტივი და ხელმისაწვდომი პროგრამების (ინგლისური ენის კურსები, კომპიუტერის საფუძვლები, პროექტების წერის კურსები, მართვის და ბუღალტერიის კურსები, საკონსულტაციო და საინფორმაციო ცენტრების შექმნა, ბიზნეს ინკუბატორების დანერგვა და სხვა) შემუშავება, რომლითაც ისინი ხელს შეუწყობდნენ უმუშევარი მოქალაქეების გარკვეული უნარ-ჩვევებით აღჭურვას მათი დასაქმების შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად. ამ უფლებამოსილების ნაწილში შეიძლება განხილულ იქნეს განათლების სისტემაში მიმდინარე ინიციატივების თანხვედრის საკითხიც, რომელიც ეხება, პროფესიულ გადამზადებას, ზრდასრულთა განათლებას და სხვა. შინაარსის გათვალისწინებით აღნიშნული შესაძლებლობის ქონა დამატებით ღირებულებას შეიძლება ქმნიდეს მუნიციპალიტეტებში.

სახანძრო უსაფრთხოების და სამაშველო ღონისძიებების ორგანიზება - თავისი არსით და საქართველოს კანონმდებლობით მეხანძრე ამავდროულად არის მამშველიც. „ყველა კატასტროფა არის ადგილობრივი“ პრინციპით უმთავრესი პასუხისმგებელი ხელისუფალი უნდა იყოს პირველი დონის ხელისუფალი. კატასტროფის მასშტაბიდან გამომდინარე კატასტროფაზე რეაგირების მართვა/ერთიანი კოორდინაცია შეიძლება გადავიდეს რეგიონულ ან ცენტრალურ დონეზე, რაც გათვალისწინებულია „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ კანონით და შესაბამისი ეროვნული სამოქმედო გეგმით. თავისი არსით ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების პრევენცია და მათზე რეაგირება უპირატესად ადგილობრივი მნიშვნელობისაა და ამიტომაც, მიზანშეწონილია ეს უფლებამოსილება იყოს პირველი დონის ადგილობრივ ხელისუფლების საკუთარ უფლებამოსილებებს შორის.

გარემოს დაცვის მუნიციპალური პროგრამების განხორციელება - თავის არსით და კანონმდებლობით გარემოს დაცვა ვერ იქნება მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილება და შესაბამისად ვერ იქნება სრული და ექსკლუზიური. თუმცა „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონით დადგენილი უფლებამოსილებათა გამიჯვნის კრიტერიუმების (დაფინანსების წყარო, ბუნებრივი რესურსის მნიშვნელობა, მავნე ზემოქმედების მასშტაბი, დაქვემდებარების დონე) გათვალისწინებით რჩება საკითხთა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც აუცილებლად უნდა წყდებოდეს ადგილობრივი მნიშვნელობისა და სპეციფიკის მიხედვით.

თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობის და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა - განვითარება - ამ უფლებამოსილების განხორციელებისთვის მუნიციპალიტეტს შეუძლია დააფუძნოს მუზეუმი, სახლ-მუზეუმი, ძეგლი, ობელისკი, მემორიალური დაფა, თეატრი, შემოქმედებითი გაერთიანება, კულტურის სახლი, გამოფენა, სხვა, რომელთა მიზანიც იქნება ადგილობრივი თვითმყოფადობის, ადგილობრივი კულტურის, ადათ-წესების, ადგილობრივი ღირსეანისშნაობის შენარჩუნება და მათი პოპულარიზაცია. სწორედ ეს მიზანი გამოხატავს უფლებამოსილების არსს და არა მექანიკური გადაცემა და/ან ფლობა მუზეუმის ან თეატრის ან კლუბის თუ სხვა. „თეატრის“, „მუზეუმის“ და კულტურული მემკვიდრეობის“ კანონები ამ მხრივ საჭიროებენ განახლებას და შესაბამისობაში მოყვანას.

მუნიციპალური სოციალური პროგრამების განხორციელება - ეს უფლებამოსილება თავისი არსით ვერ იქნება ექსკლუზიური და სრული, რადგან სახელმწიფოს როლი განუზომელია სოციალური დაცვის სფეროში. თუმცა ადგილობრივი ხელისუფლებისთვის სამოქმედო ნიშა ნამდვილად არის. თვალსაჩინოებისთვის შეიძლება მოყვანილ იქნეს მიმდევრი მაგალითები: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის გადაადგილების გაუმჯობესების მიზნით ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი დაწესებულებების შენობებზე პანდუსების მოწყობის წესის დადგენა, მათთვის სპორტის შესაფერისი სახეობათა დანერგვა, მოხუცებულთა მზრუნველობის სახლები, ობოლ და მიუსაფარ ბავშვთა სოციალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები და სხვა. მუნიციპალიტეტს უნდა შეეძლოს განახორციელოს ნებისმიერი დამატებითი სოციალური პროგრამა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის, რომელიც უკვე არ ხორციელდება ცენტრალური ხელისუფლების მიერ, გარდა თანამონაწილეობის აუცილებლობის წინასწარ განსაზღვრული შემთხვევებისა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემა და სამშენებლო ზედამხედველობის გან-

ხორციელება - საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილება. მშენებლობის ნებართვის გაცემის საკუთარი უფლებამოსილება აქვს თვითმმართველობას მხოლოდ საბერძნეთსა და სლოვენიაში. მშენებლობაზე ზედამხედველობა კი - არცერთ საკვლევ ევროპულ ქვეყანაში. მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის დოკუმენტების დამტკიცების და ამ უფლებამოსილების არა ადგილობრივი შინაარსის გათვალისწინებით, შეიძლება უფრო მიზანშეწონილი იყო მისი სპეციალიზებული სამსახურის მიერ განხორციელების შესაძლებლობა. მეორეს მხრივ ხარჯ-ეფექტიანობის გათვალისწინებისას, მუნიციპალიტეტი თავისი სამსახურებით უფრო ეფექტურად შეძლებს უნებართვო მშენებლობების გამოვლენას.

ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების, მათ შორის წიაღის, ტყის და წყლის, მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა - „წიაღის“, „ტყის“, „წყლის“ შესახებ კანონმდებლობა მიჯნავს ამ რესურსებს ადგილობრივი და სახელმწიფო მნიშვნელობის მიხედვით. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებაა უზრუნველყოს „**მდგრადი გამოყენება**“, რაც კავშირშია გარემოს დაცვის უფლებამოსილებასთან, ზოგადად, ჯანსაღ საცხოვრებელ გარემოსთან და რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და შეძლებისდაგვარად, განახლებასთან. დღეს მოქმედი რედაქციით „ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის და წყლის მართვა“ უფლებამოსილება, და გამოტოვებულია ადგილობრივი მნიშვნელობის წიაღი, რაც დამატებითი შემოსავლის, განვითარების და კეთილდღეობის შემქმნელი შეიძლება გახდეს მუნიციპალიტეტისთვის.

აღსანიშნავია, რომ არცერთ საკვლევ ქვეყანაში მსგავსი უფლებამოსილება არ გააჩნია ადგილობრივ თვითმმართველობას გარდა, ტყის მართვისა რუმინეთსა და ლატვიაში და წყლის მართვის ლატვიაში.

ამ უფლებამოსილების ქვეშ შესაძლებელია ნადირობის და თევზაობის ნებართვების/ლიცენზიების გაცემის საკითხიც იქნეს განხილული.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების, დეპონირებისა და გადამუშავების ორგანიზება

წყალსარინების უზრუნველყოფა - წყალსარინება წესით მოიცავს სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემების მოქმედებას. შესაბამისად შემოთავაზებულია წყალსარინების უზრუნველყოფა, როგორც უფლებამოსილება. საინტერესოა, რომ ეს უფლებამოსილება მეორდება საკვლევ ქვეყნების 59%-ში. ამასთან, მნიშვნელოვანია წყალმომარაგების საკითხის გადაწყვეტა. დღევანდელი მმართველობის სისტემაში თბილისის გარდა სხვა ყველა მუნიციპალიტეტში წყალმომარაგებაზე პასუხისმგებელია გაერთიანებული წყლის კომპანია, რომელიც შედის რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სისტემაში. დაგეგმილი სარეაბილიტაციო და განვითარების პროექტების გათვალისწინებით მიზანშეწონილია გარკვეულ ეტაპზე შენარჩუნდეს წყალმომარაგების არსებული სქემა, თუმცა საკუთრივ ეს უფლებამოსილება თავისი არსით ადგილობრივი მნიშვნელობისაა და მისი მიწოდების ორგანიზება სრულად და ექსკლუზიურად უნდა წარმოადგენდეს მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას. იგივე პრაქტიკაა საკვლევ ქვეყნების 71%-ში.

მასობრივი სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღის წესის დამკვიდრება - „სპორტის“, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის“ და „ჯანმრთელობის“ შესახებ კანონების მიხედვით ამ უფლებამოსილების განხორციელების მიზანია მოსახლეობის ჯანმრთელობის დონის ამაღლება და სხვადასხვა სახის დაავადებების პრევენცია ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის გზით. ამავე, უფლებამოსილების ქვეშ იგულისხმება სარეკრეაციო ზონების (პარკების, ბაღების), მოედნებისა და ტერიტორიების შექმნა, სავარჯიშო და გასართობი მოწყობილობების, დანადგარებისა და ნაგებობების შექმნა, სხვა.

ჯანდაცვის კუთხით დამატებით ანალიზს საჭიროებს მუნიციპალიტეტისთვის საკუთარ უფლებამოსილებაში ჯანდაცვის რომელიმე მიმართულების გადაცემის მიზანშეწონილობის საკითხი, მათ შორის პირველადი ჯანდაცვის ან საოჯახო მედიცინის ორგანიზება, რაც უშუალოდ და საკმარისად ინტეგრირებულ კომპონენტს შეადგენს ჯანდაცვის დღევანდელ სისტემაში. ასევე, სასწრაფო სამედიცინო დახმარების და ტრანსპორტირების ორგანიზების უფლებამოსილების მუნიციპალიტეტისთვის გადაცემის მიზანშეწონილობა, რომელიც შეიძლება, სხვათა შორის, იყოს მუნიციპალურ სახანძრო-სამაშველო ძალებთან ერთად კატასტროფებზე რეაგირების და შედეგების ლიკვიდაციის მონაწილე და უკეთესად მართული ადგილობრივ დონეზე.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის და გამწვანების ორგანიზება - კეთილმოწყობა თავისი შინაარსით მოიცავს, როგორც, გარე განათებას, ასევე, სკვერების, მოედნების (საავტომობილო გზების გარდა), პავილიონების და სხვა ხელოვნურ ობიექტებს. უკიდურეს შემთხვევაში, არასწორი ინტერპრეტაციების თავიდან ასარიდებლად, შესაძლებელია ტერმინთა განმარტებაში ამ საკითხის აღნიშვნა. რაც შეეხება ქუჩებს (საავტომობილო გზების გარდა), ისინი საზოგადოებრივ სივრცეში ასევე, შეიძლება განხილულ იყვნენ კეთილმოწყობის ნაწილად. ამავე უფლებამოსილების ქვეშ შეიძლება განხილულ იქნეს მუნიციპალური (გარდა კერძო) სასაფლაოს მოვლა-პატრონობა.

მუნიციპალიტეტის განვითარება და საზოგადოებრივი განათლების ორგანიზება - ეს უფლებამოსილება მოიცავს მუნიციპალიტეტის მიერ ნებისმიერი ფუნქციის/ინსტრუმენტის გამოყენებას მუნიციპალური ინფრასტრუქტურის, საცხოვრებელი, სამუშაო და სამეწარმეო გარემოს, და მუნიციპალიტეტის საცხოვრებლად და საქმიანობისთვის მიმზიდველობის გასაუმჯობესებლად. ამის მისაღწევად მუნიციპალიტეტს შეუძლია დამატაციოს სოციალ-ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული, სტრატეგიული განვითარების და სხვა სახის გეგმები და პროგრამები, როგორც დასახული მიზნის მისაღწევი დონისძიებებისა და ზომების მაკორდინირებელი და თანმიმდევრობის უზრუნველყოფი დოკუმენტები ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოქალაქეთათვის, ადგილობრივ ხელისუფლებასა და კერძო სექტორს შორის და სხვა.

ამ უფლებამოსილების ქვეშ შეიძლება იქნეს განხილული მუნიციპალიტეტში საინფორმაციო-საკომუნიკაციო

ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-ტექნოლოგიური მზაობის გაუმჯობესება, რაც სხვა ინფრასტრუქტურულ და კომუნალურ მომსახურებებთან ერთად, თავის მხრივ, აუმჯობესებს მუნიციპალიტეტის სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს. საზოგადოებრივი განათლების ორგანიზება გულისხმობს ბიბლიოთეკების, ინტერნეტ კავების და ელ-ბიბლიოთეკების შექმნას, საზოგადოებრივ ადგილებში ინტერნეტზე წვდომის, საზოგადოებრივი ინფორმირების და საჭირობორტო საკითხებზე ცნობადობის ამაღლების მიზნით თანამედროვე სოციალური, უფასო თუ ფასიანი რესურსების პოპულარიზაციას და წვდომის უზრუნველყოფას, საზოგადოებრივი დისკუსიების და ფორუმების შექმნის ხელშეწყობას, სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლებას და სხვა. მუნიციპალიტეტის განვითარება შეიძლება მოიცავდეს ინოვაციების დანერგვის წახალისებას, ტრადიციული რეწვის და მუნიციპალური ადგილწარმოშობის ბრენდირებას, სხვა. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ფაქტი, რომ მუნიციპალიტეტს შეუძლია განახორციელოს არამარტო კანონით დადგენილი უფლებამოსილებები, არამედ ნებისმიერ რამ, რაც არა არის სხვა ხელისუფლების უფლებამოსილება ან არა არის აკრძალული თვითმმართველობისთვის განსახორციელებლად.

მუნიციპალიტეტის მართვა, მათ შორის ელექტრონული მმართველობის დასამოქალაქო მონაწილეობითი სისტემების დანერგვა - ამ უფლებამოსილების ქვეშ მიზანშეწონილია იგულისხმებოდეს მუნიციპალური უძრავ-მომრავი ქონების (მათ შორის მიწის) მართვა, შესაბამისი წესების დადგენა, გადაწყვეტილებების მიღება, მართვაში მაღალი ტექნოლოგიების დანერგვა, მოქალაქეთა მონაწილეობის სხვადასხვა ელ-ინსტრუმენტების დანერგვა, ყველა ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მიღება და საკუთარი თუ დელეგირებული უფლებამოსილების ვარგლებში ურთიერთობების რეგულირება. მართვის ნაწილად შეიძლება განხილულ იქნეს მუნიციპალური არქივის შექმნა და შესაბამისი წესების და ტარიფების დადგენა. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ფაქტი, რომ მუნიციპალიტეტს შეუძლია განახორციელოს არამარტო კანონით დადგენილი უფლებამოსილებები, არამედ ნებისმიერ რამ, რაც არა არის სხვა ხელისუფლების უფლებამოსილება ან არა არის აკრძალული თვითმმართველობისთვის განსახორციელებლად.

გარე რეკლამის განთავსების, გარე ვაჭრობის, ბაზრების, ბაზრობების და გამოფენების რეგულირება - შეკრებების, მიტინგებისა და დემონსტრაციების ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება - „შეკრებების და მიტინგების შესახებ“ კანონის მიხედვით.

ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი და ხელოვნური გეოგრაფიული ობიექტების სახელდება და ნუმერაცია - გეოგრაფიული ობიექტების შესახებ“ კანონის შესაბამისად. ამ ჩანაწერით ფართოვდება და იხვეწება მუნიციპალიტეტის უფლებამოსილება გეოგრაფიული ობიექტების სახელდებასა და ნუმერაციასთან დაკავშირებით. ერთის მხრივ, ამით შესაბამისობაში მოდის მუნიციპალური უფლებამოსილება რეალურ საჭიროებასთან და მეორეს მხრივ, ზუსტდება მუნიციპალიტეტის როლი ამ საკითხში. კანონის ცალკე პუნქტად შეიძლება განისაზღვროს მუნიციპალიტეტის უფლება ზემოაღნიშნული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით: ა) კანონით გათვალისწინებული ფორმით საჯარო (?) და კერძო სამართლის იურიდიული პირების შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის და ბ) ადგილობრივი შესყიდვების განხორციელების უფლებები. ორივე უფლება ინსტრუმენტია უფლებამოსილების განსახორციელებლად და მიზანშეწონილია მოაზრებულ იქნეს „მუნიციპალიტეტის მართვის“ უფლებამოსილების ქვეშ.

ზემოაღწერილი სარეკომენდაციო უფლებამოსილებების განხორციელების ინსტრუმენტები/ფუნქციები შესაძლებელია, გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, განმარტებულ იქნენ ტერმინთა განმარტების ნაწილში. უფლებამოსილებების რეკომენდირებული სახით ჩამოყალიბებით მიიღება უფრო გამართული, „ფართო“ და არა „შემზღუდავი“, დისკრეციული და მუნიციპალიტეტებისათვის რეალური უფლებამოსილების გადაცემის განცდა და პოლიტიკური განაცხადი.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი, **დავით ჭიჭინაძე**

СОБСТВЕННЫЕ ПОЛНОМОЧИЯ МЕСТНОГО САМОУПРАВЛЕНИЯ В СТРАНАХ ЕВРОПЕЙСКОГО СОЮЗА: СРАВНИТЕЛЬНЫЙ АНАЛИЗ

Давид Чичинадзе
Докторант Грузинского Университета имени св. Андрея Первозванного

Резюме

В статье дан анализ эксклюзивных функции местного самоуправления в странах Евросоюза и установлен самые распространённые 20 компетенции, показан важность каждой функции и степень необходимости их внедрения в системе самоуправления в Грузии.

კაპიტალიზაციის შესახებ ეკონომიკური შეხედულებების ძირითადი მიმართულებები

კაპიტალიზაციის პროცესის რესურსების ეფექტიან გამოყენების ფუნდამენტური პრობლემაა, რაც თავის მხრივ, მოთხოვნა-მიწოდების საბაზრი მექანიზმზეა დამყარებული. დაგროვების ევოლუციური განვითარება ვლინდება მოგებისა და საბაზრო ღირებულების კაპიტალიზაციაში.

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, თითოეული ფაქტორის და შემოსავლის (მიწის იჯარა, მოგება, დივიდენდები და ა.შ.) კაპიტალიზაცია ხდება. ნებისმიერი შემოსავალი ფასიანი ქაღალდებიდან განიხილება როგორც პროცენტი კაპიტალზე, რომელიც ფაქტობრივად, არ უკავშირდება რეალურ კაპიტალს და უცხოვდება მისგან. ფასიანი ქაღალდები (აქციები, ობლიგაციები, საწარმოთა და სახელმწიფო) ხდება კაპიტალი, რომელსაც მოაქვს პროცენტი. აქციების ფასის ზრდა, განსაკუთრებით აღმავლობის ფაზაში, იწვევს ფიქტიური კაპიტალის დაგროვებას. ასეთი კაპიტალის „გაბერვა“ სერიოზულად ზემოქმედებს დაგროვების პროცესზე და კრიზისებზე, რამდენადაც მთელი ეს ფიქტიური კაპიტალი კაპიტალიზირებულია.

ამ თეორიული პოსტულატების მეთოდოლოგიური საფუძველი უკავშირდება მარქსის სახელს. მარქსმა აღნიშნულ პოსტულატებზე ააგო საკუთარი კაპიტალის, ან ღირებულების შრომითი თეორია, რომელიც დღეს ეკონომიკურ მეცნიერების პერიფერიულ მდგომარეობას იკავებს, თუმცა არც ერთ თეორიას არ ჰქონია ისეთი მასშტაბის გავრცელება და პრაქტიკაზე ზემოქმედება რაც ამ თეორიას (საბჭოთა კავშირი, კომუნისტური და სოციალისტური ქვეყნები ამ თეორიის მიხედვით იყო მოწყობილი. დღეს ის გამოიყენება ჩინეთში, ჩრდილოეთ კორეასა და კუბაზე მოდიფიცირებული სახით). მისი კაპიტალის თეორია კაპიტალიზაციის პროცესს წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების სახით.

კ. მარქსმა მოიწადინა აეხსნა, თუ როგორ წარმოიშობა ზედმეტი ღირებულება. ერთმანეთისგან განასხვავა ფული და კაპიტალი და განსაზღვრა, რომ ფული ხდება კაპიტალი მაშინ, როდესაც გამოყენებულია სხვისი შრომა. ავანსებული ანუ ბრუნვაში გაშვებული ფული მის მფლობელს უბრუნდება განსაზღვრული ნაშატი. ეს ნაშატი ფორმალურად წარმოიშობა საქონლის მიმოქცევიდან, თუმცა მარქსის მტკიცებით, მას ქმნის ისეთი საქონელი, რომელიც მისი მოხმარების დროს ქმნის ღირებულებას და თანაც მეტ ღირებულებას, ვიდრე ის ღირებულებაა, რაც თვითონ მას აქვს. ღირებულების ზრდის წყარო კი სამუშაო ძალაა. სწორედ სამუშაო ძალის მიერ შექმნილი ზედმეტ ღირებულებას დაარქვა კ. მარქსმა კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი,¹ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კაპიტალიზაცია არის კაპიტალიზმის კანონი, ხოლო კაპიტალი კი არის ღირებულება, რომელსაც მოაქვს ზედმეტი ღირებულება. კაპიტალიზაცია, მარქსის

კონცეფციაში, ფიქტიური კაპიტალის ფორმირების პროცესია.

დღეს კ. მარქსის ეს თეორია ისტორიული მნიშვნელობისაა და კაპიტალისტური ექსპლოატატორული ბუნების ნაცვლად დღის წესრიგში დადგა კაპიტალის ეფექტიანი გამოყენების პროცესი, საიდანაც სარგებელი უნდა მიიღოს როგორც კერძო მესაკუთრემ, ასევე მმართველმა ფენებმა და დაქირავებული ადამიანების ინსტიტუტებმაც. ეკონომიკური აზროვნება დაემყარა იმ ის აუცილებლობას, რომ ეკონომიკის გადარჩენისთვის კაპიტალი მუდმივად უნდა იზრდებოდეს და კაპიტალიზაციის პროცესის შეფერხება კი ეკონომიკის განვითარების შეფერხების ტოლფასია. ეს საერთო მიდგომა გახდა დამახასიათებელი ეკონომიკური აზროვნებისათვის და სწორედ ამ პოსტულატზე დაყრდნობით ხდება სხვადასხვა თეორიების განვითარება.

ამასთან, თუ მარქსის თეორიაში ფიქტიური კაპიტალი არის ისეთი შემოსავალი, რომელიც არ უკავშირდება მისი მფლობელის შრომას და არის სხვისი შრომის მითვისების ინსტრუმენტი, დღეს მას განიხილავენ როგორც კორპორაციების ფასიანი ქაღალდების საბაზრო ღირებულებას, რომელიც დაკავშირებულია არა სხვისი შრომის მითვისებასთან. არამედ საწარმოს მატერიალური და არამატერიალური აქტივების შეფასებასთან, საწარმოს მომგებიანობასთან, მისი პროდუქციის მოთხოვნასთან, პერსონალის კვალიფიკაციასთან, ნოუ-ჰაუსთან და სხვ ფაქტორებთან, რომლის რაოდენობრივი შეფასებაც ზუსტად შეუძლებელია. ამიტომ ფიქტიური კაპიტალი განისაზღვრება როგორც ჩვეულებრივი აქციის მათ რაოდენობაზე ნამრავლი და არის მომავალი ფულის დღევანდელი ღირებულება.² ამ მიმართულებით კაპიტალიზაციის თეორიის შემდგომი განვითარება მოხდა კეინსურ და ნეოკეინსურ თეორებში. ამ თეორიებმა კაპიტალიზმის არსი განსაზღვრეს კაპიტალის საბაზრო მოძრაობის სახით, მათ შორის საპროცენტო განაკვეთის მოძრაობით. კეინსის თეორიაში კაპიტალიზაცია არის კაპიტალის დაგროვების პროცესი ფულის მიმოქცევის გზით. ამასთან კაპიტალიზაციის პროცესი კი მეწარმეთა როგორც ეკონომიკური სუბიექტის ფუნქციაა, რომელიც ქმნის მოთხოვნას ფულზე, მათ შორის სპეკულიატორულს და ორიენტირებულია შემოსავლების დაგროვებაზე კაპიტალის დაგროვების ხარჯზე.

ჯ. მ. კეინსის თეორიას ემყარება კაპიტალის დაგროვების მაკროეკონომიკური მოდელი, სადაც ასახულია დანაზოგებისა და ინვესტიციების ფუნქციონალური ურთიერთდამოკიდებულება. ამ დამოკიდებულების მიხედვით, ინვესტიციების და დანაზოგების განმსაზღვრელია სარგებლის განაკვეთის ცვლილებები,

2 Jonathan Nitzan, Shimshon Bichler, (2009). Capital as Power. A Study of Order and Creorder. RIPE Series in Global Political Economy. New York and London: Routledge. p.168.

http://bnarchives.yorku.ca/259/02/20090522_nb_casp_full_indexed.pdf

1 კ. მარქსი, კაპიტალი, ტ.1, თბ., 1954. გვ. 780.

ხოლო თავდაპირველად ინვესტირებული ფულადი კაპიტალი და მისი მასშტაბები კი ახდენს მულტიპლიკატორულ ეფექტს შემოსავლებსა და მოხმარებაზე, რაც თავის მხრივ აისახებ დასაქმებასა და წარმოებაზე.¹ ჯ. კეინსი, მათი ზემოქმედების ბუნებაში ცდილობს გაარკვიოს კრიზისების წარმოშობა და ამტკიცებს, რომ კაპიტალის ზღვრული ეფექტიანობის დაცემაში უნდა ვეძებოთ კრიზისების ტიპური ახსნა.²

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან საბაზრო ინფორმაციების მნიშვნელობა სულ უფრო იზრდება მომხმარებლების რაციონალური ქცევებისთვის და მეწარმეთა გადაწყვეტილებების მიღებაში. ყალიბდება ბაზრების ინფორმაციული მომსახურება და მომსახურების ამ სფეროში სულ უფრო იზრდება შემოსავლები. ამ სფეროს სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ ყალიბდება სრულიად ახალი ინტელექტუალური საკუთრება და ამ მომსახურების ფასწარმოქმნა. ინფორმაციის ბაზარი გახდა დომინირებული, რომელმაც დაიწყო სხვა საქონლისა და მომსახურების ფასების განსაზღვრაც. მეწარმეები სულ უფრო მეტ თანხას ხარჯავდნენ წარმოების ინფორმაციული უზრუნველყოფისათვის. 50-იან წლებში ყალიბდება „ადამიანისეული კაპიტალის თეორია“. ადამიანის რაციონალური ქცევების უზრუნველსაყოფად აუცილებელი იყო სხვადასხვა ალტერნატივების ცოდნაც, რომელიც საბაზრო გაუსაზღვრელობის პირობებში სულ უფრო და უფრო რთული ხდებოდა. რაციონალური ქცევა დაემყარა იმას, თუ ვის რამდენად მიუწვდებოდა ხელი ინფორმაციებისადმი. ამ სფეროში ფსიქოლოგიაც შეიჭრა და ეკონომიკური ადამიანის რაციონალური გადაწყვეტილებები უკვე მრავალი არაეკონომიკური ფასეულობითაც იქნა გასაზღვრული, რის შდეგადაც ადამიანის ქცევები სუბიექტურ წარმოდგენებსაც დაემყარა.³ ამ პირობებში ფიქტიური კაპიტალის ღირებულება დამოკიდებული გახდა არა მხოლოდ საწარმოთა შესაძლებლობების შეფასებაზე, არამედ იმ მოლოდინსა და წარმოდგენილ ღირებულებაზე, რომლის მიღებაც ფასიანი ქაღალდების მფლობელები ვარაუდობდნენ. მათი ინფორმაციულობა ემყარებოდა სხვა ადამიანების ქცევებს.

50-იან წლებში ამერიკელი მეცნიერები მოდილიანი და მილერი ამტკიცებენ, რომ რაციონალური ინვესტორი მხოლოდ მომავალ მომგებიანობას ითვალისწინებს და ახდენს საინვესტიციო პორტფელის განაწილებას რისკების დაბალანსების მიზნით. ეს მიდგომა მომავალში „რაციონალური მოლოდინის“ თეორიას დაედი საფუძვლად.

პორტფელური ინვესტიციები მოდელი მომავალში მრავალმა მეცნიერმა განავითარა. გ. მარკოვიცმა ფი-

1 ჯ. კეინსი, დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგად თეორია. თარგმ. რუს-დან, ქუთაისი, 1995. გვ. 128-130.

2 იქვე, გვ. 347.

3 ამისი დასტურია ისიც, რომ 2002 წელს ფსიქოლოგ დანიელ კანემანს და ვერნონ სმიტს მიენიჭათ ნობელის პრემია ადამიანის ახალი ქცევების მოდელის შემუშავებისათვის, რომელიც განსხვავებით „homo economicus“-ის კლასიკური მოდელისაგან, განსხვავებულად ახასიათებდა გადაწყვეტილების მიღების პროცესს.

ნანსური ბაზრების მიკროანალიზის საფუძველზე უ. შარპთან ერთად დაამუშავეს **ობტიმალური პორტფელის თეორია** და ფასიანი ქაღალდების პორტფელის ფორმირებაში მომავალი პერსპექტივების შეფასების შესაძლებლობები. ამ საკითხისადმი მათამატიკური მიდგომები და მოდელირება განვითარდა და კვლევებმა მრავალფეროვანი სახე მიიღო, თუმცა უკვე 2000 წლების დასაწყისში ფინანსური ბაზრების წინააღმდეგობრივი ხასიათის ახსნა მხოლოდ არსებული საწარმოო შესაძლებლობების შეფასებითა და მოდელირებით არ შეიძლებოდა.

ინვესტორთა სუბიექტური აღქმის როლი და მათი ინფორმაციულობის მნიშვნელობა განსაკუთრებით 2013 წელს იქნა აღიარებული, როდესაც ნობელის პრემია მიენიჭათ უკვე სამ მეცნიერს, რომლებმაც განსხვავებულად ასახეს ბაზრის მოქმედება. იუჯინ ფამას აღიარებული იქნა როგორც **„ეფექტიანი ბაზრის ჰიპოტეზის“** ავტორი.

„ეფექტიანი ბაზრის ჰიპოთეზის“ (EMH) მიხედვით, ისეთ ფუნდამენტურ ფაქტორებში ცვლილებები, როგორც არის მოგება და დივიდენდები, გავლენას უნდა ახდენდეს აქციის ფასებზე. თუმცა, ეს თეორიული მოსაზრება ასევე გულისხმობს, რომ საბირჟო გარიგება არ შედგება, როდესაც ფასები გაწონასწორებული და საყოველთაოდ ცნობილია. ამ ჰიპოტეზის თანახმად, აქტივების საბაზრო შეფასება არის სწორი, რამდენადაც იგი ასახავს ინვესტორთა მოლოდინს. ნებისმიერი ახალი ინფორმაცია იმთავითვე აისახება და ზეგავლენას ახდენს აქტივების ღირებულებაზე. მაშინაც კი, როდესაც ზოგიერთი ინდივიდუალური ინვესტორი ირაციონალურად იქცევა. მოკლევადიანი ან საშუალოვადიან პერიოდში აქციის მოძრაობის შეფასება შეუძლებელია, მთელი ინფორმაცია მის ფასშია. საფონდო ბაზრის ინფორმაცია სრულად აისახება ფასიანი ქაღალდების ღირებულებაში. მისი აზრით, ბაზრის კოლექტიური გადაწყვეტილება არის ზუსტი ვიდრე ინდივიდუალური.⁴

ეფექტიანი ბაზრის ჰიპოთეზა არის განმარტებული 1987 წლის საფონდო ბაზრის გაკოტრების მაგალითზე, როდესაც დოუ ჯონსის ინდექსი დაეცა 22,6 პროცენტით. ეს იყო არნახული დაცემა და საფონდო ბაზრის ყველაზე მასშტაბური გაკოტრება მსოფლიოში. ნათელი იყო, რომ აქციის ფასები შეიძლება დაეცეს დრამატულად, მაგრამ კვლევებმა ვერ გამოძვადნა კონკრეტული ან მოულოდნელი ფასის ზრდა, რომელიც შეიძლება გაკოტრების პარალელურად წარმოშობილიყო.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მეორე მსოფლიო ომამდელ პერიოდში 50 ყველაზე დიდი ერთდღიანი აქციის ფასების ცვლილებების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ ფასის ხშირი ცვლილებები არ არის გამოწვეული ახალი ინფორმაციით. ეფექტიანი ბაზრის ჰიპოთეზის თანახმად, ყველა ფასის მატება ან ზრდა არის შემთხვევითი, ეს მრავალმა სხვა კვლევამაც აჩვენა.

4 Eugene F. Fama. Random Walks in Stock Market Prices. Graduate School of Business University of Chicago, Selected papers, #16. <http://www.chicagobooth.edu/~media/34F68FFD9CC04EF1A76901F6C61C0A76.PDF>

ნა, ფასების ცვლილებების ტენდენციის საფუძველზე. ფასის დრამატული ცვლილებას სხვადასხვა ახსნა აქვს და ყველა მათგანი ასახავს იმ გარემოებას, რომ ბაზრის აგენტების ქცევები იცვლება და ხდება სუბიექტური რეაგირება სიტუაციაზე, მაგალითად, დანაკარგებსა და სხვადასხვა რისკებზე შეზღუდვების დაწესებამ, თეორიულად შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური ბაზრების გადაჭარბებული რეაქცია. ფსიქოლოგიური ფაქტორები იწვევენ აქციის ფასის დრამატულ ცვლილებებს. ეს იმას ნიშნავს, რომ კომპანიის წარმატებების შესახებ ინფორმაცია ინვესტორს განაწილებს ზედმეტად პოზიტიურად (ამ შემთხვევაში ფასი იწვევს გაუმართლებლად მაღლად), აძლიერებს მის თავდაჯერებულობას და ამცირებს მისი (ფსიქოლოგიური) რისკის საშიშროებას. **ჯგუფური აზროვნება ის ფსიქოლოგიური ფენომენია, რომელიც ობიექტურ შეფასებაზე უარყოფითად მოქმედებს.** ადამიანისთვის არც ისე მარტივია იმ აზრის მტკიცება, რომელიც აშკარად განსხვავებულია უმრავლესობის აზრისგან. ინვესტორებიც უმეტესად ამჯობინებს ისეთ ქცევას, რომელსაც უმრავლესობა იყენებს.

მეორე ამერიკელმა მეცნიერმა, **რობერტ შილერმა** კი ეჭვის ქვეშ დააყენა ეს მოსაზრებები. გამომდინარე იქიდან, რომ 2008 წლის ფინანსურმა კრიზისმა და საფინანსო „ბუშტებმა“ მრავალი კითხვა დასვა ეკონომიკური მეცნიერების წინაშე, მან დაასკვნა, რომ ინვესტორთა მასამ შეიძლება არასწორი მიმართულებით იმომარაოს. მან შეისწავლა ბაზრის ირაციონალური ქცევები და დაწერა ნაშრომი „**ირაციონალური ოპტიმიზმი**“, რომლის სათაურიც კი იმას ამტკიცებს, რომ ბაზარი იმართება არაგონივრულად. ეს ნაშრომი მან დაწერა **ჯორჯ აკერლოფთან** ერთად (2000 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი), სადაც დამტკიცებულია, რომ ადამიანის ფსიქოლოგია მართავს ეკონომიკას. მისი თეორიის თანახმად, „homo sapiens“ შორსაა რაციონალურობისაგან, რადგან ადამიანი შეზღუდულია ინფორმაციის შეფასებითა და სუბიექტური წარმოდგენებით. მისი აზრით, აქციების ფასით არ შეიძლება აისახოს ისეთი რაციონალური ფაქტორი, როგორცაა დივიდენდის ზომა. იგი ამტკიცებს, რომ აქციების ფასების ზრდის მიზეზია ფსიქოლოგიური მოლოდინი. ის ინვესტორები, რომლებიც ფიქრობენ, რომ აქციები მომავალშიც გაიზრდება, არ შეუძლიათ სწრაფად შეცვალონ პოზიცია, რადგან რთულია პოზიციის შეცვლის დრო განსაზღვრონ და კოორდინირებული გახადონ მოლოდინი და ცვლილების დრო. შესაძლებელია ფასები შემცირდეს ბაზარზე. მაგრამ „**ოპტიმიზმის სოციალური ეპიდემია**“ ხელს უშლის ბაზრის თავისუფალ მოქმედებას.¹ მისი აზრით, ამ შემთხვევაში მონეტარული და სხვა ფუნდამენტური ეკონომიკური ფაქტორები მნიშვნელოვანია, მაგრამ არ არის მთავარი, რაც ხდება ე.წ. „**ბუშტების**“ წარმოქმნის მიზეზი.

ბაზრის აქტივები არის „**ინფორმაციული კასკადი**“, რომელიც ემყარება აქტივების დამოუკიდებელ შემფა-

სებელთა აგრეგირებულ შეფასებას. ეს ის სუტუაციაა, როდესაც, ყოველი ინვესტორი გადაწყვეტილებას იღებს თავისი დაკვირვებით და სხვათა მიზამდით, რომლებმაც არჩევანი ადრე გააკეთეს. „**ინფორმაციული კასკადის**“ პირობებში ინდივიდუალური შეფასებები კარგავენ თავის მნიშვნელობას და შესაძლებელია ილუზიურიც კი იყოს, თუ მხედველობაში მივიღებ „**ბუშტების**“ წარმოშობას. **ერთმანეთის მიმბაძველობა არის „სოციალური ეპიდემია“** და იგი ფართოდ ვრცელდება საფონდო ბირჟებზე. ერთმანეთის დაკვირვებით ინვესტორები ყიდულობენ აქციებს და აქ მათი ინდივიდუალური რწმენა თავიანთი ქცევების რაციონალურობაში ხდება უმნიშვნელო. იქმნება ურთიერთდამოკიდებულების ჯაჭვი, ან კიდევ „**დომინოს ეფექტი**“, რაც დაკავშირებულია უკვე განვილილი და გამოცდილი არჩევანის რაციონალურობასთან და გამეორებასთან. შესაბამისად, რაციონალური ქცევა გარდაიქმნება ირაციონალურში.

ამ ანომალიის ანალიზი ჩაატარა ნობელის პრემიის მესამე ლაურეატმა **ლარს პიტერ ჰანსენმა**. მან შეიმუშავა „**მომენტის განზოგადებული მეთოდი**“ და ფასწარმოქმნაში შილერის ჰიპოთეზის საფუძველზე დამტკიცა ინვესტორების რისკებისადმი ირაციონალური დამოკიდებულება. ეკონომიკის აღმავლობის დროს ისინი საკმაოდ მაღალ ფასად შეისყიდებიან აქციებს, ხოლო დაცემისას კი თხოვლობენ მასზე მაღალ სარგებელს რისკების სანაცვლოდ.

თუ შილერის თეორიის თანახმად, ბაზარი იმართება არარაციონალურად და ფსიქოლოგიური ფაქტორების ზეგავლენით, იუჯინ ფამა საწინააღმდეგო მოასზრებისაა. მისი აზრით, ეფექტიან ბაზრებზე ირაციონალური ანომალიები არის შემთხვევითობა.² **საბოლოო ჯამში უნდა დავასკვნათ. რომ საფონდო ბაზრები ხანგრძლივ პერიოდში არის რაციონალური, როგორც ამას იუჯინ ფამა ამტკიცებს, მაგრამ ხანმოკლე და საშუალოვადიან პერიოდებში კი, შილერისა და ჰანსენის თეორიების შესაბამისად, შესაძლებელია ბაზრის აქტივების შეუფასებლობა მოხდეს ემოციური და ფსიქოლოგიური ფაქტორების ზეგავლენით.**

ფსიქოლოგიურ ქცევებს ყურადღება მიაქცია სხვა მეცნიერებმაც. მათ იგი დაუკავშირეს აზარტულ თამაშებს და ბაზრის მოქმედება შეადარეს რულეტს.³ როდესაც ბაზარი ზეწოლას განიცდის, იგი ემსგავსება პოკერს. მოთამაშებმა უნდა გაარკვიონ მოწინააღმდეგე ინვესტორების ფსიქოლოგია და იმოქმედონ მათზე ფსიქოლოგიურად. სწორედ ამ გარემოების შედეგად ბაზარზე აქტივებით ვაჭრობის დროს არაობიექტურად აზროვნების დიდი ალბათობა იქმნება, თუმცა ბაზრის აგენტების რწმენა წარმატებაში საკმაოდ დიდია და ისინი ზედმეტად არიან ხოლმე დარწმუნებულნი აქციის ფასების გაზრდაში. ამ ეიფორიას კიდევ უფრო

2 Eugene E. Fama. Market Efficiency, Long-Term Returns, and Behavioral Finance. Journal of Financial Economics. Volume 49, Issue 3, 1 September 1998, Pages 283–306. <http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0304405X98000269>

3 Stephen Morris and Hyun Song Shin, Risk management with Independent Choice. Oxford Review of Economic Policy, vol. 15, no 3, 1999. <http://www.princeton.edu/~smorris/pdfs/riskmanagement.pdf>

1 Robert J. Shiller. Understanding Recent Trends in House Prices and Home Ownership. NBER Working Paper No. 13553, Issued in October 2007. <http://www.nber.org/papers/w13553>; <http://www.nber.org/papers/w13553.pdf>

მეტად აძლიერებს ხოლმე მედია, რომლებიც წერენ აქციების ფასის სწრაფი ზრდის შესახებ და ქმნიან წარმოდგენას, თითქოს დიდი რაოდენობის ფულის მიღება შეიძლება საფონდო ბაზარზე მომავალშიც.¹

დღეს ეკონომიკური ლიტერატურაში კაპიტალიზაციის განხილავენ სხვადასხვა თვალსაზრისით, ეკონომიკური პოტენციალის ზემოქმედებას კაპიტალის ფორმირებაზე, კაპიტალიზაციის ეფექტს ეკონომიკის ზრდაზე, შიდა და გარე მიკრო და მაკროგარემოს შემადგენელი ფაქტორების ზეგავლენას ფინანსური, საწარმოო და მთლიანად ქვეყნების ეკონომიკის კაპიტალიზაციაზე და სხვ. მეცნიერებების მიერ ხდება სხვადასხვა ტექნიკურ-ეკონომიკური ფაქტორების მოდელირება, შეფასება, კაპიტალიზაციის პროცესების შესწავლა მიკრო, მაკრო მეგა ეკონომიკის ფარგლებში.

ჰარვარდის სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ კაპიტალიზაციის ეფექტიანობას და დაბალანსებული სისტემის სტრატეგიას უთმობს.² ამასთან იგივე ეს სკოლა გამორჩეულია კაპიტალიზაციის როგორც კონკურენტის სისტემის შემადგენელი ნაწილის გამოკვლევით³ და მისი კრიზისების შესწავლით.⁴

დღევანდელი **ინსტიტუციონალური თეორიები** კაპიტალიზაციას ფართოდ განიხილავენ და არ შემოიფარგლებიან მხოლოდ კაპიტალის, როგორც ღირებულების აქციონერთათვის საბაზრო ღირებულებითი მნიშვნელობით.⁵ ანუ ფასიანი ქაღალდების მიმოქცევისას იზრდება მათი კურსი, რომლის ძირითადი

მოსარგებლენი არიან აქციის მფლობელები. ამასთან დაკავშირებით კაპიტალიზაცია განიხილება აქციის ღირებულების, ანუ აქციონერთათვის ღირებულების თვალსაზრისით. ამ პროცესის სტრატეგიული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ საბაზრო ძალები სულ უფრო მეტად ახდენენ კორპორაციულ გადაწყვეტილებებზე ზემოქმედებას და აიძულებენ მათ გაზარდონ აქციის ღირებულება აქციონერთა ინტერესების სასარგებლოდ. სწორედ ამ გარემოების შესაბამისად კაპიტალიზაციის პროცესში კრიზისების განხილვა თანამედროვე ეკონომიკური აზრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა.⁶

საკამათო არ უნდა იყოს, რომ საფონდოს ბაზრებს აქვთ მნიშვნელოვანი ფუნქციები მამინაც კი, როდესაც კარგად არის განვითარებული საბანკო სექტორი. საფონდო ბაზარი მეწარმეებს უზრუნველყოფს ლიკვიდურობითა და თავიანთი პორტფოლიოს მრავალფეროვანი შესაძლებლობით. აქციებით ვაჭრობა გადმოსცემს ინფორმაციას ფირმების პოტენციური ინვესტორებისა და კრედიტორების შესახებ.

ფირმების საფინანსო არჩევანზე ფინანსური ბაზრის, კერძოდ კი საფონდო ბაზრის განვითარების შედეგი შეიძლება შევადაროთ კაპიტალის სტრუქტურასა და ფინანსური ბაზრის განვითარებას შორის არჩევანის ურთიერთობას. საბანკო კრედიტსა და სააქციო კაპიტალს შორის არჩევანი დამოკიდებულია ქვეყნის ფინანსური ბაზრის განვითარების დონეზე, მაკროეკონომიკურ გარემოზე, ფასიანი ქაღალდების დაბეგვრის წესზე და სხვ. განვითარებად საფონდო ბაზრებში მსხვილი ფირმები უფრო წინაურდებიან საფონდო ბაზრის განვითარებასთან ერთად, როდესაც მცირე ფირმებზე საფონდო ბაზრის განვითარება მნიშვნელოვნად არ მოქმედებს.

მრავალ განვითარებად ქვეყანაში, სადაც საფონდო ბაზრები განვითარების საწყის ეტაპზეა, ისინი ბანკების განვითარების ალტერნატივას ქმნიან და არსებობს იმის საშიშროება, რომ ისინი ნეგატიურად იმოქმედებს ბანკების განვითარებაზე⁷, მაგრამ როგორც კვლევები გვჩვენებს, განვითარებულ ქვეყნებში საფონდო ბაზრის განვითარების პარალელურად იზრდება კრედიტების სააქციო კაპიტალთან შეფარდების მაჩვენებელი, რაც ბანკების როლის უპირატეს ზრდაზე მიუთითებს. იმ ქვეყნებში, კი სადაც განვითარებადი საფინანსო სისტემაა, საფონდო ბაზრები და ბანკები სხვადასხვა დამატებით ფუნქციებს ასრულებენ და საფონდო ბაზრის განვითარების მიზნით მიღებული ზომები არსებულ საბანკო სისტემაზე გავლენას ვერ ახდენს.

დღეს მსოფლიოს საფონდო ბაზრები ძალიან სწრაფად ვითარდება და მათი რაოდენობა იზრდება. ამჟამად, ეკონომისტებს არ გააჩნიათ საფონდო ბაზრის განვითარების საერთო კონცეფცია. არსებობს საფონდო

6 ბოლო პერიოდში ამ თემაზე უამრავი ლიტერატურაა დაწერილი.

7 საქართველოს სინადვილში სიტუაცია ამჟამად პირიქითაა. საბანკო სექტორის მიერ ფასიანი ქაღალდების ბაზარი სრულად არის კონტროლირებული. ბანკები არიან საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარის, რეგისტრატორებისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის თითქმის ყველა საბროკერო კომპანიების მფლობელები.

1 მე-20 საუკუნის დასასრულსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში საფონდო ბაზარზე მომხდარი მოვლენების შესახებ ცნობილი მილიონერის ვარენ ბაფეტის გამონათქვამი: „ყოველ განვლილ წელთან ერთად, საფონდო ბაზარზე ხმაური იმატებს. ტელევიზიის კომენტატორები, ფინანსური საკითხების ჟურნალისტები, ანალიტიკოსები და ბაზრის სტრატეგები ერთმანეთს ეჯიბრებიან, რათა მიიქციონ ინვესტორების ყურადღება. ამავდროულად, ინდივიდუალური ინვესტორები ჩაფლულნი არიან ვირტუალურ სასაუბრო ოთახებსა და ფორუმებში და ცვლიან საეჭვო და ხშირად დამაბნეველ რჩევებს. ამჟამად, მიუხედავად ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა, ინვესტორებს ძალიან უჭირთ მოგების ნახვა. აქციაზე ფასები სწრაფად იზრდება მარტივი მიზეზის გამო, შემდეგ ეცემა ასევე სწრაფად და ის ადამიანები, რომლებმაც ინვესტიციები ჩადეს თავიანთი შვილების განათლებასა და თავიანთ პენსიებში, საკმაოდ შეშინებულნი არიან. ხანდახან ამისთვის არანაირი მიზეზი არ არსებობს ბაზარზე, იგი მხოლოდ უგუნურებაა“ (Urban Bäckström: The importance of a well-functioning stock market. Remarks by Mr Urban Bäckström, Governor of Sveriges Riksbank, at the World Federation of Investors 20th World Congress, Stockholm, 7 June 2002. <http://www.bis.org/review/r020612a.pdf>)

2 Robert S. Kaplan and David P. Norton. <http://hbr.org/authors/kaplan-norton>

3 იხ. ვებ გვ-ი: MCX Stock Exchange. Capital Markets Research Dossier. December 2013. http://www.mcx-sx.com/SX-Content/common/Knowledge-Centre/Research-Dossier/2014/January/MCX_SX_Research_Dossier_Dec_13.pdf

4 Greta R. Krippner, Capitalizing on Crisis. The Political Origins of the Rise of Finance. Publication: February 2011

5 Норд Д. Институты, Институциональные изменения и функционирование экономики. М. Фонд Экономической книги, «Начала», 1977 с. 186.

ბაზრის ზომის, ლიკვიდურობის, კონცენტრაციის, ცვალებადობის, ინსტიტუციური განვითარებისა და ინტეგრაციის სხვადასხვა მაჩვენებელი, რომლებიც ქმნიან საფონდო ბაზრის განვითარების სურათს, თუმცა თითოეული ეს ინდიკატორი არასაკმარისია რეალური სურათის ასაღწერად. საფონდო ბაზრის განვითარება კომპლექსური და მრავალმხრივი ფენომენია. ცაკვლე აღებული რომელიმე ინდიკატორი ვერ მოიცავს ყველა იმ ასპექტს, რომელიც აუცილებელია საფონდო ბაზარზე გადაწყვეტილების მისაღებად. ამიტომ, საჭიროა მრავალი ინდიკატორის გამოყენება. ამასთან დგება საკითხი საფონდო ბაზრის განვითარების თითოეული ინდიკატორის ურთიერთკავშირის შესახებ. ცნობილია, რომ მსხვილი საფონდო ბაზრებზე კაპიტალიზაცია არის სწრაფად რეალიზებადი და მეტად ინტეგრირებული, ვიდრე მცირე ბაზრებზე. იმ ქვეყნებს, რომელთაც აქვთ საერთაშორისოდ მიღებული ანგარიშგების სტანდარტები და შეუზღუდავი საერთაშორისო კაპიტალის გარემო, კაპიტალიზაციის პროცესიც სწრაფად წარმართებ, ხოლო იმ ქვეყნებში კი, სადაც ბაზრებზე იდება მცირე გარიგებები, ნაკლებად არის ინტეგრირებული საერთაშორისო ბაზრებზე და კაპიტალიზაციაც დაბალია.

რამდენადაც საფონდო ბაზრები და ბანკები აღიქმება როგორც კორპორატიული ინვესტიციების დაფინანსების ალტერნატიული მექანიზმები, საფონდო ბაზრის ინდიკატორების უმეტესობა მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული ბანკების განვითარებასა და ეფექტიან ფუნქციონირებასთან, ასევე არასამთავრობო საფინანსო კორპორაციებსა და კერძო სადაზღვევო და სპენსიო კომპანიების საქმიანობასთან.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ძირითადად გაზიარებულია აზრი იმის შესახებ, რომ საფინანსო სისტემა არის მნიშვნელოვანი ფაქტორი ეკონომიკური ზრდის პროცესებისთვის და მას დიდი როლი აქვს დანაზოგების მობილიზების, კაპიტალის განაწილების სფეროში. თუმცა დისკუსია მიდის იმის შესახებ, თუ რამდენად ეფექტიან ზემოქმედებას ახდენენ საფონდო ბაზრები საწარმოების განვითარებაზე და ეკონომიკის ზრდაზე.

ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორები კოლინ მაიერი, ანდრეა პოლო და ჯონ არმური ამტკიცებენ, რომ ყველაზე დიდი საფონდო ბაზრებიც კი უმნიშვნელო წყაროს წარმოადგენს კორპორატიული ფინანსებისთვის.¹ სტიგლიცი ამტკიცებს, რომ ინფორმაციული ასიმეტრია არის ბაზრების ჩავარდნის მიზეზი და საფონდო ბაზრის ლიკვიდურობა არ გააძლიერებს ფირმების შესახებ ინფორმაციის მოიძიების სტიმულს და არც გავლენას ახდენს კორპორატიულ მმართველობაზე.² გარდა ამისა, დევერუქსი და სმიტი ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ საერთაშორისოდ

ინტეგრირებულმა საფონდო ბაზრების რისკებმა შეიძლება შეამციროს დანაზოგები და შეანელოს ეკონომიკის ზრდის პროცესები.³ ლევინის და სარასკვლევის მიხედვით, საფონდო ბაზრის განვითარება და ლიკვიდობა პოზიტიურად მოქმედებს ეკონომიკის ზრდაზე და ფინანსური ფაქტორები არიან ეკონომიკის ზრდის ინტეგრაციული ნაწილი.⁴

ატიესა და იოვანოვიცის კვლევებმა საფონდო ბაზარზე ვაჭრობისა და ეკონომიკური ზრდის შესახებ, გააერთიანა ორი მიმართულება. პირველი, საფონდო ბაზრის განვითარების ინდექსები საფონდო ბაზრის მოცულობის, ვაჭრობისა და ინტეგრაციის შესახებ და მეორე, საბირჟო აქტიურობის სუბიექტური და ფსიქოლოგიური მოტივები, რომლებსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ეკონომიკის ზრდაზე.⁵

ზოგადად, ლიტერატურაში დამტკიცებულია, რომ ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში, პოლიტიკური სტაბილურობა და მონეტარული ღონისძიებები, ასევე ფისკალური და სავალუტო პოლიტიკა და საფონდო ბაზრის განვითარების დონე მნიშვნელოვანი ფაქტორებია ეკონომიკის გრძელვადიან ზრდის პროცესში. საფონდო ბაზრის განვითარებასა და ეკონომიკის ზრდის გრძელვადიან პროცესებს შორის არსებობს პოზიტიური თანხვედრა და მათ შორის ნეგატიური დამოკიდებულება არ შეინიშნება.

ივანე ჩხაიძე,

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი

MAINSTREAM OF ECONOMIC THOUGHT ON CAPITALIZATION

Ivane Chkhaidze

The St. Andrews the First-Called Georgian University Summary

The paper reviews the capitalization issues, its historical-methodological mainstreams, discusses main modern methodological approaches and transformation of economic thought from the theoretical postulates to its pragmatic implementation; Presents the development of Georgian economic thought.

3 Devereux, B., Smith W. "International risk sharing and economic growth". nternational Economic Review. Volume : 35 (1994). Issue (Month): 3 (August). Pages: 535-50. http://www.isid.ac.in/~tridip/Teaching/DevEco/Readings/07Finance/06Levine%26Zervos-AER1998.pdf

4 Ross Levine; David Renelt. A Sensitivity Analysis of Cross-Country Growth Regressions. The American Economic Review, Vol. 82, No. 4. (Sep., 1992), pp. 942-963. file:///C:/Users/misha/Desktop/Capitalization-Dissert.%20Djibuti%202014/Levine_Renelt_1992.pdf

5 Raymond Atje and Boyan Jovanovic. Stock markets and development. European Economic Review 37 (1993). P. 632-640. http://ideas.repec.org/p/man/cgbcrp/32.html

1 John Armour, Colin Mayer, Andrea Polo. Regulatory Sanctions and Reputational Damage in Financial Markets. 28 December 2011. P.25. file:///C:/Users/misha/Desktop/Capitalization-Dissert.%20Djibuti%202014/SSRN-id1678028.pdf
2 Joseph E. Stiglitz. Information and the Change in the Paradigm in Economics. Prize Lecture, December 8, 2001. http://www.nobelprize.org/nobel_prizes/economic-sciences/laureates/2001/stiglitz-lecture.pdf